პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი
საქ. კ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციასთან საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 19—53

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ 65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—85 კ., პროვინციაში—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48

კვირა, 23 ნოემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 268 (1123)

დღევანდელი ნომრის [illegible]

დღიური

— დამოკიდებულება ინგლისსა და ეგვიპტეს შორის გამწვავდა.
— პოლონეთში ძლიერდება ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ.
— მორგანმა საფრანგეთს 100 მილიონი დოლარი მისცა სესხად.
— ამხ. ოსინსკი შვეციიდან მოსკოვს დაბრუნდა.
— ჩეხო-სლოვაკიის მრეწველები მოითხოვენ ჩვენს ცნობას.
— ბესარაბიელების მემორანდუმი ინგლის. პროფკ. დელეგაციისადმი.

„კომუნისტი"

მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელთა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გაზეთი ღირს თვიურათ 65 კაპ.

დანარჩენებისათვის (თბილისში მიტანით 85 კ.
(პროვინციაში გაგზ. 95 კ.

იბეჭდება და ამ დღეებში უფასოთ დაურიგდება ყველა ხელისმომწერთ.

„ჩირაღდანი"

30 ნოემბერს გაიხსნება
თბილისის სამაზრო-საქალაქო

პარტიული კონფერენცია

კონფერენციის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები.
2. ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის მოხსენება და კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება.
3. ც. ს. კ. და თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. შრომის ნაყოფიერება და ხელფასი.
5. ალმასკომის ანგარიში.
6. საორგანიზაციო საკითხები.
7. მიმდინარე საქმეები.

კონფერენციის გახსნის ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული

თბილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

სარწმუნოების საკითხი ჩვენში

საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია ჩამოაშორა სახელმწიფოს, რელიგია აღარა თვითეულ მოქალაქის კერძო საქმედ, ამასთან გამოაცხადა რელიგიური საზოგადოების და რელიგიური კულტის თავისუფლება, რამდენად იგი არ იქნება მიმართული და გამოყენებული საბჭოთა კონსტიტუციისა და არსებული კანონების წინააღმდეგ.

თავის თავად ცხადია, ხელისუფლების „ნეიტრალიტეტი" სარწმუნოების საკითხში სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ თითქო ჩვენთვის სულ ერთი იყოს — იქნება ხალხი რელიგიური ცრუმორწმუნოებით შეპყრობილი თუ არა. ჩვენი მიზანია შევიტანოთ მასსებში საღი, მეცნიერული ცოდნა ბუნებასა და სიცოცხლეზე, შთაუნერგოთ მათ მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რაც გამოაცლის ნიადაგს ყოველგვარ ცრუმორწმუნოებას.

მაშასადამე, ჩვენს ანტირელიგიურ კამპანიას უნდა ჰქონდეს მხოლოდ აგიტაციურ-პროპაგანდის ხასიათი. რა თქმა უნდა, ამ გზით ერთბაშად არ მოხდება ხალხის მსოფლმხედველობის გარდაქმნა; ეს მოითხოვს ხანგრძლივ და სისტემატიურ მუშაობას. სამაგიეროდ ეს ერთად ერთი მიზანშეწონილი საშუალებაა, რომელიც უეჭველად მოგვცემს შესაფერ შედეგებს.

ცოდვა გამხელილი სჯობიაო, ნათქვამია, და უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ამ დარგში დავუშვით შეცდომები. ადგილობრივი მუშაკები გაიტაცა ცრუმორწმუნოების სწრაფი აღმოფხვრის სურვილმა; მათი თაოსნობით სასოფლო კრებებზე გლეხობას გამოჰქონდა „ნებაყოფლობითი" დადგენილებები ეკლესიების დახურვის და რელიგიური კულტის გაუქმების შესახებ.

სარწმუნოებასთან ბრძოლის ასეთმა მეთოდმა უარყოფითი შედეგები გამოიღო.

თავის მოტყუილებაა იმის თქმა, თითქო მთელმა გლეხობამ სავსებით აიღო ხელი რელიგიაზე, თითქო მან სავსებით შეითვისა მეცნიერ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა. ეს არ არის საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა.

მართალია, რომ ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჩვენში ძალიან დაეცა სამღვდელოების ავტორიტეტი, შესუსტდა რელიგიის გავლენა. „წირვა-ლოცვაზე" ხალხი ნაკლებად დადიოდა. რევოლუციამ ძირიან-ფესვიანად მოსპო ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები, სარწმუნოებას, ეკლესიას გამოაცალა მატერიალური საფუძველი. ამის შემდეგ უფრო სწრაფად უნდა წასულიყო მისი გაუქმების პროცესი. მაგრამ ეს მოხდებოდა მხოლოდ ერთის პირობით,—თუ ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილით ვაწარმოებდით ანტირელიგიურ კამპანიას.

რაც არ უნდა ვთქვათ, ჩვენი ხალხი ჩამორჩენილია ეკონომიურად და კულტურულად, და მის შემეცნებაში მეცნიერული წარმოდგენები კუს ნაბიჯით იკაფავენ გზას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „იდეები" უფრო კონსერვატორული ხასიათისა არიან, ვინემ ის ეკონომიური პირობები, რომლებმაც ისინი წარმოშვეს. თქვენ შეგიძლიათ „მატერიალური მეთოდებით" დაანგრიოთ ძველი ნივთიერი ურთიერთობანი, მაგრამ ძველ „სულიერ სამყაროს" მექანიკურად ვერ დასძლევთ. ის უნდა აღმოფხვრას თანდათანობით, ახალი სამეურნეო ურთიერთობის და კულტურის ზრდასთან ერთად.

ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ რელიგია ჩვენში ხალხის ნაწილისათვის მისი ყოფა-ცხოვრების ელემენტია, სარწმუნოებას მისდევს ის უფრო ინერციით, ტრადიციით. მისი ძალას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ ახალი ყოფა-ცხოვრება.

გარდა ამისა, არის ჩვენში მივარდნილი კუთხეები, სადაც გლეხობის მნიშვნელოვანი რაოდენობა ჯერ კიდევ იმყოფება რელიგიური ცრუმორწმუნოების მძლავრი გავლენის ქვეშ.

ასეთ პირობებში იძულებითი მეთოდი, ყოველგვარი აკრძალვა მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგებს მოგვცემს.

აგრეთვე აღსანიშნავია ერთი მომენტი. ავგისტოს ავანტიურის დროს მენშევიკებმა ხელზე დაიხვიეს ხალხის „შეურაცხყოფილი რელიგიური გრძნობა" და ისინი ოდესღაც „მარქსისტები" და „მატერიალისტები", მოგვევლინენ ხუცების და სარწმუნოების დამცველებად. ამგვარად ჩვენი მუშაობის დეფექტები ამ დარგში მშრომელთა ხელისუფლების მტრებმა გამოიყენეს კონტრრევოლუციონერი მიზნისათვის.

ამიტომ, ვიმეორებთ, რელიგიის საკითხში ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ განსაკუთრებული სიფრთხილე. ნუ მივეცემით ილუზიას და ნუ დავემყარებით გლეხობის „ნებაყოფლობითი" გადაწყვეტილებას. ჩვენ ვიცით ფასი აქ ზოგიერთი „ნებაყოფლობის". ეჭვი არ არის, რომ სოფლად ურწმუნო ელემენტები ბლომად არიან, მაგრამ ისიც უდავოა, რომ არიან აგრეთვე მორწმუნენი, ან საეკლესიო კულტის მიმდევარნი უბრალო ჩვეულების მიხედვით.

მათ უნდა მივცეთ სრული საშუალება იქონიონ ეკლესია, დააარსონ რელიგიური საზოგადოება და შეასრულონ რელიგიური კულტი.

დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში ცაკის დადგენილება—ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ. **ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს დადგენილება მტკიცედ და გადაუხვევლად უნდა გაატაროს.**

ჩვენ, სხვათა შორის, იმით ვართ ძლიერი, რომ ჩადენილ შეცდომებს თამამად ვაღიარებთ და მათ დროზე ვასწორებთ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მართებთ ადგილობრივ მუშაკებს ამ თვისების გამოჩენა.

სარწმუნოების საკითხში ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა ავიღოთ გადაჭრილი გზა—არავითარი იძულება, სარწმუნოებისა და რელიგიური კულტის თავისუფლების უზრუნველყოფა, ამასთან სისტემატიური, მაგრამ ფრთხილი ანტირელიგიური აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება.

მუშათა მთლიანი კოოპერატივები სოფლად

გლეხობასთან დაკავშირების ნიმუში.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან დაარსებულმა სოფლად მუშაობის კომისიამ განიხილა მთელი რიგი მოხსენებებისა სხვადასხვა დაწესებულებების მუშაობის შესახებ სოფლად. ეს მოხსენებები მეტად საინტერესოა სოფლის მდგომარეობის და ჩვენი დაწესებულებების, ორგანიზაციების და გლეხობის ურთიერთობის დასახასიათებლად.

მაგალითისათვის ჩვენ ვიღებთ მოხსენებას, რომელიც შეეხება მუშათა მთლიანი კოოპერატივის მუშაობას გლეხებს შორის.

თბილისის მუშათა კოოპერატივმა ცადა გაეტარებია ცხოვრებაში ნამდვილი კავშირი ქალაქისა და სოფლის, კავშირი რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ უკანასკნელ დროს. მუშათა მთლიანი კოოპერატივის ამ მუშაობასთან ყოველმხრივ გაცნობით ნათელი ხდება, თუ როგორ თანდათან უახლოვდება ქალაქი სოფელს, რომ ქალაქი, მუშათა მთლიანი კოოპერატივის სახით, არა თუ აწესრიგებს საგლეხო მეურნეობას, არამედ აგრეთვე დახმარებას უწევს მას გაასაღოს მის მიერ დამუშავებული პროდუქტები.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის ამ ნაბიჯს უსათუოდ უნდა მივესალმოთ, როგორც სავსებით მიზანშეწონილ ღონისძიებას.

დამახასიათებელია ის, რომ პირველი ცდა, რომელიც მოახდინა ამ მხრივ მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა, ატარებს ორგანიზაციულ ხასიათს.

მუშათა მთლიან კოოპერატივს თავისი ყურადღება, თავისი ძალები არ დაუფანტავს სოფლის მეურნეობის ცალკე დარგებში, ის მიუდგა საკითხს რაციონალურად, შეუდგა ამა თუ იმ რაიონის უმთავრეს მეურნეობის ორგანიზაციას. ამავე დროს მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა მოაწესრიგა ქალაქისათვის პროდუქტების მიწოდების საქმე და ამ რიგად შესძლო დაეკმაყოფილებია მოთხოვნილება ქალაქის მშრომელების, რომლებიც აქამდე იძულებული იყვნენ მიემართათ წვრილ სპეკულიანტების დახმარებისათვის. ყველა ეს დაბრკოლებები ეხლა უკვე დაძლეულია. ის ფაქტი, რომ მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა მოაწყო პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, თუ როგორი დიდი როლი შეუძლია ითამაშოს კოოპერაციამ საგლეხო მეურნეობის პროდუქტების დამუშავების სისწორით, დაყენების და ამ პროდუქტების გასაღების საქმეში, თუ ამ საკითხს მიუდგებით სერიოზულად და კეთილსინდისიერად.

რა ღონისძიებას მიმართა მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა ამ საქმის მოსაწყობად? მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა მოაწყო რძის გასაღების საქმე თბილისთან ახლო მდებარე სოფლებში და ჩვენ ყოველდღე ვხედავთ ამ მუშაობის შედეგებს, ყოველ დილით ჩვენ ვხედავთ რძის „ტაჩკებს", რომელთაც დააქვთ თბილისის ყველა რაიონებში რძე გასასყიდათ. ეს რძე მეტად ჰიგიენურია, რადგანაც ის შემოწმებულია ლაბორატორიაში და თბილისის მოსახლეობას ეძლევა სავსებით საღი რძის პროდუქტები.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის მუშაობა ვრცელდება სართიჭალის, მარტყოფის, ყარაიაზის და ნორიოს რაიონებზე, რომლებშიაც მოიპოება დაახლოვებით 6000 საგლეხო მეურნეობა.

აქ უნდა ითქვას, რომ ჩვენი გლეხი საერთოდ იმდენად კონსერვატიულია და ფრთხილი, რომ თუ წინა წარ არ აქვს გათვალისწინებული სარგებლიანობა ამა თუ იმ საქმისა, არაფერს არ მოჰკიდებს ხელს. ეს გლეხის თვისება და მისი უნდობლობა ქალაქის ორგანიზაციების სხვადასხვა დაწესებულებებისადმი აიხსნება უმთავრესად იმ სხვადასხვა გვარი ორგანიზაციების მუშაობით, რომლებიც ძველად შედიოდენ სოფლებში ყოველგვარ „დემოკრატიულ" და „ხალხოსნურ" „იარლიკებით" და ყოველმხრივ ყვლეფდენ გლეხებს. გლეხს არ დავიწყნია ასეთი ექსპლოატაციის „მშვენიერებანი" და ამიტომ ამ ორგანიზაციებს, უცქერიან ფრთხილად და უნდობლობის თვალით.

მაგრამ მუშათა მთლიანი კოოპერატივის მუშაობამ, რომელიც სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს, მიიზიდა გლეხები და ამჟამად კოოპერაციისაკენ მისწრაფვიან გლეხთა ფართო მასსები. ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ 1923 წელს, რასაკვირველია მუშათა მთლიანი კოოპერატივის პირველი ნაბიჯებიდან რამოდენიმე თვის გასვლის შემდეგ.

რომ თვალსაჩინო იყოს ის, თუ როგორი სიფრთხილით უდგება გლეხი ქალაქის ორგანიზაციებს, კოოპერაციას და კერძოთ მუშათა მთლიან კოოპერატივს, მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები. 1923 წელს მუშათა მთლიანი კოოპერატივის წევრად ითვლებოდა 322 გლეხი, საწევრო გადასახადს იხდიდენ 65 კაპეიკს, ხოლო 1924 წლის 1 ოქტომბერს წევრთა რიცხვი იზრდება 1486-დე. ხოლო საწევრო გადასახადი ავიდა 1 მ. 10 კაპეიკამდე. ამრიგად გლეხობის 25 პროცენტი შევიდა კოოპერაციაში და სწორედ იმიტომ, რომ ამაში ხედავდა ის სარგებლობას.

მაგრამ გავეცნოთ მუშათა მთლიანი კოოპერატივის,მიერ მისი რძის საქმის მოწყობა: სოფლად მუშათა მთლიანი კოოპერატივის შესვლამდე, რძე შეადგენდა მოხმარების პროდუქტს და არა საქონელს, ვინაიდან ჩვენს მიერ აღნიშნული რაიონის მეურნეობათა უმრავლესობა წვრილ საგლეხო მეურნეობებია და მათ არც კი შეეძლოთ დამოუკიდებლად ხელი მოეკიდათ რძის გასაღებისათვის, რძე იხარჯებოდა მხოლოდ შინაურ მოთხოვნილებებზე. როგორც კი გაჩნდა სოფლად მუშათა მთლიანი კოოპერატივი, რძე ხდება უკვე, გასაღების საგანათ, საქონლად. და გლეხები, რომლებიც ხედავენ, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციების შემწეობით მათ შეუძლიათ გაასაღონ რძე და მიიღონ მათთვის საჭირო საქონელი, ცდილობენ მუშათა მთლიან კოოპერატივს ჩააბარონ რძე.

თავისი შემოქმედებითი მუშაობა სასოფლო მეურნეობის მოწყობაში და მის ნაყოფიერების ასამაღლებლათ მუშკოოპმა არ განსაზღვრა მხოლოდ რძის ყიდვით და გაყიდვით. თავის მუშაობის შესამსუბუქებლათ მუშკოოპმა მოაწყო მთელი რიგი პატარა ქარხნებისა, სადაც ამუშავებენ რძის სხვადასხვა პროდუქტებს. ამგვარათ 1924 წლის იანვარში მუშკოოპს ჰქონდა ხუთი ამნაირი ქარხანა, ოქტომბერში კი—რვა. გაიზარდა აგრეთვე ამ ქარხნების მიერ პროდუქტების დამუშავებაც. იმ დროს როდესაც მთელი 1923 წლის განმავლობაში ამ ქარხნებში გაიარა 30730 ფუთმა რძემ, 1924 წლის მხოლოდ ცხრა თვეში გაიარა 47482 ფუთმა. შემდეგ გლეხებთან კავშირის გაძლიერებასთან ერთად გაიზარდა რძის გასაღება ქალაქში. ამჟამად თბილისის რძის ბაზარის ცხრა მეათედი დაპყრობილია მუშკოოპის მიერ. ყოველდღიურათ იგი ასაღებს ქალაქში 18,000 ჰიჭა რძეს.

როგორც სჩანს, ჩვენი კოოპერაცია კარგათ განმტკიცდა სოფლად. და თუმცა ჩვენ ვამბობდით რომ მუშკოოპის ყურადღება მიქცეულია გლეხის მეურნეობის უმთავრეს დარგზე—რძის წარმოებაზე—და დღეს-დღეობით მხოლოდ იმითია დატვირთული, მაგრამ მას უკვე შეუძლია გლეხის მეურნეობის სხვა საკითხებსაც მიაქციოს ყურადღება. უკვე მორიგ საკითხად სდგას ეხლა საქონლის ჯიშის გაუმჯობესება, მატყლისა და კვერცხის შეგროვების ორგანიზაცია და სხვა.

მაგრამ უმთავრესად ის არის აღსანიშნავი და სასიხარულო, რომ **გლეხობა ენდობა კოოპერაციას და გატაცებულია მისი იდეით.**

და ეს ადვილი გასაგებიც არის, რადგან იგი აშკარათ ჰხედავს იმ დახმარებასა და სარგებლობას, რომელსაც უწევს მათ კოოპერაცია.

როცა ვლაპარაკობთ მუშკოოპზე, ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ საკრედიტო ამხანაგობებს, რომელთა მიზანიც არის გლეხობის კრედიტით დახმარება. მართალია იმათი როლი ჯერ-ჯერობით ძალიან უმნიშვნელოა, მაგრამ მათ აქვთ ის უპირატესობა, რომ ფინანსიურ დახმარების გარდა, მათი შემწეობით გლეხკაცი ებმება საზოგადოებრივ ფერხულში და ეს არის სრულიად ახალი მომენტი სოფლის ცხოვრებაში. მათი მეოხებით გლეხკაცობა ეჩვევა სრულიად დამოუკიდებლათ აწარმოოს თავისი მეურნეობა, რომლისთვისაც მას აღარა სჭირდება „ძლიერი მფარველობა".

დიახ, უნდა სიხარულით ვეგებებოდეთ მუშკოოპის მოღვაწეობას. უფრო უნდა გავაღრმავოთ მისი მუშაობა, უფრო უკეთესად დაუკავშირდეს გლეხურ მასსებს, და მოაწყოს მათი მეურნეობა ისე, რომ სხვადასხვა შუამავალ ორგანოების დაუხმარებლად პირდაპირ განხორციელდეს ქალაქის კავშირი სოფელთან. ქალაქისა დასოფლის ამ უშუალო კავშირად ჩაითვლება მხოლოდ კოოპერაცია, თუ კი იგი ჯანსაღ ნიადაგზეა დაყენებული და ემსახურება მშრომელთა ინტერესებს.

გლეხ-კაცი იმდენად პრაქტიკულია, რომ მას შეუძლიან გაარჩიოს ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე.

კოოპერაცია უნდა გახდეს და უკვე ხდება კიდეც მისი საუკეთესო მეგობარად.

ს. ხანოიან.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას" ცნობები)

ჩვენ და უცხოეთი

შვეცია

საფოსტო შეთანხმება შვეციასთან.

მოსკოვი. 22 ნოემბერი. დაიწყო წერილების გადაცვლა გამოცხადებულ ფასებში შვეციასა და საბჭოთა კავშირს შორის.

ამხ. ოსინსკის დაბრუნება მოსკოვში.

სტოკჰოლმი. 21 ნოემბ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებოვან წარმომადგენელმა ოსინსკიმ თავისი გამოწვევის სიგელი ჩააბარა მეფეს და 22 ნოემბერს ბრუნდება მოსკოვში.

ჩეხო-სლოვაკია

მოხსენება საბჭოთა კავშირის შესახებ პრაგაში.

პრაგა. 21 ნოემბ. გერმანიის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა პროფესორმა მიულერმა პრაგის სამრეწველო კლუბში წაიკითხა მოხსენება საბჭოთა კავშირის შესახებ. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მიულერი მედგრათ ეკამათება ყველა იმათ, ვისაც არა სწამს სიმტკიცე საბჭოთა რეჟიმისა და საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. მიულერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთობ პოპულიარულია ხალხში და მოუწოდებდა დიპლომატიურ და სავაჭრო დაახლოვებისაკენ საბჭოთა კავშირთან.

მრეწველები უფრო შორსმჭვრეტელები არიან.

პრაგა. 21 ნოემბ. მრეწველების ორგანო „ტრიბუნა" ჰკიცხავს ნაციონალ-დემოკრატების ბელადის—კრამარჟის ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისი

„ზინოვიევის წერილი"

ლონდონი. 21 ნოემბ. „დეილი ჰერალდ„-ი იტყობინება, რომ ამ დღეებში საბჭოთა მთავრობამ გაეგზავნება ნოტა „ზინოვიევის წერილის" შესახებ, რომელშიაც ინგლისის კაბინეტი განაცხადებს, რომ, მისი აზრით, წერილი ნამდვილია. გაზეთი ამბობს: „რასაკვირველია, არავინ არ დაიჯერებს ამას, მაგრამ ბალდუინის კაბინეტი იძულებულია ასე მოიქცეს, რადგან მას არ შეუძლია აღიაროს, რომ მისი მთავარი ლოზუნგი არჩევნებში დამყარებული იყო სიყალბეზე".

კლასობრივი ბრძოლის გამწვავება პოლონეთში

ამხ. დომბალი პოლონეთის ახალ პარტიის შესახებ.

მოსკოვი. 21 ნოემბ. ამხ. დომბალმა, პოლონეთის სეიმის ყოფილმა გლეხთა დეპუტატმა და გლეხთა მოძრაობის ერთერთმა ხელმძღვანელმა, პოლონეთში ამას წინეთ დაარსებულ გლეხთა დამოუკიდებელ პარტიის შესახებ როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„პოლონეთში დაარსებული გლეხთა დამოუკიდებელი პარტია უკვე სეიმში ითვლის 6 დეპუტატს. ცნობილიც არის, რომ ამ პარტიამ სეიმში მუშაობის ნიადაგზე კავშირი შეჰკრა კომუნისტურ ფრაქციასთან. ორივე ეს ამბავი მოულოდნელ რამეს წარმოადგენს აქედან, როგორც სჩანს—პოლონეთის ორ პოლიტიკურ ბანაკთან ერთად ჩნდება მესამე—მუშათა და გლეხთა ბანაკიც, რომელიც დღე და დღე უფრო განმტკიცდება.

პოლიტიკური ბრძოლა პოლონეთში თანდათან უფრო მწვავდება და კლასიურათ ყალიბდება, სეიმის კედლებიდან ის გადადის ფართე მასსებში. პოლონეთის რეაქცია, რომლის ბურჯათაც ითვლებიან უმთავრესად მემამულეები, დიდ იერიშებს აწარმოებს გლეხთა დამოუკიდებელ პარტიის წინააღმდეგ და მოითხოვს რეპრესიებს მის მიმართ. მიუხედავათ იმისა, ეს პარტია გააფართოვებს თუ არა თავის თანამშრომლობას კომპარტიასთან, ან დაიჭერს თუ არა კავშირს გლეხურ ინტერნაციონალთან, სულ ერთია იგი ვერ აცდება დაუზოგავ დევნას, რადგან მისი არსებობა ემუქრება არსებითად პოლონეთის ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობას. ეს პარტია აკავშირებს აქნობამდის განზე დარჩენილ ღარიბ გლეხობის ფართე მასსებს და მოუწოდებს მათ პირდაპირ და გადამწყვეტ ბრძოლისაკენ, რომ მოიპოვონ მიწა და ხელისუფლება რევოლიუციონურ მუშათა კლასთან ერთად.

გლეხთა დამოუკიდებელ პარტიის დაარსება, რომელიც მოითხოვს მიწების ექსპროპრიაციას და გლეხებზე გადაცემას, ეროვნულ თვითგამორკვევის უფლებას და მუშურ-გლეხურ მთავრობის დაარსებას, უნდა ჩაითვალოს დიდ გარდატეხათ გლეხურ მოძრაობაში და მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თეთრგვარდიელთა პრესა

პავლე მილიუკოვი და თეთრგვარდიელთა მოძრაობა

რუსეთის ბურჟუაზიული რეაქციის ერთმა სულისჩამდგმელმა პ. მილიუკოვმა ამ ორი კვირის წინათ მოხსენება გააკეთა ქალაქ პრაგაში „თეთრი მოძრაობის" შესახებ. კერენსკის გაზეთი „დნი" შემდეგნაირათ გადმოგვცემს მოკლეთ მისი შინაარსის უმთავრეს დებულებებს.

„მომხსენებლის აზრით ცნება „თეთრი მოძრაობის" შესახებ არ არის საბოლოოთ გამორკვეული. შეიძლება გააფართოვო ის ისე, რომ ამ ცნებაში მოყვენ ბოლშევიკების ყველა მოწინააღმდეგენი. შეიძლება ამ ცნების ვიწროთ განმარტებაც. თეთრი მოძრაობის ელემენტები მილიუკოვის აზრით არიან შემდეგი: უმთავრესი ძალა არის რუსეთის დამცირებული და შეურაცხყოფილი ოფიცრობა, ძველი ბიუროკრატია, პოლიტიკური მიმდინარეობანი—მემარჯვენეები, დემოკრატიული ელემენტები, ბოლშევიკების მიერ დაძლეული სოციალისტური პარტიები და ბოლოს კაზაკები".

„ამ მოძრაობის დამარცხების მიზეზებათ მომხსენებელი ასახელებს მოკავშირე სახელმწიფოების მიერ ჩადენილ ღალატს, თვით მოძრაობის დანაწილებას, მემარცხენეების გვერდზე გადგომას, მემარჯვენეების გაძლიერებას და ხალხის ფართო მასების მტრულ განწყობილებას ამ მოძრაობისადმი".

„მილიუკოვმა დაათავა მით, რომ მისი აზრით თეთრი მოძრაობა საბოლოოთ მოკვდა. უკეთეს შემთხვევაში ამ მოძრაობიდან დარჩა მხოლოდ „ალტყინება მკვდარი ოცნებისათვის". მას მიაჩნია საქმისათვის მავნებელ ოცნებათ იმედი ახალი ომისა რუსეთის წინააღმდეგ. ამისთვის საერთაშორისო პირობები აღარ არის ხელსაყრელი და რუსეთი ამ შემთხვევაში გააფთრებით და უკანასკნელ კაცამდე დაიცავს თავის თავსო".

„მომხსენებელი წინადადებას იძლევა მოძებნილ იქნეს ახალი გზები და წინააღმდეგია შულგინის პროექტისა, რომელიც მოუწოდებს ემიგრანტებს შექმნან შეიარაღებული რაზმები ფაშისტების მსგავსათ. ის კატეგორიულად აცხადებს, რომ ძველი ფორმით მსხვერპლის გაღება აღარ შეიძლება".

როგორია ეს ახალი გზები—თუ რა სთქვა ამის შესახებ მილიუკოვმა, გაზეთი არას ამბობს.

ერთი ცხადია, რომ იარაღით ხელში დამარცხებას მილიუკოვი სცნობს. მარა აქ ახალი არაფერი არ არის. ვინ არ იცის ეს. აქ საინტერესოა ის, რომ მისი აზრით მოძრაობა მოკვდა და ფანტაზიათ გამოაქვს იმედი ახალი შეტევის შესახებ საბჭოების წინააღმდეგ.

ისევე როგორც ქართველმა მენშევიკებმა, მილიუკოვის ყაიდის „ხალხმაც" ისწავლა ჭკუა. მათ იარაღი ხელში შეაცივდათ და თვითონაც გაცივდენ, მოკვდენ. ეძებენ „ახალ გზებს". საითკენ? რასაკვირველია „უკომუნისტო საბჭოებისკენ" (როგორც ეს აზრი კარგი ხანია წამოაყენა მილიუკოვმა) და შემდეგ ნელ-ნელა (ან თუ შეიძლება კატასტროფიულად) დემოკრატიისაკენ, კონსტიტუციონური დემოკრატიისაკენ ე. ი. კადეტიზმისაკენ, ბურჟუაზიის დიქტატურისაკენ.

ამნაირათ ეს „ახალი გზა" მიდის ისევ ძველი მიზნისკენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, ისევე როგორც მენშევიკები იქცევიან ამ ბოლო ხანებში: აჯანყებაში ხელები დაიწვეს, აღარ უნდათ ხელმეორეთ მდუღარის გადასხმა უკვე დაწვარზე. ამიტომ „ახალ" გზას ირჩევენ, „ახალ პლატფორმებს" სთხზავენ ძველი მიზნების მისაღწევათ.

ტკბილი სიტყვებით ლეგალური გზის შესახებ, ვერც პირველნი და ვერც მეორენი ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანენ. ეს ოცნებაც ისე დაიმსხვრევა როგორც დაიმსხვრა სამხედრო ავანტიურა.

პასუხი ყვითლებს

ამხ. ლოზოვსკი „ფორვერტს"-ის წერილის შესახებ

მოსკოვი. 21 ნოემბ. პროფინტერნის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლოზოვსკიმ, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს უდეგესტის წერილის შესახებ, რომელიც „ფორვერტსში" დაიბეჭდა განაცხადა შემდეგი: „ყველაზე უფრო ნაკლები, რაც შეიძლება ითქვას უდეგესტის წერილის შესახებ—ეს არის ის, რომ ეს წერილი სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებს. უდეგესტმა არევდარევა შეიტანა საკითხში, ის ფიქრობს, რომ მთლიანობის პრობლემა გამოიხატება იმაში, რომ საბჭოთა პროფკავშირებს სურთ ამსტერდამის ინტერნაციონალთან გაერთიანება. მაგრამ საქმე შეეხება არა საბჭოთა პროფკავშირების შესვლას ამსტერდამის ინტერნაციონალში, არამედ ორი ინტერნაციონალების გაერთიანებას.

შემდეგ უდეგესტი იწყებს თავისი ღრმა აზროვანი კითხვების წამოყენებას. უდეგესტი, ალბათ, ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირები გასწყვეტენ თავის ორგანიულ კავშირს რუსეთის კომპარტიასთან, რომ ამით ასიამოვნოს ყველა ქვეყნების რეფორმისტები. უდეგესტი გვეკითხება, უარს იტყვიან თუ არა საბჭოთა პროფკავშირები ამსტერდამის ინტერნაციონალთან გაერთიანების შემდეგ კომუნისტური უჯრედების მოწყობაზე სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომლებიც ამსტერდამს ემორჩილებიან. დეე იცოდეს უდეგესტმა, რომ უჯრედებს აწყობენ და მომავალშიაც მოაწყობენ კომპარტიები, რომლებიც გაერთიანებული არიან კომინტერნში. არც კომპარტიები და არც კომინტერნი საბჭოთა პროფკავშირებს არ ემორჩილებიან. ასეთი მოთხოვნილებების წამოყენება არის მთლიანობის საქმის საბოტაჟი.

მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილოა უდეგესტის უკანასკნელი კითხვა: მზად არიან თუ არა საბჭოთა კავშირები იბრძოლონ მილიტარიზმის და ომის წინააღმდეგ. ომის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს ბრძოლას იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია სუსტ და დაჩაგრულ ერების დამონავება.

მუშათა კლასი, რომელმაც დაამხო თავისი ბურჟუაზია, უდიდეს სისულელეს ჩაიდენდა, თუ ის დაყრიდა იარაღს და საშუალებას მისცემდა უცხოეთის იმპერიალიზმს სისხლის მორევში ჩაახრჩოს ის. უდეგესტის გამოსვლა, რომელიც იმ დროს მოხდა, როდესაც „ფორვერტს"-ი კამპანიას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ, ამტკიცებს იმას, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის მემარჯვენე ფრთამ შეთქმულება მოაწყო ჩვენი წინადადების წინააღმდეგ, რომლითაც ჩვენ მოვითხოვთ ორივე ინტერნაციონალების გაერთიანებას მთლიანობის საერთაშორისო კონგრესის მოწვევის გზით".

საბერძნეთ—სერბიის კონფლიქტი

მოსკოვი. 21 ნოემბ. საბერძნეთის გაზეთების ცნობით, საბერძნეთის და სერბიის შეთანხმების ჩაშლა გამოწვეულია სამხრეთ-სლავიის მიერ. უკანასკნელი, თითქოს, აყენებს საკითხს კერძოთ სალონიკის ზევითა ზონის სუვერენიტეტის შესახებ. თავის მხრივ, სერბიის გაზეთი „დემოკრატია" ფიქრობს, რომ საბერძნეთი გრძნობს თავის მძიმე პასუხისმგებლობას. ეს იქიდან სჩანს, რომ საბერძნეთის მთავრობამ უარი სთქვა ეროვნულ კრებაში ამ საკითხის გარშემო კამათის გამართვაზე და შეეცადა მიეჩქმალა ბრალდება საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის კონდილისის წინააღმდეგ კაზელში და კრამში მომხდარი ამბების გამო.

ვრცელდება ხმები, რომ მოსალოდნელია კანდილისის და გარეშე საქმეთა მინისტრის გადადგომა, აგრეთვე მოსკოვში მყოფი საბერძნეთის ელჩის გადაყვანა ბელგრადში ცანდოსის ადგილზე და ლონდონში მყოფი საბერძნეთის ელჩის დანიშვნა გარეშე საქმეთა მინისტრად.

საფრანგეთი—მორგანის მონა

მორგანმა სესხი მისცა საფრანგეთს.

პარიზი. 21 ნოემბ. ფინანსთა მინისტრმა კლემენტალმა წინადადება შეიტანა დეპუტატთა პალატაში, რომ დამტკიცებული იქნეს სესხი, რომელიც მისცა მორგანმა საფრანგეთს. სესხის რაოდენობა უდრის 100 მილ. დოლარს და მისი ვადა განსაზღვრულია 25 წლით; საფრანგეთმა წლიურათ უნდა იხადოს 7 პროც. სესხი განთავისუფლებულია საფრანგეთის ყველა გადასახადებისაგან, როგორც ეხლანდელ, ისე იმ გადასახადებისაგან, რომლებიც შეიძლება შემოღებული იქნეს მომავალში. გაზეთი „ლიბერტე" იტყობინება რომ მორგანმა სესხის პირობათ წამოაყენა ის, რომ არც ერთი სანტიმი არ იქნეს დახარჯული საბჭოთა კავშირისათვის.

სესხის პროექტის მოწონება.

პარიზი. 21 ნოემბ. დეპუტატთა პალატამ 533 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 29-სა მოიწონა სესხის პროექტი, რომლის მიხედვით საფრანგეთს მორგანის ბანკი აძლევს სესხს 100 მილიონი დოლარის რაოდენობით.

ესტონელ კომუნისტების პროცესი

რეველი, 21 ნოემბ. სამხსამართლო ძიების მე-11 დღე დამთავრდა ნივთიერი საბუთების განხილვით. არსებითად ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს. წაკითხული იქნა ნაწყვეტები რეზოლიუციებიდან, რომლებიც მიღებული იყო სხვადასხვა კრებებზე და რომლებიც შეიცავენ კომინტერნის პლატფორმის აღიარებას.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკა არ ფიქრობს განიარაღებას.

ნიუ-იორკი. 22 ნოემბერი. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (საგარეო საქმეთა სამინისტრო) ოფიციალურად უარყოფს ცნობას ჟენევიდან თითქო შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული ჰქონდეს მოიწვიოს ევროპაში კონფერენცია განიარაღების შესახებ. დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ მთავრობის აზრით, საკითხი ხმელეთზე განიარაღების შესახებ ეხება პირველყოვლისა ევროპას. თუმცა კონსერვატორების გამარჯვება ინგლისში შესაძლებლად ხდის ვაშინგტონში მეორე კონფერენციის მოწვევას საზღვაო განიარაღების საკითხის განსახილველად, მაგრამ ამ კონფერენციის მოწვევასაც დაბრკოლება ეღობება, რადგან იაპონია და საფრანგეთი განიარაღების წინააღმდეგი არიან.

გაფიცვა ავსტრალიაში.

ლონდონი. 22 ნოემბერი. ავსტრალიის ნავთსადგურების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. სოლიდარობის ნიშნათ გაიფიცენ აგრეთვე მუშები, რომლებიც შორეული საზღვაო მიმოსვლის გემებზე იმყოფებიან. ამიტომ ავსტრალიის ნავთსადგურიდან ვერ გავიდა ვერც ერთი გემი—გაფიცვა გამოიწვია ზედმეტი საათების მუშაობის საკითხმა.

მექსიკის შრომის ფედერაციის ყრილობა.

ნიუ-იორკი. 22 ნოემბერი. ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობასთან ერთად (ქ. ელპაზოში), მექსიკის ახლოპელ ქალაქ ხუდრეცში გაიხსნა მექსიკის შრომის კონფედერაციის ყრილობა.

ყრილობის დელეგატი—კომუნისტი ალფონსო ხერია გააძევეს ყრილობიდან.

უკმაყოფილო დარჩენ

ნიუ-იორკი. 22 ნოემბერი. ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობაზე ყვითელი ბელადები უკმაყოფილო დარჩენ იმით, რომ ინგლისის პროფკავშირების დელეგაციამ მოითხოვა საბჭოთა კავშირის ცნობა და დაიცვა რუსეთის რევოლიუცია

ინგლისი და ეგვიპტე

ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტი მწვავდება

ლონდონი, 21 ნოემბ. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოლაპარაკება დაიწყოს ეგვიპტეს მთავრობასთან იმ „სერიოზულ მდგომარეობის" გარშემო, რომელიც შეიქმნა გენერალ ნისტაკის მოკვლის გამო.

გალენიან პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ თუმცალა იურიდიულად ეგვიპტეს მთავრობა არ შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებელად მკვლელობისათვის, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია თავი დააღწიოს აქედან გამომდინარე შედეგებს; ლი-სტაკის მოკვლამ მეტად საეჭვო გახადა ინგლისის და ეგვიპტის თანამშრომლობის შესაძლებლობა ურთიერთ ნდობის ნიადაგზე.

ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ არავითარი ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ეს კონფლიქტი გამოყენებული იქნება, როგორც საბაბი სუდანის ანექსიისათვის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საბჭოთა არჩევნები

მოსკოვი. 21 ნოემბ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობით 21 ნოემბრისთვის იმ მაზრების რიცხვი, სადაც ჩატარებულია სოფლისა და თემების საბჭოთა არჩევნები, უდრის 197-ს. საქალაქო არჩევნები მოხდა 86 ქალაქში. სამაზრო ყრილობები მოხდა 91 მაზრაში, საგუბერნიო კი—ორ გუბერნიაში.

კომუნისტების რიცხვი საბჭოებში გაიზარდა წარსულ არჩევნებთან შედარებით, საბჭოებში არჩეულ კომუნისტების პროცენტმა მოიმატა შემდეგნაირათ: სოფლის საბჭოებში 8—11 პროცენტი. თემებისა ყრილობისთვის — 16—25 პროცენტი. თემის აღმასკომში—45—54 პროც. სამაზრო ქალაქის საბჭოებში —61—63 პროც. სამაზრო ყრილობისათვის—59—61 პროცენტი. საგუბერნიო ყრილობისათვის—54—65 პროც.

თოვლის ქარბუქი შავი ზღვის სანაპიროებზე.

ადესა. 21 ნოემბ. შავი ზღვის ნაპირებზე ჩამოვარდა პირველი თოვლი. ადესის რაიონში საშინელი ქარბუქი ტრიალობს. ქარიშხალი გლეჯავს ნავებს, ჰფანტავს პატარა გემებს უბრალო ნაფოტებივით და განზე ისვრის დიდ ხომალდებს. ზღვაში გასულ იალქნიანი გემების მდგომარეობა ერთობ სახიფათოა.

პროფჰიგიენის საერთო საკავშირო თათბირი.

მოსკოვი. 22 ნოემბ. საერთო საკავშირო თათბირი პროფჰიგიენისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის საკითხების შესახებ გაიხსნება 25 ნოემბერს.

გლეხკორის მოკვლა.

დონის-როსტოვი. 21 ნოემბ. გაზეთ „მოლოტს" ატყობინებენ, რომ დონის ოლქში, ელიზავეტინსკის სლობოდაში მოუკლავთ გლეხკორი —ხოპრიკი. მსხვერპლი უპოვიათ ხელებშეკრული.

ხოპრიკი მხურვალე მონაწილეობას იღებდა კედლის გაზეთში. სიკვდილის წინეთ იგი აპირებდა როსტოვში წასვლას რაღაცა ქაღალდებით, რომლებიც სიკვდილის შემდეგ უგზოუკვლოთ დაიკარგნენ.

პროტესტი ამხ. ტომპის დახვრეტის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 22 ნოემბერი. ესტონელთა კლუბში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი ამხ. ტომპის დახვრეტის წინააღმდეგ. მიტინგს ესტონელ მუშებს გარდა, დაესწრნენ ბევრი ფინელი მუშა. კრებამ ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც იგი ჰკიცხავს ესტონიის ბურჟუაზიის საქციელს.

ნავთის მრეწველობის საწარმოვო-საფინანსო გეგმა.

მოსკოვი. 20 ნოემბ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა 18 ნოემბერს დაამტკიცა ნავთის მრეწველობის საწარმოვო-საფინანსო გეგმა 1924—25 წლისათვის. ნავთის ამოღება განსაზღვრულია 412 მილიონი ფუთით, აქედან „აზნავთს" ხვდება—296 მილ. ფუთი, „გროზნავთს" 105 მილ. ფ. „ემბანავთს"—10 მილ. ფუთი. ნავთის პროდუქტების ექსპორტი ნავარაუდევია—323 მილ. ფუთის რაოდენობით. აქედან ნავთის სათბობი მასალა—236 მილ. ნავთი—51 მილ. ფუთი. ხავთის პროდუქტების გასაღებიდან შინაურ და საგარეო ბაზარზე მოსალოდნელია მოგება—14 მილ. მანეთი. საშუალო ფასი მაზუთზე-ნავარაუდევია —30,5 კაპ. ფუთი, გზათა სახ. კომისარიატისათვის 29 კაპ. გადასწყდა მიეცეს ნავთის სინდიკატს მოკლე ვადიანი კრედიტი 9 მილ. მანეთის რაოდენობით.

რუსეთ-სპარსეთის საფეიქრო ამხანაგობა.

მოსკოვი. 20 ნოემბ. საფეიქრო სინდიკატის გამგეობის თათბირზე საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა თანდასწრებით მიღებული იქნა ხელშეკრულების პროექტი რუსეთ-სპარსეთის შერეულ საფეიქრო ამხანაგობის „ბაზარი ირან-რუს" დაარსების შესახებ: ამ საზოგადოების დამაარსებლათ ითვლებიან საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი მისი სავაჭრო წარმომადგენელის სახით სპარსეთში და საფეიქრო სინდიკატი. ამხანაგობა შეისყიდის საფეიქრო ნაწარმოებს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ სპარსეთში გასატანად და დაამზადებს ნედლ მასალას სპარსეთში საბჭოთა კავშირში შემოსატანად. გამგეობა იქნება თეირანში.

უკრაინა

მუშკორ სინიცინზე თავდამსხმელის გასამართლება.

კიევი. 21 ნოემბერი. დასრულდა „პროლეტარსკაია პრავდის" მუშკორ სინიცინის მკვლელის საქმის განხილვა. ბარზაკოვსკის მიუსაჯეს 5 წლის დაპატიმრება უფლების აყრით 5 წლის განმავლობაში. ბარზაკოვსკის ცოლს პირობით მიუსაჯეს 3 წლით დაპატიმრება.

ჩვენი მეურნეობა ოქტომბერში

მოსკოვი. 21 ნოემბ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონიუნქტურო საბჭოს სხდომაზე ამხ. გრომანმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ ოქტომბერში. მან განაცხადა:

„ოქტომბერში ჩვენ ვხედავთ სამრეწველო პროდუქციის არაჩვეულებრივ ზრდას, იშლება შემდეგი განვითარების პერსპექტივები, იზრდება შრომის ნაყოფიერება და რეალური სამუშაო ხელფასი, ფართოვდება ტვირთების ბრუნვა, იზრდება საბითუმო-საცალო ვაჭრობა, მოთხოვნილება აღემატება მიწოდებას, იზრდება ფულის მასა, მატულობს ფულის სყიდვითი ძალა, იზრდება აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივ შემოსავალთა საერთო ჯამი".

ფეიქართა ყრილობა

მოსკოვი, 22 ნოემბ. 21 ნოემბერს გაიხსნა ფეიქართა მეექვსე ყრილობა.

ამხ. კუტუზოვის სიტყვა

ყრილობის გახსნისას ამხ. კუტუზოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ეხლანდელი სამეურნეო პირობები დიდად განირჩევა იმ პირობებისაგან, რომლებიც იყო მეხუთე ყრილობის დროს. „ეხლა,—განაცხადა მან, ადგილი არ აქვს უიმედობას, პირიქით, საშუალება გვაქვს აღვნიშნოთ მიღწეული წარმატებები და შევიმუშავოთ მტკიცე და ერთსულოვანი მუშაობის გეგმა, რათა საფეიქრო მრეწველობა აღორძინდეს".

კრებამ ერთხმად დაადგინა აღნიშნულ მეექვსე ყრილობას ეწოდოს ფეიქართა სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყრილობა გახსნილად იქნა გამოცხადებული. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 25 კაცისაგან, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

ამხ. კალინინის მისალმება

საბჭოთა კავშირის და საბჭოთა რუსეთის მთავრობის, აგრეთვე რ. კ. პ. ცეკას სახელით ფეიქართა ყრილობას ესალმება ამხ. კალინინი:

„მე მოგესალმეთ თქვენ,—ამბობს ის,—მეხუთე ყრილობაზე და მაშინ ის აზრი გამოვსთქვი, რომ ფეიქრებს მოუხდებათ მთელ რიგ მძიმე წლების გადატანა. ბამბის სიმცირის გამო ჩემი შეხედულება არ გამართლდა. ამ ჟამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საფეიქრო მრეწველობა წლიდან წლამდე გაადიდებს მის მიერ დამუშავებულ პროდუქტების საერთო რაოდენობას. ამიტომ ეხლანდელ ყრილობას უფრო მეტი იმედით შეუძლია უცქიროს მომავალს.

ჩვენი ამოცანები.

პირველი მორიგი ამოცანაა შრომის ნაყოფიერების გადიდება იმ ზომამდე, რომ ჩვენი საფეიქრო მრეწველობა გაუთანასწორდეს უცხოეთის პირველ ხარისხოვან საფეიქრო წარმოებებს.

მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ავამაღლოთ მუშა-ფეიქრების კულტურული დონე ვინაიდან, შრომის ნაყოფიერება განიზომება არა მარტო იმ პროდუქტების რაოდენობით, რომელიც დამუშავებულია განსაზღვრული დროის განმავლობაში, არამედ აგრეთვე დამზადებული მასალების ღირსებით, იმ მანქანის დაცვით, რომელზედაც მუშაობს მუშა და მუშის მთელ რიგ თვისებებით.

მესამე ამოცანაა—მჭიდრო კავშირი გლეხობასთან. ამ მხრით მუშათა კლასის საფეიქრო სექტორმა უნდა შეასრულოს თავისი როლი, ვინაიდან ის თავისი ფესვებით ყველაზე უფრო დაკავშირებულია გლეხობასთან".

ამხ. ძერჟინსკის სიტყვა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ძერჟინსკი, რომელიც აღნიშნავს, რომ ფეიქართა კავშირის ყრილობას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან ერთ-ერთ უმთავრეს მიმჯნეს მუშების და გლეხობის კავშირის განმტკიცებაში წარმოადგენს საფეიქრო პროდუქცია. აღნიშნავს რა საფეიქრო მრეწველობის ზრდას უკანასკნელი წლების განმავლობაში, ამხ. ძერჟინსკი ამბობს, რომ შესრულებული დიდია და ძნელი მუშაობა საფეიქრო მრეწველობის პროდუქტების გასაიაფებლად. საფეიქრო პროდუქტებზე ფასები დაწეულია 33—50 პროცენტამდე. ამ მიღწევებმა ჩვენ არ უნდა გაგვიტაცოს. ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგანაც ჩვენ ნორჩი ვართ, ჩვენ მხოლოდ ეხლა ვი რდებით.

საფეიქრო მრეწველობის პროგრამა მომავალი წლისათვის იძლევა მომატების 53 პროცენტით. წარმოების ასე გადიდება უზრუნველყოფილია როგორც ნედლი მასალით, ისე ფაბრიკების მუშაობით.

საფრანგეთის ფეიქრების მისალმება

შემდეგ საფრანგეთის რევოლიუციონურ ფეიქრების სახელით ყრილობას ესალმება საფრანგეთის ფეიქართა ფედერაციის მდივანი ფულოდი, რომელიც აღნიშნავს, რომ საფრანგეთის 50,000 ფეიქარი, რომლებიც გაერთიანებული არია ფედერაციაში, ენერგიულად იბრძვის პროლეტარიატის ერთიანი ფრონტისათვის მთელს მსოლიოში.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა თურქესტანის და ბუხარის ფეიქართა მისალმება.

ამხ. ტომსკის სიტყვა

ტომსკი, რომელიც ესალმება ყრილობას სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სახელით, ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მეექვსე ყრილობამ რომელიც ეხლახან დამთავრდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხს. „ეს საკითხი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის",—ახლოა განხორციელებასთან. ინგლის-საბჭოთა კავშირის მთლიანობის დამყარების ფაქტმა ჰპოვა გამოძახილი თეთრგვარდიელთა პრესაში, რომელიც დობლ მორეული გვკიცხავს ჩვენ და ჩვენს ინგლისელ ამხანაგებს. თუ თეთრგვარდიელები ასე უკმაყოფილო არიან ჩვენ აქედან უნდა ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ჩვენ მართლაც კარგს და სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ".

მელითონეთა საკავშირო კონფერენცია

ლითონის მრეწველობა.

მოსკოვი. 22 ნოემბ. მელითონეთა სრულიად საკავშირო კონფერენციის 21 ნოემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ლითონის მრეწველობის მთავარ სამმართველოს თავმჯდომარის ამხ. ძერჟინსკის მოხსენება ლითონის მრეწველობის შესახებ.

ამხ. ძერჟინსკი ვრცელ ციფრობრივი მასალებით ახასიათებს ლითონის მრეწველობის მდგომარეობას უკანასკნელი წლების განმავლობაში, ხაზს უსვამს ჩვენი მეურნეობის ჩქარ ზრდას წარმოების ყველა დარგებში, აღნიშნავს, რომ შეუჩერებლად იზრდება მოთხოვნილება ლითონის მრეწველობის პროდუქტებზე.

დასასრულ, ძერჟინსკი ეხება იმ ზომებს ლითონის მრეწველობის 1924—25 წლის პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად და ამბობს, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ტრესტების თვითნებობას. მთელი ლითონის მრეწველობის ხელმძღვანელობა უნდა იყოს ერთი საგეგმო ორგანოს—ლითონის მრეწველობის მთავარ სამმართველოს ხელში.

მთელი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ინტენსიობის გადიდებას, რაც საშუალებას მოგვცემს ტექნიკური გაუმჯობესებები შევიტანოთ წარმოებაში.

პირველ ყოვლისა ლითონის მრეწველობაში არ უნდა ქონდეს ადგილი სამუშაო ხელფასის გასტუმრების დაგვიანებას. ძერჟინსკის შემდეგ თანამომხსენებლად გამოდის ბოგდანოვი.

რკინისგზელთა კავშირის ც. კ. პლენუმი

ამხ. რუძუტაკის მოხსენება

მოსკოვი. 21 ნოემბერი. 21 ნოემბერს რკინისგზელების კავშირის ცეკას პლენუმზე ამხ. რუძუტაკმა გააკეთა მოხსენება ჩვენ რკინისგზების მდგომარეობის შესახებ.

„რკინისგზის ტრანსპორტი—სთქვა მან,—სავსებით აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებებს. ქვეყანა უზრუნველყოფილია გადასაზიდი საშუალებებით, ვაგონების მეურნეობაში ჩატარებულია დიდი მუშაობა ერთიანი საბარგო ვაგონის შემოსაღებად. მოძრავ შემადგენლობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დატვირთვის ნორმები ამჟამად აღემატება ომამდე არსებულ ნორმებს. ტვირთების დაკარგვა რკინისგზებზე შესწყდა. 1922 წ. 1 მილიონ ფუთ ვერსზე იკარგებოდა 10 ფუთი, საერთოდ მთელ წლის განმავლობაში უდრიდა 14 ნახ. მილიონ ფუთს. 1923—24 წ. დაკარგული ტვირთები 0,02 ფუთს არ აღემატება იმავე ერთ ფუთ ვერსზე.

ამავე დროს გზების და სარემონტო სახელოსნოების მდგომარეობა ძლიერ ჩამორჩება გადაზიდვის მდგომარეობას. მთელი რიგი საპასუხისმგებლო რკინისგზებისა გზების მხრივ ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ ჩვენი ორთქლმავლები ვერ მუშაობენ იქ სრული დატვირთვით.

გზების მხრივ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან ტაშკენტის და პერმის რკინისგზები. მაგრამ მიუხედავად ასეთ არახელსაყრელ პირობებისა რკინისგზების მუშაობა უმჯობესდება.

მოხსენების დასასრულს რუძუტაკი ამბობს, რომ აუცილებელია შრომის დისციპლინის განვითარება და შრომის ნაყოფიერების შემდეგი გადიდება.

სასოფლო მეურნეობა

რამდენათ საჭიროა ჩვენთვის ხეხილის სანერგე ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. მთელ საბჭოთა საქართველოში სანთლითაც რომ ეძებოთ კარგათ მოვლილი დამყნილი ხეხილის ძირს ვერ იშოვით. მოთხოვნილება კი მათზე მეტად დიდია.

როგორც სახელმწიფო ისე კოოპერატიული დაწესებულებები გრძნობენ ხეხილის სანერგის საჭიროებას, მაგრამ საქმე დღესაც მოუგვარებელია.

წარმოკავშირი იღებს იჯარით 10 დესეტინა ალგეს ციხის ძირში (სნის ხეობა) ცენტრალური ხეხილის სანერგის გასაშენებლათ, რისთვისაც გადადებულია 10,000 მანეთი და მიუღიათ ზომები გრძელ ვადიან სესხის მისაღებათ.

ადგილი ძალიან შესაფერისი ამოურჩევია წარმოკავშირს. მაგრამ საეჭვოა რომ ასეთმა პატარა სანერგემ, ისიც ნასესხებ ფულით გაშენებულმა, სანერგე მასალა გამოუშვას ხელმისაწვდენ ფასებში.

ყოველთვის ემჯობინებოდა იმ 10.000 მანეთს, რომელიც გადაუდევია სანერგის გასაშენებლათ წარმოკავშირს დაემატოს 10.000 მანეთი ცეკავშირისაგან და ამდენიც მიწათმოქმედი კომისარიატისაგან და ასე ყოველ წლიურათ სამი წლის განმავლობაში, ვიდრე სანერგე არ გახდება თვით შემოსავლიანი. ამ თანხით თამამათ შეიძლება გაიმართოს ერთი დიდი, ნამდვილი ცენტრალური, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, ხეხილის სანერგე, საიდანაც, ყოველივე ეჭვის გარეშე, შესაძლებელი იქნება იაფფასიანი და შესაფერ ჯიშებით დამყნილი ხეხილის გაშვება.

გარით ანგარიშით ხეხილის სანერგემ ყოველწლიურად უნდა გამოუშვას 300.000 დამყნილი ხეხილი, რაც სავსებით დააკმაყოფილებს ჩვენი რესპუბლიკის ყოველწლიურ მოთხოვნილებას.

ხეხილის სანერგე, რასაკვირველია, უნდა გაიმართოს გორის მაზრაში, როგორც მეხილეობის ცენტრში. ალაგი იმგვარი სანერგისათვის გორის მაზრაში მოიპოვება და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გორის მაზრის აღმასკომი საქმის ინიციატორო დახმარებას გაუწევს.

მიწათმოქმედების კომისარიატმა კი უნდა იკისროს ამ საქმის ხელმძღვანელობა.

ე. ბერიტაშვილი.

1924—25 წ. ბიუჯეტები*)

II

საქართველოს ბიუჯეტი

საქართველოს ფინანსიური მდგომარეობა მძიმეა, მისი ბიუჯეტი მეტად დეფიციტიანია, მაგრამ ასეთი პირობები დროებითია, და შორს არაა ის ჟამი, როდესაც საქართველო ფინანსიურათ მტკიცე ნიადაგზე დადგება. საქართველოს ახსოვს დრო, როდესაც მისი შემოსავალი ფარავდა ყოველგვარ მის ტერიტორიაზე გაწეულ ხარჯებს და კიდევაც რჩებოდა მას წლიურათ რამდენიმე მილიონი მან. თავისუფალი, რომელსაც ნიკოლოზის მთავრობა თავის პოლიტიკურ საქმეების მოსაგვარებლათ იყენებდა.

სამი გზით შეიძლება დამტკიცება იმისა, რომ მომავალში საქართველოს უდეფიციტო ბიუჯეტი ექნება. 1. ამას ამტკიცებს ომამდე საქართველოს ფინანსიური მდგომარეობის გამოკვლევა; 2. საქართველოს სავაჭრო ბალანსი ომამდე (ანგარიშგასწორების შესახებ ცნობები არა გვაქვს) და, ბოლოს, 3. საქართველოს ბუნების სიმდიდრე და მისი გეოგრაფიული მდებარეობა. ეს მესამე საკითხი ვრცელ კვლევას მოითხოვს და ამისათვის საჭირო დამუშავებული მასალა ჩვენ მოგვეპოვება, მაგრამ ამ გზით კითხვის შესაფერი გაშუქება და ახსნა ერთ წერილში არ შეიძლება. ამ კითხვას ჩვენ მომავალში დაუბრუნდებით; ხოლო იმის დასამტკიცებლათ, რომ საქართველოს ბიუჯეტი შეიძლება უდეფიციტო იყოს. სრულიად საკმარისია აქ მოვიყვანოთ ცნობები იმის შესახებ, თუ 1) როგორი ურთიერთობა იყო საქართველოს ტერიტორიაზე შემოსავალ-გასავლის შორის და 2) რას წარმოადგენდა საქართველოს სავაჭრო ბალანსი, ესე იგი, უნდა გავითვალისწინოთ, თუ რას წარმოადგენდა ფინანსიურად საქართველო ომამდე; მხოლოდ ამ წარსულის შესწავლა მოგვცემს საზომს, რომლის საშუალებით ჩვენ დავაფასებთ საქართველოს თანამედროვე ფინანსიურ მდგომარეობას. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ აქ მოვიყვანთ ცნობებს საქართველოს შემოსავალ-გასავლის შესახებ 1911-დან 1913 წლამდე.

საქართველოს ბიუჯეტი ომამდე.

ქუთაისის და თბილისის გუბერნიების და ზაქათალის, სოხუმის და ბათომის ოლქის 1911—1913 წ. წ. შემოსავლის გამოიხატებოდა.

	1911	1912	1913	წლიური საშუალ.
		ათას მანეთებში.		
პირდაპირი გადასახადი და გამოსაღებელი	6709	5868	7.566	6.381
არა პირდაპირი გადასახადი და ბაჟები . .	7178	7747	8928	7.784
რეგალიებ . .	1622	1792	9939	1.787
სახელმწიფო ქონება და წარმოებანი (აქ შედის რკინის გზ. შემოსავალი).	22447	24003	28471	24 974
სხვადასხვა შემოსავ.	3590	3598	4126	3771
სულ .	40546	43008	50530	44694

ამ რიგად საქართველოს წლიური შემოსავალი ომის წინა დროს უდრიდა 40—50 მილ. მანეთს და თანდათან მატულობდა.

მაგრამ როგორი იყო ამავე ხანაში საქართველოს ხარჯები? შეიძლება შემოსავალი არც კი ფარავდა მეფის მართვა-დაცვის ხარჯებს საქართველოში? ამ კითხვაზე ციფრები იძლევიან შემდეგ პასუხს:

ხარჯები საქართველოზე იმავე საზღვრებში.

	1911	1921	1913	წლ. საშუალ.
		ათას მანეთებში.		
1. საეკლესიო უწყება	603	600	600	600
2. შინ. საქმეთა სამ.	3515	4949	5090	4518
3. ფინანსთა „	4782	3563	3848	4064
4. იუსტიციის „	2285	2621	2732	2513
5. განათლების „	1685	1830	2187	1901
6. საგზაო „	7085	7885	8813	7927
7. მიწათ-მოქმედ „	1151	1366	1813	1450
8. ვაჭრ. და მრეწ. „	298	364	44[illegible]	370
9. სამხედრო „	1585	13942	1459[illegible]	13374
10. სახ. კონტრ. -	166	203	214	192
11. დანარჩენები „	53	51	28	44
სულ	33208	37274	45837	38773

ხარჯების გამოანგარიშებაში საფუძვლად მიღებულია მცხოვრებთა რაოდენობა; მასალები აღებულია მეფის მოადგილის სამმართველოდან (ეს მასალები თავის დროზე დაიმუშავა პროფ. ფილ. გოგიჩაიშვილმა).

როცა შევადარებთ ერთმანეთს შემოსავალ-გასავლის ზემოაღნიშნულ ჯამებს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

	1911	1912	1913	წლ. საშ.
შემოსავ.	40546	43008	50530	44694
გასავალი	33208	37274	45837	38773
შემოსავალი მეტია . .	7338	5734	4693	5921

ამნაირად, მეფის რეჟიმის ხარჯები საქართველოში, რომელსაც მეფური სიუხვით ეჭმოდა ბიუროკრატია საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე, მაინც ნაკლები იყო შემოსავალზე, რომელიც იკრიბებოდა ჩვენს ტერიტორიაზედ, და გარდა ამისა საქართველოში აკრეფილ ფულიდან პეტერბურგის სალაროში ყოველწლივ საშუალოდ შედიოდა ექვსი მილიონ მანეთამდე.

საქართველო თავის ტერიტორიაზე ინახავდა შტატებს: საეკლესიო უწყებისას, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, იუსტიციის, განათლების, გზათა, ვაჭრობის და მრეწველობის, მიწათ-მოქმედების და სამხედრო სამინისტროების და სახელმწიფო კონტროლისას.

ამ უწყებიდან იმ დროში ხარჯავდნენ საშუალოდ:

შინაგან საქმ. სამინ.	4.518	ათასი მ.
ფინანსთა .	4.064	„ „
იუსტიციის .	2.513	„ „
განათლების .	1.901	„ „
გზათა . .	7.927	„ „
მიწათ-მოქმედების	1.450	„ „
სამხედრო .	13.374	„ „

ეს ცნობები მოწმობენ, რომ ომის წინა დროს საქართველოს საგადასახადო უნარიანობა შედარებით მაღლა იდგა და მას შეეძლო ამდენი ხარჯების გაწევა ქვეყნის შინამართველობაზე და სამხედრო ძალით მის დაცვაზე და გარდა ამისა ექვსიოდე მილიონი მანეთი, რომელიც ხარჯების დაფარვის შემდეგ ზედმეტად რჩებოდა, იგზავნებოდა პეტერბურგში სრულიად რუსეთის სხვა ნაწილების შესანახ ხარჯების გასაძლიერებლად,

ახლა თუ ავიღებთ მთელს შემოსავალსა და გასავალს, მეფის სახელმწიფო კონტროლის ცნობებიდან ირკვევა, რომ ა.-კ. წლიური საშუალო შემოსავალი 1897—1901 წ.წ. უდრიდა 59,6 მილ. მან., ხოლო წლიური გასავალი 58,2 მილ. მანეთს. ა.-კ. ომის წინადროის წლიური შემოსავალი სამი წლის განმავლობაში გამოიხატებოდა ათას მანეთებში:

	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი
1911 წ.	88.924	88.868	6.356
1912 წ.	95.900	94.431	1 469
1913 წ.	110.434	103.438	6.996

თუ შევადარებთ ა.-კ. შემოსავლის წმინდა ნაშთს საქართველოს ასეთსავე ნაშთს, მივიღებთ შემდეგს (ათას მანეთებში):

	ნაშთი ა.-კავკასიაში	ნაშთი მარტო საქართველოში
1911 წ.	6.356	7.338
1912 წ.	1.469	5.734
1913 „	6.996	4.693
სულ .	14.821	17.765

ეს ცხრილი გვითვალისწინებს, რომ 1911 წ. საქართველოში იყო ნაშთი 7.338 ათას მან., ამიერ-კავკასიის დანარჩენ ნაწილმა კი დატოვა დეფიციტი—982 ათ. მან., შემდეგ საქართველომ მისცა რუსეთს წმინდა შემოსავალი 1912 წ.—5 734 ათ. მან. და 1913—4.694 ათ. მან. და ა.-კ. დანარჩენ ნაწილებმა ამავე წლებში მიუტანა ზარალი 4.268 ათას მან. და 2.303 ათ. მან.

ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ აღებული სამი წლის განმავლობაში, საქართველოს გარდა, ა.-კ. დანარჩენი ნაწილები იძლეოდნენ დეფიციტს, რომლის დასაფარავად იხარჯებოდა საქართველოს შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი, დაახლოვებით ექვსი მილ. მან. წლიურად.

ზემომოყვანილ ცნობებიდან სჩანს, რომ საქართველოში იხარჯებოდა: სამხედრო უწყებებზე მთელი ხარჯების ერთი მესამედი, ანუ 13,4 მილ. მან.; გზათა სამინისტროზე—8 მილიონ მანეთამდე; შინაგან საქმეთა სამინისტროზე 4,5 მილიონ მანეთამდე; ფინანსთა სამინისტროზე—4 მილ. მან. (ეს გარემოება, რასაკვირველია, ხელს უწყობდა კარგი საგადასახადო აპარატის შექმნა-შენახვას); იუსტიციას ეპყრობოდნენ ნაკლები ყურადღებით; მცირე ყურადღებას აქცევდნენ აგრეთვე განათლებას და კიდევ უფრო მცირეს—სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებას. ასეთი იყო ომამდე საქართველოს ფინანსიური მდგომარეობა მიუხედავათ იმისა, რომ მისი მოსახლეობა ნიკოლოზის რეჟიმის წყალობით დასავლეთ ევროპის და ამერიკის უკეთეს და გაცილებით უფრო იაფ საქონელს ვერ ყიდულობდა, რადგან მასზე მთავრობის მიერ თითქმის აკრძალვითი ბაჟები იყო დაწესებული და ხალხი იძულებული ხდებოდა რუსეთის ბევრად ნაკლებ ღირსების საქონელში გაცილებით მეტი ფასი მიეცა. მაგრამ ასეთ მძიმე პირობებშიც საქართველოში 1911—13 წ.წ. საშუალო წლიური შემოსავალი უდრიდა 44,7 მილ. მან., გასავალი—38,7 მილ. მან. და განსხვავება 6 მილ. მან. იგზავნებოდა მაშინდელ პეტერბურგში. ასეთი იყო საქართველოს ბიუჯეტი ომამდე.

სავაჭრო ბალანსი ომამდე.

სავაჭრო ბალანსის საკითხი ექსპორტის და იმპორტის საკითხია. ამ დარგში სტატისტიკური მასალა ნაკლებია და ამავე დროს ბუნდოვანი და დაუმუშავებელი. მაგრამ ჩვენ შევეცადეთ გავცნობოდით სხვა და სხვა ოფიციალურ წყაროებს, დაბეჭდილ მასალებს, და უწყებებში და ზოგიერთ დაწესებულებებში ჯერ კიდევ დაუმუშავებელ საბუთებს, და მათი შესწავლამ დაგვანახვა, რომ მხოლოდ შავი-ქვა, თამბაქო, პარკი, მატყლი, ღვინო, ხილი, ბამბა, სიმინდი, ბორჯომის წყალი, „შვეიცარიის ყველი" და ტყის მასალა, რომელიც ომამდე გადიოდა საქართველოდან, თავის ღირებულებით არავითარ შემთხვევაში არ იყო ნაკლები 45 მილ. მან. ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს მიღებული ექსპორტი კონიაკის, ჩაის, დაფნის ფურცლის, ბოსტნეულობის, ტყავეულობის და ზოგი სხვა.

მეორე მხრით, მ. სმირნოვის გამოანგარიშებით (Ежен. Жизнь Кавказа. 1921 წ. წიგნი—2, „ამიერ-კავკასია და ევროპა") მთელი იმპორტია ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 27,5 მილ. მან. ჩემი ანგარიშით კი იმპორტის ღირებულება უნდა იყოს არა ნაკლები 30 მილ. მან. და, მგონია, სინამდვილესთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ იმპორტის ღირებულებას ვივარაუდებთ—40 მილ მანეთამდე. ასეთ ციფრს გვაძლევს ჩვენ საქართველოში შემოტანილი სხვადასხვა საქონლის ჯგუფებათ დაყოფა და ყველა ამ ჯგუფების საშუალო ღირებულებათა აჯამვა.

ამნაირად ომამდე საქართველოს სავაჭრო ბალანსი ყოველ შემთხვევაში აქტიური ჰქონდა, იმდენათ აქტიური, რომ ანგარიშსწორების ბალანსიც უსათუოდ აქტიური უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება საქართველოს ბიუჯეტს აძლევდა მტკიცე, ურყევ ნიადაგს.

ზემო მოყვანილი ცნობები გვითვალისწინებენ, რომ ომამდე საქართველოს შემოსავალი მის გასავალს ექვსი მილიონი მანეთით სჭარბობდა და ამავე დროს საქართველოს სავაჭრო ბალანსი იყო აქტიური. ასე იყო ომამდე, და ის ფაქტორები, რომელნიც საქართველოში ასეთ ფინანსიურ მდგომარეობას ჰქმნიდნენ, რასაკვირველია, ნორმალურ პირობებში ისევ ჰპოვებენ თავის ძალას და თავის გავლენას ბიუჯეტის საკითხში.

დ. თ.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 251.

„თბილისელი მუშა" მოსკოვში

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. დვორიანოვი, რომელმაც შემდეგი გადმოგვცა „თბილისელი მუშის" ილიჩის სახელობის საჰაერო რაზმისათვის გადაცემის შესახებ.

გადაცემა დანიშნული იყო 7 ნოემბრისათვის, მაგრამ ოქტომბრის დღესასწაულობის გამო ის გადაიდო 9 ნოემბრისათვის.

9 ნოემბერს დილით ხოდინის ჰაეროდრომზე წითელი პრესნის ჰაეროპლანებს შორის სჩანდა ჩვენი „თბილისელი მუშაც". ის ყურადღებას იპყრობდა თავისი გარეგნობით და ორიგინალური კონსტრუქციით.

ჰაეროპლანს ამშვენებს წარწერები ქართულ და რუსულ ენებზე.

გადაცემას დაესწრნენ მთავარ სარდალი კამენევი და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი ვოროშილოვი, და აგრეთვე ჩვენი ჰაეროპლანის მფრინავები და მოტორისტები.

თვით გადაცემის ფაქტი გამოიხატა იმაში, რომ ჩვენმა დელეგაციამ მფრინავებს გადასცა ალბომი და სიგელი [illegible] გადაცემის დროს [illegible] ჩვენს მფრინავებს [illegible] არ შესწყვიტონ კავშირი საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებასთან და ვსთხოვეთ მათ მოეწერათ ჩვენთვის თავის საჭიროებების შესახებ.

თავის მხრივ ჩვენმა მფრინავებმა სთხოვეს ჩვენს დელეგაციას „მამობრივი ზრუნვა" გასწიოს „თბილისელ მუშაზე".

ამხ. კამენევმა, სხვათაშორის, იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს მუშები და გლეხები მიიღებენ ზომებს იმისათვის, რომ მეორე ჰაეროპლანი გაგზავნონ საერთო საკავშირო ესკადრილიაში.

თავის მხრივ საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ საქართველოს მუშები და გლეხები მიიღებენ ყველა ზომებს, რომ არ ჩამორჩენ ამ საქმეში მთელი კავშირის მშრომელებს; ამასთანავე ისინი დაანახვებენ ყველას თავდადებას წითელი საჰაერო ფლოტის შექმნის იდეისათვის.

ქრონიკა

— **ფიზკულტურის** უმაღლეს საბჭოს სამდივნოში არჩეულნი იქნენ ამხ. ამხ. აბავაძე, გერასიმოვი და კრეიტანი.

— **წიგნები სანიტ-განათლების შესახებ.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა გამოსცეს პოპულიარული წიგნები სანიტ-განათლების შესახებ.

— **დახმარება უმუშევრებს.** 24 ნოემბერს უმუშევართა დამხმარე განყოფილება გასცემს ნოემბრის თვის დახმარებას მელითონეთა, ტრანსპორტის, მბეჭდავთა, აღმშენებელთა და ახალი კავშირის სექციების უმუშევრებზე.

— **უცხო ენათა კურსები.** დეკემბრის პირველ რიცხვებში საბჭოთა მუშაკების კავშირთან გაიხსნება ინგლისური, ფრანცული და გერმანული ენათა კურსები.

— **ქ. აღმასკომს** 9 თვის განმავლობაში ქალაქის მამულებმა მისცეს, 1,217,000 მან.

— **სასეირნო ბაღი.** ლენინის მუშათა რაიონში იურიევის ქუჩაზე შეუდგენ სასეირნო ბაღის მოწყობას.

— **ქალაქის აღმასკომმა დაადგინა** მაზრაში ადგილობრივი საგადასახადო კომისიები განახლებული იქნას და აგრეთვე მიიღოს სასტიკი ზომები უკანონო გაწერილ გადასახადების წინააღმდეგ, თუ ასეთს ჰქონდა, ან ექნა ადგილი.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად** მაზრაში დაინიშნენ საგანგებო რწმუნებულებები გარე-კახეთში—ამხ. გავაშელი, წალკაში—აზრუმელაშვილი, ყარაიაზში—იუსუფოვი, ერწოში—ავარიძე, ალბულაღში და ასურეთში—კორძახია.

— **ლემლების მწმენდელთა რაზმი.** ქ. აღმასკომთან ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ საბრძოლველათ დაარსდა ლემლების მწმენდელთა რაზმი.

— **ქ. აღმასკომმა** სასურველად სცნო შრომის არტელის „ასენიზატორი"-ს დაარსება.

— **ჯილდო.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ქ. საავადმყოფოს კლინიკის ექიმებს ჯილდოს სახით მისცეს 2,000 მან.

— **საქართველოს მდინარეებს** უკანასკნელი გამოკვლევით შეუძლიათ მოგვცენ 6 მილიონი ცხენის ძალა.

— **შემოსავალი ტყეებიდან.** ა|კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობებით 1923 წ. პირველ ნახევარში საქ. ტყეების სარგებლობისაგან დარჩა მოგება 102,918 მ. მაშინ, როდესაც აზერბეიჯანის ტყემ დატოვა ზარალი 12,047 მან. და სომხეთისამ 18,636 მ.

— **ა|კ. სამ. საბჭოს სათბობ განყოფილებამ** ოქტომბრის განმავლობაში „ნოვოროსცემენტს" მიჰყიდა 45 ათასი 300 ფუთი ტყიბულის ქვა-ნახშირი.

— **ბაღდადის ტყეები.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება შეუდგა ბაღდადის ტყეების (ქუთ. მაზრა) გამოკვლევას. გამოკვლეული იქნება 11 ათასი დესეტინა.

— **მეფუტკრეობის კურსები.** მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატი სოფ. წინამძღვრიანთ კარში (დუშეთის მაზრა) სახ. სამ. სკოლასთან ხსნის მეფუტკრეობის კურსებს.

— **აღწერა.** სახ. კომისართა საბჭოს დავალებით საქ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო აწყობს სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების და აღმასკომების წევრთა აღწერას. აღწერის ხელმძღვანელობა ადგილობრივ დავალებული ექნება სამაზრო სტატბიუროებს პარტიულ ორგანიზაციების უახლესი მონაწილეობით.

— **ქართული ენის პრაქტიკული კურსები.** დეკემბრის 1-ლს დაიწყება მეცადინეობა სახ. განათ. კომისარიატის მიერ ნებადართულ ქართულ ენის პრაქტიკულ კურსებზე. მსმენელნი ენასთან ერთად შეისწავლონ საქმის წარმოების (საკანცელარიო). ჩაწერა და პირობის გაგება შეიძლება ფრანგული ენის სახელმწიფო კურსების ბინაზე. ყოველდღე საღამოს 6—8 საათ. (ნაბერეჟნის ქუჩა 19.) დამაარსებელნი ნ. პ. ამირეჯიბი, ვ. ბ. ბურჯანაძე, ი. მ. გომელაური, დ. მ. დუმბაძე.

— **ჯანსახკომმა გადასწყვიტა** მთავარ პსიქიატრიულ საავადმყოფოსთან მოაწყოს პსიქო-ტექნიკური ლაბორატორია.

— **საფრენი მოდელების შეჯიბრება.** დღეს, დილით კომუნისტურ აღზრდის ცენტრ. სახლის ეზოში (ყოფ. სობორო) გაიმართება საფრენი მოდელების შეჯიბრება.

— **ლენინის ძეგლის გადატანა.** ქალ. აღმასკომის კომ. მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა ყოფ. ფეოდოსიევის ეკლესიის წინ მდებარე ლენინის ძეგლი გადაიტანოს ლენინის სახელობის ბაღში.

— **სოფლის ნაწარმოებების შესასყიდათ.** საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა|კ. უმაღ. ეკ. საბჭოს წინაშე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებისათვის 500,000 მან. სესხის გახსნის შესახებ სოფლის ნაწარმოებთა შესასყიდათ.

შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** 21 ნოემბერს, დილის 6 საათზე, ანასტასიევის ქ. № 14 თ ვის ბინის აივანზე აღმოჩენილ იქნა ნიკოლოზ კოვალენკოს გვამი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში.

ახლად დაბადებული ბავშვები. 20 ნოემბერს დილის 4 საათზე მე-2 სამილიციო რაიონის ფარგლებში ნაპოვნი იქნა 2 ახლად დაბადებული ბავში, რომლებიც გადაგზავნილი იქნენ საბავშო სახლში

— **ტრამვაის ქვეშ.** 1 ნოემბერს დილის 9 საათზე 19 თებერვლის ქუჩაზე მიმავალი ტრამვაი № 85, რომელზედაც იჯდა ვატმანი კარანკინი, დაეჯახა ტაბახმელის მცხოვრებს არშაკ სუქიაშვილს და მის ვირს, სუქიაშვილს დაშავებული აქვს მარჯვენა ფეხი და თავი ვირს კი მოტეხილი აქვს წინა ფეხები.

— **მეთევზეების გაძარცვა.** 20 ნოემბერს ღამით ჯანდარის ტბასთან (ყარაიაზი) ყაჩაღებმა გაძარცვეს მეთევზეები.

— **ქურდი ქმარი.** 20 ნოემბერს, აზერბეიჯანის ქუჩა № 3 ანნა ერმოლოვას ბინა გაქურდა მასთან ქმარივით მცხოვრებმა უცნობმა პირმა. წაიღო 60 მანეთის ნივთები.

— **ქურდობა.** 21 ნოემბერს დილით გაქურდეს გუნიბის ჩიხი № 8 სახლის ეზოში მდებარე საკუჭნაო. წაღებულია 100 მან ნივთები.

— 21 ნოემბერს საღამოს 6 საათზე ნავთლუღში გაქურდეს პროცენკოვის ბინა, წაიღეს 400 მან. ნივთები, ეჭვით შეიპყრეს სარქისოვი.

— 20 ნოემბ. ღამით ალექსანდროპოლის ქ. № 9 გაქურდეს ევა ეფრემოვას ბინა, წაღებულია 21 მან. ნივთები.

— 21 ნოემბერს დილით, მეჩნიკოვის ქ. № 3 მორგებული გასაღების საშუალებით, გაქურდეს ალექსანდრე იოსელიანის ბინა. წაიღეს 52 მან. ნივთები

— 21 ნოემბერს დღით კირილოვის ქ. № 10 გაქურდეს ნიკოლოზ გრიშჩენკოს ბინა. წაღებულია 200 მ.ნ. ნივთები, ეჭვით შეიპყრეს სურენ ესიტოვი.

— 20 ნოემბერს „პასაჟ-კროშკა"-ში № 10 გაქურდეს მოქ. თვალიძვილის ბინა, წაღებულია 44 მან. ნივთები

— **შეპყრობა.** 21 ნოემბერს დღის 3 საათზე ბახჩო ყულიაშვილმა შეიპყრო ჯიბგირი ალი მამედოვი, რომელსაც უნდოდა მისთვის ჯიბიდან ფულის ამოღება.

რკინის გზებზე

— **რკინისგზის სამმართველომ** გადასწყვიტა მისცეს დახმარება რკინისგზელ სტუდენტებს, რომლებიც ირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში 25 მანეთის რაოდენობით. აგრეთვე გაუწიოს დახმარება მათ ოჯახებსაც რკ. გზის პროფკავშირის ჩვენებით.

— **შრომის არტელი.** ახლო ხანში ა|კ. რკ.გზის მაშტაბით დაარსებული იქნება შრომის არტელი, სხვა ხასიათის სამუშაოების შესასრულებლათ.

— **გამოვიდა** თბ. რკ. გზის მთავარ სახელოსნოების კედლის გაზეთის „სახელოსნოების საყვირი"-ს მე-2 №. გაზეთში გაშუქებულია წარმოების ნაყოფიერების გაზრდასთან დაკავშირებული საკითხები.

— **სად. ტფილისთან** განზრახულია გაიხსნას მეისიერთა, კონდუქტორთა და სხ. კლუბი.

— **წითელი სასადილოები.** ზაქპომ ხაშურში და ქუთაისში გახსნა წითელი სასადილოები. ახლო ხანში თბილისში გაიხსნება მეორე წითელი სასადილო.

— **მოსკოვიდან** ა.-კ. რკინისგზებზე სამოქმედოთ გამოიგზავნა კიდევ 200 კანადის ცისტერნი.

მენშევიზმის „ახალი“ პლატფორმა

(ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება არსენალის რაიონის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე ნოემბრის 19-ს)

რატომ უნდა დავაყენოთ დღის წესრიგში, მენშევიზმთან ბრძოლის საკითხი?

ამხანაგებო! რაიონულმა კომიტეტმა წინადადება მომცა მე მოხსენება გამეკეთებია თქვენთვის შემდეგ თემაზე: ჩვენი ტაქტიკა მენშევიზმთან ბრძოლაში. შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ იმის შემდეგ, რაც მენშევიკური პარტია სავსებით გაკოტრდა, განსაკუთრებით აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მომხდარ ავანტიურის გამო, თითქმის საჭიროც არ არის ამ საკითხის დასმა. ასე მოაზროვნე ამხანაგები მართალი არიან, მაგრამ მხოლოდ ნახევრად. უდავოა ის, რომ საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ, იმის შემდეგ, რაც მისი რიგებიდან გავიდა 12,000 მუშა და გლეხი 1923 წელს ამხ. ფარნიევის, რუხაძის, თოფაძის და სხვ. ჯგუფის ხელმძღვანელობით, დაჰკარგა ყოველგვარი გავლენა და ნდობა საქართველოს მუშათა კლასის და საქართველოს გლეხობის დიდი უმრავლესობის თვალში. მენშევიკებმა აგვისტოს ავანტიურაში ვერ ჩაითრიეს ვერც ერთი მუშა. არსად, გარდა დასავლეთ საქართველოს ორი მაზრისა (ოზურგეთის და სენაკის), მათ არ გაჰყვა არც გლეხობა. აღმოსავლეთ საქართველოში გლეხობამ მენშევიკების მოწოდებას უპასუხა მით, რომ სათითაოდ გამორეკა ყოფილი თავადები და აზნაურები მათ საბუდრებიდან. და მიუხედავად ყველაფერ ამისა, რაიკომი სწორად მოიქცა, როცა საკითხი მენშევიზმთან ბრძოლის შესახებ დასვა დღის წესრიგში.

ამხანაგებო, საქმე შემდეგშია. მენშევიზმი, დამარცხებული აშკარა ბრძოლაში, ეძებს თავისი პარტიის გადასარჩენ გზებს. ის სცდილობს შესცვალოს თავისი ტაქტიკა. ის სცდილობს შეეგუოს სინამდვილის პირობებს, მას სურს ცოტათი გამემარცხენდეს, ცოტათი იცნოს საბჭოთა ხელისუფლება, ცოტათი შეიცვალოს ორიენტაცია და ამრიგად დააბნიოს მუშები და გლეხები და ამით, თუნდაც ოდნავად, უშველოს მენშევიკურ პარტიას, რომელიც სამარცხვინოდ იღუპება.

ასე იქცევა მენშევიკური პარტია არა მარტო ჩვენში, ასე იქცეოდა ის რუსეთშიაც სამოქალაქო ომის დროს, ასე იქცეოდა ის შარშან გერმანიაშიაც. გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც ხედავს, რომ პარტიის ოფიციალურ ხაზს არ იზიარებენ ფართო მასები, თვით სოციალ-დემოკრატიული მუშებიც კი, ჰყოფს თავისი რიგებიდან მემარცხენე ფრთას რენეგატ პაულ ლევის, კრისპინის და სხვ. მეთაურობით, რომლებიც მყვირალა ფრაზებით თვალს უხვევენ მუშებს. ლევი და კრისპინი გამოდიან გერმანიაში კოალიციონური მთავრობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის წინააღმდეგ, ისინი თავს იყრიან ცალკე, პარტიისაგან დამოუკიდებლად ვეიმარში, ილაშქრებენ თავიანთ ცეკას წინააღმდეგ, ისინი თითქმის საბჭოთა ხელისუფლებასაც კი ემხრობიან, მაგრამ მთელი ეს ხმაურობა გრძელდება განსაზღვრულ დრომდე. ამავე დროს სოციალ-დემოკრატიული პარტია ამზადებს წითელი საქსონიის განადგურებას ფაშისტებთან ერთად. მემარცხენეები სავსებით დამშვიდდენ და ეხლა გულმოდგინეთ ეხმარებიან მარქსს და შტრეზემანს კომუნისტების განადგურებაში. ამავე საშუალებას მიმართავენ ქართველი მენშევიკებიც. ჩვენს ხელთ არის მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც ადასტურებენ ჩვენს მიერ თქმულს. მაგრამ, ამხანაგებო, სანამ გადავიდოდე ამ დოკუმენტებზე, ნება მომეცით, ამხანაგებო, გავიხსენოთ, თუ როგორი იყო მენშევიკების ბრძოლის გზა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. ეს ჩვენთვის აუცილებელია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ის, რაც შეიძლება ზოგჯერ გაურკვეველი და ახალი გვეჩვენოს. ეს საშუალებას მოგვცემს დავუკავშიროთ დღევანდელი მენშევიკური „ახალი სიტყვა“ იმას, რასაც ისინი ძველად ლაყბობდენ.

მენშევიზმი საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მეორე დღეს

1921 წელს ჩვენი შეტევის გამო ნ. ჟორდანიას მთავრობა ჯერ იხევს ბათომისაკენ, შემდეგ კი ჯდება გემში და მიეშურება შორეულ მხარეში. ბათომში კი სტოვებს მთავრობის ბრძანებას, რომ ბოიკოტი გამოუცხადოს საბჭოთა მთავრობასო. ეს არის მენშევიკური პარტიის ცეკას ბრძანება, ეს არის მთავრობის ბრძანება. მაგრამ მისი შესრულება— ეს არის დაუყოვნებლივი აშკარა ომი, ხოლო ომისათვის მზად არ არიან. მენშევიკებს შორის არევ-დარევაა, ისინი მოგვმართავენ ჩვენ თხოვნით, რომ შეკრების ნება დავრთოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საკითხის განსახილველად. მათ ნება ეძლევათ. 1921 წელს 10 აპრილს მენშევიკები მართავენ პარტიის წევრთა კრებას სახელმწიფო ოპერაში. კრებაზე მიღებულ იქნა ს. დევდარიანის რეზოლიუცია, რომელიც აუცილებლად სთვლის საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობას და ამავე დროს სწორათ სცნობს ძველ გზას—დემოკრატიით სოციალიზმისაკენ. ს. დევდარიანს არა ერთხელ აღუნიშნავს ჩვენთან ლაპარაკში მენშევიკების ამ 10 აპრილის რეზოლიუციის ამ ორი დებულების წინააღმდეგობა. ეს რეზოლიუცია თვით ჰპობს თავის თავს, მასში არის ორი, ერთი მეორის გამაბათილებელი დებულება: თანამშრომლობა პროლეტარული დიქტატურის მთავრობასთან და სწორად ცნობა გზის „დემოკრატიით სოციალიზმისაკენ“. აქ შეურიგებელი წინააღმდეგობაა. ეს წინააღმდეგობანი რეზოლიუციას აქცევს გამოუსადეგარ ქაღალდის ნაფლეთად, ხოლო მის ავტორს—ბრძოლისათვის სავსებით უვარგისად. არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ემსახურო ღმერთსაც და ეშმაკსაც. პარტიის სათავეში უდგება არა ის, არამედ სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც იდგა შეურიგებელ პოზიციაზე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ს. დევდარიანი თავისი რეზოლიუციით დიდ სამსახურს უწევს მენშევიკურ პარტიას. მან ამით თავი შეაკავებია პარტიას დაუყოვნებლივი აშკარა ომისაგან და ამითვე საშუალება მისცა მას აღედგინა თავისი კავშირი, აღედგინა თავისი ორგანიზაციები და შემდეგ დაეწყო ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. რამდენიმე ხნის შემდეგ თვით სეით დევდარიანი სავსებით ივიწყებს თავის რეზოლიუციას საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ და სათავეში უდგება პარტიის ცეკას, რომელიც ამზადებს შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიკების პარტიის სათავეში მდგომი ს. ჯიბლაძე ატარებს სულ სხვაგვარ სულიერ განწყობილებას. აი რას ლაპარაკობს ამის შესახებ მენშევიკური მთავრობის ყოფილი სამხედრო მინისტრი გიორგაძე: „განსვენებული ჯიბლაძე თვითეულ გემით ელოდა თავისი მთავრობის მოსვლას. მახსოვს ერთხელ მან მითხრა:—გრიშა, ვინც წაახდინა საქმე, იგივე გამოასწორებს მას, ჩვენ დახმარებას უნდა ველოდეთ მხოლოდ ევროპიდან, ტყუილად კი არ წავიდნენ ისინი იქ, ისინი გააკეთებენ თავის საქმეს“. მენშევიკების ხელმძღვანელ წრეებში ეს თვალსაზრისი იმარჯვებს, 10 აპრილის რეზოლიუციას ივიწყებს ყველა. მან შეასრულა თავისი საქმე, მოახდინა შესვენება.

მენშევიკების დაშლის დასაწყისი

22 წლის შუა რიცხვებში იწყება მერყეობა მუშა-მენშევიკებს შორის, ჩნდებიან თითო-ოროლა განცხადებები ამა თუ იმ მენშევიკ-მუშის პარტიიდან გამოსვლის შესახებ. 1922 წლის დასასრულს ეს უფრო სერიოზულ ხასიათს ღებულობს—მენშევიკურ პარტიას სტოვებენ უკვე მთელი ჯგუფები, ათეული და ასეული ძველი მუშა წევრები. სავსებით მოულოდნელად გამოდის თავისი განცხადებით მენშევიკური პარტიის ცეკას წევრი ბ. თევზაია. მენშევიკების გახრწნის პროცესი მასიურ ხასიათს ღებულობს. იმართება სამაზრო, საქალაქო კონფერენციები და შემდეგ მათ მოსდევს სრულიად საქართველოს ყრილობა. მენშევიკების ცეკა ჰკუას ჰკარგავს. ის უშვერი სიტყვებით ლანძღავს თავის ფურცლებში მუშა-გმირებს, რომლებიც გაბედულად სწყვეტენ ძველ კავშირს მოღალატე პარტიასთან. ის მიმართავს ტერორს (მუშა გიორგაძის მოკვლა და სხვ.), მაგრამ ამან არა თუ არ შეაჩერა დაწყებული მოძრაობა, არამედ კიდევ უფრო გააფართოვა და გააღრმავა ის. პარტიას, რომლისთვისაც მუშები მზად იყვნენ სიცოცხლეც გაეწირათ, მისი ხულიგანური გამოსვლების შემდეგ წყევლა-კრულვით ანებებენ თავს.

ს. დევდარიანის გამოსვლა

ს. დევდარიანის გამოსვლა ყოფილ მენშევიკების კონფერენციის დროს, 23 წელს ზაფხულში ს. დევდარიანი იატაკს ქვეშიდან მიმართავს ღია წერილით ყოფილ მენშევიკების საინიციატივო ბიუროს.

წერილი სრულიადაც არ ჰგავს არც თავის შინაარსით და არც კილოთი მენშევიკურ არალეგალურ ცეკას ფურცლებს, თუმცა იმ დროს ცეკას თავმჯდომარეთ იყო თვით სეით დევდარიანი. წერილში, როგორც ეს გონიერ პოლიტიკოსს შეეფერის, დევდარიანი სცდილობს არა ლანძღვა-გინებით და მოღალატეობაში ბრალდებით დააბრუნოს მის პარტიისაგან ჩამოშორებული მუშები, არამედ მეგობრული საყვედურით წინადადებას აძლევს მათ ერთად განიხილონ შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალი გზები. ის ფიქრობს, რომ საჭიროა პარტიაში არსებული ნაკლულოვანებები გამოსწორებული იქნას თვით პარტიის შიგნივ. ის არ უარყოფს ბოლშევიკებთან შეთანხმების გზების გამონახვას, მაგრამ შეთანხმება უნდა მოხდეს როგორც მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის. ის წინააღმდეგია მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციის. ის იმ დროს კატეგორიულად უარჰყოფს თავის პარტიის კავშირს ბანდიტებთან, როგორც მაგ. ჩოლოყაშვილია და სხ. ის უსაყვედურებს ამხ. არჩილ რუხაძეს, თითქოს მან უსაფუძვლოთ აღნიშნა მენშევიკების კავშირი ბანდიტებთან, ექსპროპრიატორებთან და სხვა. სეით დევდარიანი სწერს მესამე წერილს და სცდილობს შეაჩეროს თავისი პარტიის შეუჩერებელი ლიკვიდაცია. ის მიმართავს ყოველგვარ ხერხს, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. მისი პარტია კვდება. 12 ათასი მუშა და გლეხი სტოვებენ მენშევიკურ პარტიას. ამის შემდეგ მენშევიკური პარტია, როგორც მუშათა კლასის პარტია, უკვე აღარ არსებობს. კიდეც რომ მოახერხოს მან დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების ფულებით მოატყუოს და გააბრიყვოს დასავლეთ საქართველოს გლეხობის ნაწილი, მაინც არც ერთი მუშა ამ დღეებში მასთან არ არის. სეით დევდარიანი 23 წლის ბოლოში დაპატიმრებული იქნა საგანგებო კომისიის მიერ და აქედან უკვე სდგამს გაბედულ ნაბიჯებს და ბოლოს სავსებით სწყვეტს კავშირს თავის ცეკასთან, რომლის თავმჯდომარე თვითონ იყო. რა თქმა უნდა, მხოლოდ არამზადას შეუძლია ახსნას ს. დევდარიანის გამოსვლა საგანგებო კომისიაში მისი სიმხდალით. თავისუფლად დარჩენილი მენშევიკები გაფაციცებით ემზადებიან აჯანყებისათვის. ს. დევდარიანი სინდისიერად აწარმოებს ბრძოლას დაწყებულ ავანტიურის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს მას არა აქვს შეძლება უჩვენოს საქართველოს მუშებს რა გზას უნდა დაადგენ ისინი.

მისი განცხადება—არც მეორე და არც მესამე ინტერნაციონალიო, აშინებს მუშებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ კავშირი მენშევიკურ პარტიასთან, მაგრამ მას არ უნდა და არც შეუძლია გაანთავისუფლოს მუშები მენშევიკებისაგან, ხოლო უამისოთ კი ყველა მისი კარგი სურვილები კარგ სურვილებათ რჩება. ს. დევდარიანი, ილაშქრებს რა მენშევიკების არალეგალურ ცეკას წინააღმდეგ, ამავე დროს გამოდის ფარნიევ-რუხაძის ჯგუფის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, იმით, რომ ის ვერ იძლევა და არც თვითონ აქვს გარკვეული პლატფორმა, სეით დევდარიანი ანიარაღებს თავის თავს.

„აჯანყება“

ბოლოს, 28 აგვისტოს მენშევიკები ეროვნულ-დემოკრატებთან და ესერებთან ერთად მოუწოდებენ ხალხს შეიარაღებულ აჯანყებისაკენ. აჯანყება წარმოუდგენელ სირცხვილით თავდება. იმდენად სამარცხვინო იყო იგი, რომ მისი სულის ჩამდგმელები საზღვარ-გარეთ უსინდისოთ უარყოფენ მას. მშრომელ მასებს შორის გაისმის მხოლოდ წყევლა-კრულვა ავანტიურის გმირების მიმართ: „აბა ერთი გაბედოს ვინმემ დღეს თავი გამოჰყოს სოფელში მოწოდებით აჯანყებისაკენ“. აჯანყების თვით ორგანიზატორებიც კი პროვოკაციათ, ავანტიურად და სხვა ასეთ ეპიტეტებით ნათლავენ თავიანთ „სამგმირო საქმეს“. ძველი გზა, აჯანყების, ინტერვენციის გზა უარყოფილია, იწყება ახალი არევ-დარევა მენშევიკებს შორის, ეძებენ ახალ თეზისებს, ახალ პლატფორმას.

ახალი პლატფორმა

მათ უნდათ თავისი პარტიული გვამი გამოაცოცხლონ ახალი პლატფორმებით, ახალი ორიენტაციით. ბევრია დღეს ასეთი პლატფორმები და განცხადებები. დავიწყოთ პარიტეტულ კომიტეტის თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილიდან. თავის საკმაოთ გრძელ თეზისებში: „რუსეთის ორიენტაცია“ კ. ანდრონიკაშვილი იწყებს მეფე ერეკლეს პოლიტიკის გამართლებიდან, რომელმაც (მეფემ) აიღო ორიენტაცია რუსეთზე და, მიმოიხილავს რა 1918 წელს და აგვისტოს დღეებს, შემდეგ 1924 წ. ნოემბერში პირს იბრუნებს უკვე რუსეთისაკენ.

„აღნიშნული აჯანყება—სწერს ანდრონიკაშვილი—დამარცხდა და უნაყოფო აღმოჩნდა საქართველოსათვის არა იმიტომ, რომ მას ჰქონდა რაიმე ნაკლი ორგანიზაციის მხრივ (შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ იგი საკმაოთ კარგად იყო მოწყობილი, გარდა ზოგიერთ რაიონებისა). აჯანყების დამარცხების და მისი უნაყოფობის მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ საქართველოს საკითხისადმი თავისებურ მიდგომაში ევროპის, განსაკუთრებით — საფრანგეთის და ინგლისის მხრივ, რუსეთის ეკონომიურ აღორძინებაში უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში და საერთაშორისო ასპარეზზე მისი ავტორიტეტის ზრდაში. აი მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობამ არ დაუჭირა მხარი აჯანყებას და იგი დამარცხდა. აქედან დასკვნა—არა მარტო აჯანყების, არამედ აჯანყების თვით იდეის გაკოტრება საქართველოში“.

ნათქვამი გვარიანია, მაგრამ ძალიან გვიან.

შემდეგ კ. ანდრონიკაშვილი გვასწავლის ჩვენ, რომ ინგლისი და საფრანგეთი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი იმპერიალისტური ინტერესების მიხედვით თამაშობენ პატარა ერების და მათ შორის საქართველოს ბედით. შემდეგ აღნიშნავს რა მანეთის სტაბილიზაციას, მტკიცე ბიუჯეტს, მასწავლებელთა, ექიმების, ინჟინერების და სხვების ყრილობებს, რომელნიც აცხადებენ, რომ მზად არიან ითანამშრომლონ საბჭოთა ხელისუფლებასთან და აგრეთვე იმას, თუ როგორია ჩვენი პოლიტიკა მუშათა კლასის და მშრომელ გლეხობის მიმართ, ანდრონიკაშვილი ამბობს. **„რაც შეეხება მუშათა პოლიტიკას და იმ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მშრომელ გლეხობისადმი, კომპარტიას ამ მხრივ ვერავინ ვერ შეედრება“.** და შემდეგ—„აქედან **დასკვნა: ქართველმა ერმა, საქართველოს მშრომელმა ხალხმა თავის გადარჩენისათვის, თავის კულტურული და ეკონომიურ ძლიერების შენარჩუნებისათვის ისევ უნდა მიიღოს ორიენტაცია რუსეთზე,** რომელიც უკვე საკმაოთ ძლიერია ეკონომიურად და აქვს საგრძნობი წონა საერთაშორისო ურთიერთობაში“.

შემდეგ ანდრონიკაშვილი, ეხება რა თავის პარტიის ბედს, ამბობს: ...„მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ, კომუნისტები შეიცვლიან შეხედულებას ამ საკითხზე. მენშევიკურ პარტიას მისცემენ ლეგალურ არსებობის უფლებას. რას იზამენ მაშინ მენშევიკები? გამოვლენ რა მთავარი დებულებიდან,—რუსეთის ორიენტაცია და საბჭოთა პლატფორმა—მენშევიკები თავისი მსოფლმხედველობით დარჩებიან მენშევიკებათ, მაგრამ მთელი თავისი არსებით შეუდგებიან საბჭოთა საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ მშენებლობას **და ღრმად იქნებიან დარწმუნებული იმაში, რომ ამ მუშაობით ისინი აკეთებენ საერთო ეროვნულ და პროლეტარულ საქმეს.** ამ მუშაობისათვის მათ უნდა გადალახონ პარტიული თავმოყვარეობა“.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, აქ ნათქვამია ბევრი მოხდენილი სიტყვები, მაგრამ პრინციპიალურად აქ არაფერი ახალი არ არის. კ. ანდრონიკაშვილი თავის მსოფლმხედველობით ძველებურათ რჩება მენშევიკი, ძველებურად ის წინააღმდეგია ოქტომბრის რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის. ძველებურად ის მომხრეა მე-2 ინტერნაციონალის, მხოლოდ იცვლის ტაქტიკას. ბრძოლაში დამარცხებულს, აღარ სწამს შეიარაღებული აჯანყება, ანტანტის მიერ მოტყუებულს, აღარ სჯერა მისი და დახმარებას აღარ ელის მისგან. მეორე დოკუმენტში ის სწერს: „დავანებოთ თავი, ძმაო, ევროპას, მისგან არაფერი არ გამოდის“.

მაგრამ თუ კი რამე გამოვიდოდა, ანდრონიკაშვილი დიდი სიამოვნებით დაუბრუნდებოდა ძველ ტაქტიკას.

არა ერთი კ. ანდრონიკაშვილი ფიქრობს ასე. ყური დაუგდოთ ერთ-ერთ მის თანამშრომელს გ. გიორგაძეს. უკანასკნელი გაცილებით უფრო მეტი „რევოლიუციონერია“, ვიდრე ანდრონიკაშვილი. **„4 წლის პოლიტიკა გამოიხატებოდა: ინტერვენციაში, პროვოკაციაში, სასოწარკვეთილებაში, უკანდახევაშიო“**—სწერს გ. გიორგაძე. და შემდეგ: **„ვიქონიოთ გამბედაობა. გადავლახოთ თავმოყვარეობა, ვიხელმძღვანელოთ საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესებით და ვაღიაროთ: ინტერვენციის, პროვოკაციის, სასოწარკვეთილების, ავანტიურის, უკანდახევის პოლიტიკა უკუღმართი და შემცდარია.. ევროპა დაჩვეულია პატარა ერების სისხლით აკეთოს თავისი დიდი საქმეები. ის მუდამ მზადაა იყიდოს პატარა ერების სისხლი, თუ კი გამყიდველი აღმოჩნდება.. ჩვენმა ემიგრაციამ დაჰკარგა ყველა პოზიციები—მივიდა სასოწარკვეთილებამდე და დაადგა დაშნაკელების გზას“.**

ყოველ მუშას, ყოველ გლეხს უფლება აქვს შეეკითხოს გ. გიორგაძეს: სად ბრძანდებოდით დღემდის, როდესაც ასე დაუზოგავად ვაჭრობდენ ქართველი ხალხის სისხლით ბატონი ემიგრანტები პუანკარე-კერზონ-მაკდონალდის კაბინეტებში, სად ბრძანდებოდით მაშინ, როდესაც ასე გულმოდგინეთ ფეხს იკიდებდა მენშევიკური პარტიის დაშნაკური პოლიტიკა.

კიდევ ერთი დოკუმენტი, ამხანაგებო, თუმცა, ალბად, თქვენ მოგბეზრდათ მათი მოსმენა. ეს დოკუმენტი ხელმოწერილია, იგი ჩამოართვეს მენშევიკების ცეკას რწმუნებულს ფიჩხაიას. იგი იწყება ასე:

„შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობის გამო, საქართველოს განთავისუფლების საქმე ჭიანურდება. ევროპას აღებული აქვს ახალი გეზი რუსეთის კომუნისტურ ხელისუფლების მიმართ, არა ბლოკადით და შეტევით, არამედ თანდათანობითი კულტურული საქმიანი ურთიერთობით, შინაური გარდაქმნით და დაშლით... მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა პოლიტიკურ-დემოკრატიულ ნიადაგზე იმარჯვებს როგორც მონარქიულ ხელისუფლების წინააღმდეგ, ისე კომუნისტურ ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში“. შემდეგ თეზისებში ნათქვამია, რომ ზედმეტია ლოდინი იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩქარა დაიღუპება, რომ იგი გასძლებს 5—10 წელს და კიდევ მეტს. ამის გამო საქართველო იცვლის თავის ტაქტიკას.

„საქართველო აცხადებს სამხედრო მდგომარეობის ლიკვიდაციას. მისი ეროვნულ-კანონიერი მთავრობა საქართველო ამბობს უარს საქართველოში ძალა-უფლების მოპოვებაზე. საქართველო სდგება საბჭოთა კავშირის ფაქტის წინაშე და მის კონსტიტუციას იყენებს თავის ეროვნულ განთავისუფლებისათვის მუშაობასა და ბრძოლაში. საქართველო და მისი პოლიტიკური პარტიები სდგებიან საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ფორმალურ ნიადაგზე და სცდილობენ გადააქციონ ეს ფორმა რეალურ ფაქტად. სცდილობენ, რათა საქართველო უშუალოთ შედიოდეს საბჭოთა კავშირში და სხვ.“ ესეც ერთი შეხედვით ახალ სიტყვათ გეჩვენებათ, ნამდვილად კი ეს რუსეთის მენშევიკების პლატფორმის უბრალო განმეორებაა „სოციალისტიჩესკი ვესტნიკიდან“.

„სოც. ვესტ.“ 1924 წ. 20 ივნისის 12—13 ნომრებში მოთავსებულია პარტიული პლატფორმა, რომელიც მიიღო რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ცეკამ. მასში ნათქვამია, რომ მსოფლიო მასშტაბით **„კაპიტალიზმი გადის დროებითი განმტკიცების სტადიაში“**, რომ რუსეთში აუცილებელია კაპიტალიზმის აღდგენა და რომ პროლეტარიატის ინტერესები „დაჟინებით მოითხოვენ **დემოკრატიული რესპუბლიკის** განხორციელებას“. „ყველა მშრომელები ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში უაღრესად დაინტერესებული არიან იმაში, რომ უმტკივნეულოთ გადავიდენ ბოლშევიკურ დიქტატურიდან დემოკრატიის რეჟიმზე“. შემდეგ პლატფორმაში წამოყენებულია მორიგი მოთხოვნილებანი, როგორც მაგ.: სიტყვის, პრესის, კრებების თავისუფლება, საგანგებო კომისიის მოსპობა და სხვა და სხვა.

ეს პლატფორმა ისეთივეა, როგორც ჩემ მიერ ზევით დასახელებულ მენშევიკების პლატფორმა (**ხმა ადგილიდან:** როგორია დევდარიანის დამოკიდებულება მათთან და არის თუ არა მათ შორის განსხვავება). პირადათ მე ვერ ვხედავ რაიმე სერიოზულ უთანხმოებას ანდა განსხვავებას „სოციალისტურ ვესტნიკსა“ და დევდარიანს შორის. მას სრულიად, დამშვიდებით შეუძლია შეუთანხმდეს, თუ კი დევდარიანი დარჩება დღევანდელ პოზიციაზე, ანდრონიკაშვილს და ჩემ მიერ მოყვანილ თეზისების ავტორს. პრინციპიალური განსხვავება მათ შორის არ არის—ორივე ისინი მენშევიკებია. მართალია ს. დევდარიანი ხანდახან სცდილობს გაემიჯნოს ასეთ მოკავშირეებს, მაგრამ ამას ის სჩადის მეტათ გაუბედავათ და გაურკვევლათ. წავა თუ არა ის წინ, მე ამის თქმა არ შემიძლია, შემიძლია ვსთქვა მხოლოდ ერთი: **მისი დღევანდელი პოზიცია არ აადვილებს მუშების—ყოფილი მენშევიკების გადმოსვლას ჩვენთან, ის, პირიქით აძნელებს ამას. რამოდენიმე სიტყვა ძამანაშვილის, ხუცილავას, კუპრაშვილის და გვიმრაძის ჯგუფის შესახებ. ისინი მუშები არიან და გულწრფელად სურთ ჩვენთან მოსვლა. ჩვენმა პარტიამ ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიოს მათ ამ მუშაობაში, ჩვენმა პარტიამ გულდასმით უნდა განუმარტოს მათ, რომ მხოლოდ კავშირის სრული და საბოლოო გაწყვეტა მენშევიზმთან, როგორც ლეგალურთან, ისე არალეგალურთან, შექმნის იმათგან ნამდვილ რევოლიუციონერებს. ყოველგვარი ცდა, რომ ვინმე ვისმეს შეარიგონ, ფუჭი და საზარალო საქმეა.** ეს ჯგუფი თუ ის მტკიცე და ნათელ რევოლიუციონურ პოლიტიკას აწარმოებს, უეჭველად დაეხმარება იმ თითოოროლა მუშებს, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილან მენშევიკებთან, ამ უკანასკნელთა გავლენისაგან განთავისუფლების საქმეში.

ამრიგათ, ჩვენ ვხედავთ ცალკცალკე მენშევიკების და ჯგუფების სერიოზულ ცდას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ მათ სურთ გადასვლა ახალ გზაზე—ლეგალობის გზაზე, თითქოს, საბჭოთა ხელისუფლების ცნობის, ორიენტაციის გამოცვლის და სხვ. გზაზე. ისინი აცხადებენ, რომ მზათ არიან იმუშაონ კულტურულ და სამეურნეო ფრონტზე, მზად არიან დაგვეხმარონ ჩვენი შეცდომების გამოსწორებაში და სხვა. როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მათთან?

არავითარ ლეგალურ მენშევიზმს ჩვენ არ დავუშვებთ

ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ არავითარ ლეგალურ მენშევიზმს ჩვენ არ დავუშვებთ. მენშევიზმი როგორც ლეგალური, ისე არალეგალური ერთნაირათ კონტრ რევოლიუციონურია თავისი შინაარსით. მათში ადგილი აქვს მხოლოდ დროებით უთანხმოებას ბრძოლის საშუალებების საკითხის შესახებ. უპარტიო ინტელიგენციის ორიენტაციას საბჭოთა კავშირზე ჩვენ გულწრფელათ ვესალმებით. მაგრამ ორიენტაციის გამოცვლა მენშევიკის მიერ სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ის აღარ არის მენშევიკი. ხომ არიან რუსი მენშევიკები, რომლებიც არავითარ ინტერვენციას და ევროპის ორიენტაციას არ ემხრობიან, მაგრამ ამით ისინი, რასაკვირველია, არ გამოცვლილან, ისევ მენშევიკებათ დარჩნენ. რასაკვირველია, საბჭოთა რუსეთში არავის არ მოუვა თავში ისეთი აზრი, რომ ლეგალური არსებობის საშუალება მისცენ მათ. ახლათ გამომცხვარი მენშევიკური პლატფორმა უფრო საზიანო და სახიფათოა, ვიდრე ნ. ჟორდანია-რამიშვილის მენშევიზმი.

ჩვენი დამოკიდებულება ახალ პლატფორმასთან

მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ანგარიში არ უნდა გაუწიოთ ამ ახალ პლატფორმებს. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ეს პლატფორმები გამოხატავენ საქართველოს მუშათა კლასის და გლეხობის ზოგიერთი წრეების სულიერ განწყობილებას. ჩვენში არიან მენშევიკი მუშები და გლეხები, რომელთაც მენშევიკურ პარტიაში გაუტარებიათ 20—25 წელიწადი. ისინი ახლა არ იზიარებენ ნოე ჟორდანიას პოზიციას, მაგრამ სავსებით განთავისუფლება ძველ მენშევიკურ ტრადიციებისაგან მათ კიდევ არ შეუძლიათ. იმათ უნდათ შერიგება. ისინი მსჯელობენ ასე:

კარგი, მენშევიკურ პარტიის პოლიტიკა უკანასკნელ 3 ნახევარ წლის განმავლობაში ავანტიურისტულია, საქართველოში მენშევიკების მართვა-გამგეობა 3 წლის განმავლობაში დაშნაკური იყო, ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ რა უყოთ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაერთიანებულ ბრძოლის გმირულ წარსულს? მაშინ ხომ ჩვენ თქვენთან ერთად ვიბრძოდით მეფის მათრახის წინააღმდეგ. ძველმა მენშევიკმა ს. დოლიძემ მუშების ერთ-ერთ კრებაზე შემდეგი სიტყვებით მომმართა მე: „თქვენ, ამხანაგებო, ჩვენზე უკეთესად გაიგეთ კომუნისტური მანიფესტი, თქვენ აღმოჩნდით უკეთესი რევოლიუციონერები, თქვენ გაიმარჯვეთ. მოგვეცით საშუალება შეგვირიგდეთ და აგრეთვე ჩვენი დახმარებით შეგვარიგოთ ნოე ჟორდანია და სხვები“. ამხ. დოლიძის ამ სურვილების გულწრფელობაში მე ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება. მაგრამ ეს რომ ბავშური გულუბრყვილობაა, ამის მტკიცება ზედმეტია. ეს მე უთხარი ამხ. ს. დოლიძეს იმავე კრებაზე. ს. დოლიძე სინდისიერი მუშაა. ის აღიარებს, რომ ჩვენ უკეთესად გავიგეთ მარქსიზმი, აღმოვჩნდით უკეთესი რევოლიუციონერები, მას აუცილებლად მიაჩნია არა მარტო ჩვენთან ერთად მუშაობა, არამედ მას უნდა მოაწყოს საქმე ისე, რომ ყველა კმაყოფილი იყვნენ—ჩვენც და მენშევიკებიც.

ჩვენი დამოკიდებულება ყოფ. მენშევიკ მუშებთან და გლეხებთან

ამხ. ს. დოლიძესთანეები ჩვენში ბევრია. მათ ჩვენ გულდასმით უნდა აუხსნათ, რომ მათი კეთილი სურვილები უტოპიურია და საზიანო. ჩვენ დიდ დანაშაულს ჩავიდენდით, თუ ასეთ მუშებს უხეშათ ვკრავდით ხელს და ვუწოდებდით მათ: მენშევიკ—კონტრ-რევოლიუციონერს. ასეთი მუშები რამდენიმე ხნის შემდეგ საბოლოოდ და სამუდამოდ მოვლენ ჩვენთან. ასეთები უნდა ჩავაბათ ჩვენს კულტურულ და სააღმშენებლო მუშაობაში. ცოცხალ საქმეზე მუშაობის დროს ისინი თანდათან განთავისუფლდებიან შემარიგებელ ილიუზიების გავლენისაგან. გასულ წელში ჩვენს მხარეზე გადმოვიდენ 12 ათასი მუშები და გლეხები—ყოფილი მენშევიკები. მათი უმნიშვნელო ნაწილი მონაწილეობას იღებდა აგვისტოს ავანტიურაში. მათი დიდი უმრავლესობა კი ჩვენს მხარეზე დარჩა. მაგრამ ჩვენ აშკარათ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ მუშებისა და გლეხებისათვის ჩვენ ვერ გავაკეთეთ ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც შეგვეძლო. საკმაოთ ვერ ჩავაბით ისინი ჩვენს მუშაობაში. ეს გამოსწორებული უნდა იქნეს. ამ ყოფილ მენშევიკ-მუშების ნაწილი, რომელმაც დაამტკიცა თავისი თავდადება საბჭოთა ხელისუფლებისათვის და რომელიც განთავისუფლდა მენშევიკური იდეოლოგიისაგან, მიღებული უნდა იქნეს პარტიაში. მეორე ნაწილი კი ჩაბმული უნდა იქნეს საბჭოთა კულტურულ და კოპერატიულ მუშაობაში. ეს სიტყვით კი არა, არამედ საქმით უნდა იქნეს გაკეთებული. ჩვენს პარტიაში უნდობლობით ეპყრობიან ყოფილ მენშევიკებს, გაისმის უნდობლობის ხმები იმათ მიმართაც, რომლებიც უკვე შემოვიდენ ჩვენს პარტიაში. სხვანაირათ არც შეიძლებოდა. ჩვენი პარტია გამსჭვალულია წმინდა სიძულვილით მენშევიკებისადმი და ამით არის ის ძლიერი. ეს სიძულვილი უნდა დარჩეს წინანდებურათ როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ მენშევიზმის მიმართ. მაგრამ მუშებს და გლეხებს, ყოფილ მენშევიკებს, ჩვენ ამხანაგურათ უნდა მოვეპყრათ. უნდა დავეხმაროთ მათ იმაში, რომ საბოლოოთ განთავისუფლდენ ძველ მენშევიკურ შეცდომებისაგან.

ნება მიბოძეთ დავამთავრო ჩემი მოხსენება ამხ. ლენინის შემდეგი სიტყვებით: „ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მშრომელთა მასებს, და დაუახლოვდეთ მათ, მათ წრიდან უნდა გამოვყოთ ასიათასი უპარტიო მუშაკები სამეურნეო სამუშაოზე გასაგზავნად. ახალ მოდის, კრონშტადის უპარტიო ტანსაცმელში გადაცმული მენშევიკები და ესერები კი ფრთხილათ უნდა შევინახოთ ციხეებში ანდა უნდა გავუგზავნოთ ბერლინში მარტოვს, რომ მან თავისუფლათ გამოიყენოს წმინდა დემოკრატიის ყველა სიმშვენიერენი, რომ მოხდეს აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა ჩერნოვთან, მილიუკოვთან და ქართველ მენშევიკებთან“ (იხ. ლენინის წიგნი „სასურსათო გადასახადის“ შესახებ). დიდი მასწავლებლის ეს სიტყვები საუკეთესოთ შეეფერება ახალ პლატფორმებში გადაცმულ ჩვენს მენშევიკებს.

პარტიული ცხოვრება

საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების გასინჯვა

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიასთან არსებულ საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების გასინჯვის კამპანიისათვის გეგმის შემმუშავებელ

საგანგებო კომისიის დადგენილება.

I. 1) წინადადება მიეცეს ყველა იმ უჯრედების მდივნებს, რომლებშიაც უნდა მოხდეს გასინჯვა, წესრიგში მოიყვანონ უჯრედთა წევრების პირადი პარტიული საქმეები და დაალაგონ მასალები, რომლებიც შეეხება ცალკე ამხანაგებს.

2) დაიბეჭდოს გაზეთებში და გამოიცეს ცალკე ფურცლებად ამიერ-კავკასიის საოლქ. კომიტეტის და ა. კ. საოლქო საკონტროლო კომისიის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია გასინჯვის შესახებ რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

3) ეთხოვოს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს მახლობელ პარტიულ დღეს მოიწვიონ საერთო-რაიონული პარტიული კრებები რომლებზედაც განხილული იქნება, გასინჯვის საკითხი.

4) დაევალოს ამხ. ამხ. სტურუას, ხანოიანს, ნაზარეტიანს, სტელმახს, ალაჯალოვას, ლეჟავას, კულიჯუს, ხუმარიანს, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრებს ამხ. ამხ. მიასნიკოვს, ორახელაშვილს, მახარაძეს, კახიანს, კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს მუშაკებს ამხ. ამხ. რატნეკს, კრუგლიკოვს, ჩნეგირევს, არტოს, კოგანს, სუტირინს და მათიკაშვილს დაამზადონ წერილები პრესისათვის.

ადგილობრივმა ცენტრალურმა საკონტროლო კომისიებმა გამოჰყონ ამხანაგები, რომლებმაც უნდა დაამზადონ წერილები ადგილობრივ გაზეთებისათვის ადგილობრივ ენებზე.

წერილებში გაშუქებული უნდა იქნეს ყველა საკითხები, რომლებიც შეეხება გასინჯვას, პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, პარტიის წევრთა პარტიულ მოვალეობას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გასინჯვის გამაფრთხილებელ - აღმზრდელობითი ხასიათი.

5) დაევალოს ამხ. ამხ. სტურუას და ხანოიანს შეადგინონ თეზისები მომხსენებლებისათვის პარტიულ კრებებზე.

6) მაშინვე, როგორც კი გამოცხადდება გასინჯვის დაწყების ვადა, რესპუბლიკების ყველა ცენტრალურმა საკონტროლო კომისიებმა უნდა მოიწვიონ გამსინჯავი კომისიების თათბირები, რომლებზედაც მათ დაწვრილებით და ყოველმხრივ უნდა გააცნონ ინსტრუქციები, იხელმძღვანელონ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციით განსაკუთრებით გასინჯვის ტეხნიკის და გასასინჯ ამხანაგებისადმი გამსინჯავ კომისიების მიდგომის მხრივ.

II. 1) გასინჯვა დაიწყოს რესპუბლიკების ცენტრებში: თბილისში, ბაქოში, ერევანში, ბათომში, სოხუმში და ცხინვალში.

გამსინჯავ კომისიების მუშაობის დაწყების ვადა გამოქვეყნებული იქნება ცალკე.

გამოცდილების მიღების შემდეგ შეუდგენ გასინჯვას შემდეგ ქალაქებში: ქუთაისში, ფოთში, ლენინაკანში, განჯაში და სხვა სამაზრო უჯრედებში. უკანასკნელის ვადა დანიშნონ რესპუბლიკების ცენტრალურმა საკონტროლო კომისიებმა.

სამხედრო ორგანიზაციების გასინჯვა გატარებულ იქნეს საერთო გასინჯვასთან ერთად ცალკე ქალაქებში გამსინჯავ კომისიების მიერ, რომლებიც დამტკიცებულნი არიან რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის მიერ.

გასინჯვის მიმდინარეობის დროს მოწვეულ იქნენ გამსინჯავ რაიონულ კომისიების და სამხედრო პარტორგანიზაციების გამსინჯავ კომისიების პერიოდული თათბირები გამოცდილების ერთი მეორისათვის გაზიარების მიზნით.

ინსტრუქცია

რ. კ. პ. (ბ.) არაპროლეტარულ შემადგენლობის გასინჯვის შესახებ

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის პარტიის წევრებს მათზე დაკისრებულ მუშაობის ხელმძღვანელობაში, არის პარტიის წევრების ისეთი მოქმედება, რომელიც სახელს უტეხს პარტიას და რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიულ ხელმძღვანელობაში და სახელმწიფო აპარატის მოწესრიგებაში.

მაგრამ გარდა ასეთი ელემენტებისა, ჩვენს პარტიაში, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში, აღმოჩნდენ ისეთი კომუნისტები, რომლებიც აქამდი არ ჩამოშორდენ ანტისაბჭოთა და „ნეპმანურ“ ელემენტებს და თავისი სულმოკლეობით და რყევით რესპუბლიკისათვის მძიმე მომენტებში არცხვენდენ კომუნისტის სახელს. ჩვენს პარტიაში კიდევ არიან დარჩენილი პარტიისა და მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტები, რომლებიც მორალურათ გაიხრწნენ და ჩამოშორდენ პარტიულ ცხოვრებას. უმეტეს შემთხვევაში ეს ელემენტები ჩვენი პარტიის არაპროლეტარულ ნაწილიდან არიან. პარტიის ამ ელემენტებისაგან გაწმენდის მიზნით, რ. კ. პ. (ბ) ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია შეუდგა რ. კ. პ. (ბ) არაპროლეტარულ შემადგენლობის გენერალურ გაწმენდას, რომელიც ჯერჯერობით ჩატარებულია მოსკოვის, ლენინგრადის, პენზის და ბელორუსიის ორგანიზაციებში. ამ ორგანიზაციების შემოწმების გამოცდილების საფუძველზე რ. კ. პ. (ბ) ცეკამ და ც. ს. კ. მთელი რიგი დამატებები შეიტანეს გასინჯვის შესახებ გამოცემულ პირველ ინსტრუქციაში; ეს დამატებები შეტანილია იმ მიზნით, რომ განმეორებული აღარ იქნეს შესაძლებელი შეცდომები. თანახმად რ. კ. პ. ცეკას და ც. ს. კ. წინადადებისა იმის შესახებ, რომ ვიხელმძღვანელოთ რ. კ. პ. (ბ) არაპროლეტარულ შემადგენლობის გასინჯვის შესახებ გამოცემული ინსტრუქციით, რომელიც დაბეჭდილი იყო „პრავდა“-ში, 1924 წლის 13 სექტემბერს № 208 და მასთან შეფარდებით რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და ა.-კ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევენ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკანურ კომპარტიების ყველა ცენტრალურ კომიტეტებს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიებს პირველი ნოემბრიდან შეუდგენ თავისი ორგანიზაციების არაპროლეტარულ შემადგენლობის გაწმენდას თანახმად შემდეგი ინსტრუქციისა.

I. გასინჯვის ამოცანები.

1. რ. კ. პ. საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების გასინჯვის მიზანია მათი გაწმენდა სოციალურათ იმ უცხო ელემენტებისაგან, რომლებიც გაიხრწნენ და ჩამოშორდენ მას.

2. მე-13 ყრილობამ დაადგინა, რომ პარტიის იმ წევრების გაწმენდა რომლებიც ითვლებიან საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებში, არავითარ შემთხვევაში გაგებული არ უნდა იქნეს, როგორც საერთო უნდობლობა პარტიის ყველა იმ წევრებისადმი, რომლებიც საბჭოთა და სამეურნეო მუშაობას ეწევიან, და აგრეთვე მოსწავლეებისა და მასწავლებლებისადმი; წმენდის მიზანია დახმარების გაწევა პარტიის წევრებისათვის მათზე დაკისრებულ მუშაობის ხელმძღვანელობაში პარტიის იმ წევრების განდევნის გზით, რომლებიც სახელს უტეხენ პარტიას და ბოლოს და ბოლოს ხელს უშლიან ნამდვილი პარტიული ხელმძღვანელობის განხორციელებას და სახელმწიფო აპარატის სწორათ დაყენებას.

3. ამ ამოცანის შესრულების დროს, საკონტროლო კომისიები გასინჯავენ რა პარტიის თვითეულ წევრს საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებიდან, რომლებიც ყველაზე უფრო ჩამოშორებული არიან წარმოებისაგან, არ უნდა დაკმაყოფილდენ მარტო კითხვით იმის შესახებ, უნდა დარჩეს პარტიის ესა თუ ის წევრი პარტიის რიგებში თუ გარიცხული უნდა იქნეს იქიდან. შემოწმებამ უნდა გამოარკვიოს—სწორათ მუშაობს თუ არა პარტიის

თუ ის წევრი, უჯრედი, სადაც ის მუშაობს და მთელი ორგანიზაცია საერთოდ.

2. ვინ უნდა იქნეს გასინჯული

გასინჯული უნდა იქნენ პარტიის ყველა წევრები საბჭოთა, უმაღლეს სასწავლებლების და კომუნისტური უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებიდან, ამასთანავე კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებს ეკუთვნიან აგრეთვე საბჭოთა პარტიული სკოლებიც. გასინჯული უნდა იქნეს აგრეთვე მილიციის უჯრედებიც.

შენიშვნა: 1. მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს და საგანგებო კომისიის უჯრედები გასინჯული უნდა იქნეს განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად.

2. გასინჯვა არ შეეხება ფაბრიკების, ქარხნების და სხვა საწარმოო უჯრედებს.

3. გასინჯვა არ შეეხება აგრეთვე წითელარმიელების და სოფლის უჯრედებს.

4. გასინჯული იქნეს პარტიის ამა თუ იმ უჯრედის ყველა წევრები, მიუხედავათ იმისა—ითვლებიან თუ არა ისინი აღრიცხვაზე სხვა უჯრედში.

5. გასინჯვა არ შეეხება ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრებს, ა/კ. საოლქო კომიტეტის და ა/კ. საკონტროლო კომისიის კანდიდატებს-წევრებს და ნაციონალურ კომპარტიების ცეკას და ც. ს. კ. კანდიდატებს-წევრებს და სათანადო ორგანოების სარევიზიო კომისიების წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც არჩეული იყვნენ ყრილობებისა და კონფერენციების მიერ.

6. თუ ამა თუ იმ საწარმოო უჯრედში არიან პარტიის წევრები, რომლებიც ჩაბმული არ არიან წარმოებაში, არ შეიძლება უჯრედის გაყოფა პარტიის ისეთ წევრებათ, რომლებიც წარმოებაში მუშაობენ და ისეთებათ, რომლებიც არ მუშაობენ და უჯრედის ერთი ნაწილის გასინჯვა. ასეთ უჯრედებს ამჟამად გასინჯვა არ შეეხებათ. სწორეთ ასევე არ შეიძლება გაყოფილი იქნეს საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიული და უმაღლესი სასწავლებლების უჯრედები პროლეტარულ და არაპროლეტარულ ნაწილათ: საჭიროა ამა თუ იმ უჯრედის გასინჯვა მთლიანათ.

3. ვინ სინჯავს

მე-13 ყრილობამ საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების გეგმაშეწონილი გასინჯვა მიანდო რ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისია: „ამ გასინჯვას ხელმძღვანელობენ რ. კ. პ. ცეკა და ც. ს. კ.; გასინჯვა უნდა სწარმოებდეს გეგმაშეწონილად, თანდათანობით, ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლით (რ. კ. პ. მე-13 ყრილობის დადგენილება).

მთელი ეს მუშაობა სწარმოებს ც. ს. კ. საერთო ხელმძღვანელობით, ცალკე რესპუბლიკებში ხელმძღვანელობა ეკისრება ნაციონალურ ც. ს. კ.; ეს მუშაობა განხორციელებული უნდა იქნეს პარტიული კოლეგიების საშუალებით, სადაც ასეთები გამოყოფილია ნაციონალურ ც. ს. კ. საერთო შემადგენლობიდან.

შენიშვნა; საჭირო შემთხვევებში რ. კ. პ. ც. ს. კ. და ა/კ. ს. კ. გზავნიან თავის წარმომადგენლებს ნაციონალურ ც. ს. კ. დასახმარებლად.

ნაციონალურმა ც. ს. კ. დამხმარედ უნდა აიყვანონ მთელი რიგი ადგილობრივი გამსინჯავი კომისიები. ეს კომისიები დიდი სიფრთხილით უნდა იქნენ შერჩეული. ამ კომისიებში უნდა შედიოდენ გამოცდილი და მტკიცე პარტიული მუშაკები ოქტომბრის წინა ხანების პარტიული სტაჟით, რომლებიც პარტიის წიაღში [illegible] სარგებლობენ. გამონაკლისი, როდესაც შეუძლებელია სათანადო მუშაკების შოვნა, ნებადართული უნდა იქნეს რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ.

გამსინჯავ კომისიებს ანაწილებენ ნაციონალური ც. ს. კ.; მათ ამასთანავე მხედველობაში უნდა მიიღონ როგორც ამა თუ იმ უჯრედის თავისებურობა, ისე ინდივიდუალური მხარეებიც იმ ამხანაგებისა, რომლებიც შედიან გამსინჯავ კომისიებში.

იმ შემთხვევაში, თუ გამსინჯავ კომისის რომელიმე წევრის ანდა მთელი კომისიის წინააღმდეგ წამოყენებული იქნება რაიმე მამხილებელი მასალები—ამ მასალების სისწორე უნდა შეამოწმოს ნაციონალურმა ც. ს. კ.

4. წინასწარი მომზადება.

1. საკონტროლო კომისიებმა სისწორით უნდა გამოარკვიონ რომელ უჯრედებს შეეხება გასინჯვა, უნდა გამოარკვიონ მათი სოციალური შემადგენლობა, პარტიული სტაჟი პარტიის წევრებისა ამა თუ იმ უჯრედიდან და ამ უკანასკნელის პროფესიონალური შემადგენლობა. გასინჯვის წინ ყველა ამხანაგებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გასინჯვაში, სისწორით უნდა ეცნობოს ინსტრუქცია როგორც გასინჯვის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ისე გასინჯვის საშუალებებისა და საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო მიდგომის შესახებაც.

2. გასინჯვის დაწყებამდი ეს ამოცანები ფართოდ გაშუქებული უნდა იქნეს საერთო და სარაიონო კრებებზე და ადგილობრივ პრესაში ადგილობრივ თავისებურებათა აღნიშვნით, რომლებიც საკონტროლო კომისიებისა და გამსინჯავ სამეულების მიერ მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში; ამასთანავე საკონტროლო კომისიებმა უნდა მოუწოდონ ორგანიზაციის ყველა წევრებს დახმარება გაუწიონ თავისი რჩევა-დარიგებით გამსინჯავ კომისიებს. გამსინჯავმა კომისიებმა მუშაობის დაწყების დროს უნდა მოიწვიონ უჯრედის და პარტიის ყველა წევრების საერთო კრებები, რომლებზედაც უნდა გააცნონ დამსწრეებს თავისი მუშაობის ამოცანები და უნდა მოუწოდონ წევრებს დაეხმარონ მათ ამ მუშაობაში; ამ კრებებზე მათ უნდა გაიცნონ უჯრედის საერთო შემადგენლობა და უნდა გამოარკვიონ:

ა) საერთო პირობები, პარტიული მუშაობა ამა თუ იმ უჯრედში; ამ მიზნით უნდა გამოირკვეს უჯრედის წევრთა შემადგენლობა, დისციპლინა უჯრედის შიგნით, დამოკიდებულება უჯრედის წევრთა შორის: არის თუ არა კინკლაობა, ერთმანეთთან შეხლა-შემოხლა და რაშია ამ კინკლაობის მიზეზები, ადგილი აქვს თუ არა პირად მომენტებს უჯრედის საქმიან მუშაობაში.

ბ) ეთანხმება თუ არა უჯრედის ბიუროს მუშაობა საგუბერნიო და სამაზრო ორგანიზაციის საერთო პარტიულ ხაზს და უზრუნველყოფილია თუ არა პარტიის ყრილობის, საოლქო და საგუბერნიო კონფერენციების გადაწყვეტილებათა გატარება ცხოვრებაში.

გ) არის თუ არა გეგმაშეწონილობა მუშაობაში, შეეფერებიან თუ არა გეგმები მიმდინარე მომენტის ამოცანებს

დ) სწორი დამოკიდებულებაა თუ არა უჯრედის მუშაობასა და კომკავშირის მუშაობას შორის.

ე) სწარმოებს თუ არა მუშაობა ქალთა შორის.

ვ) როგორი დამოკიდებულებაა უპარტიოებთან, როგორია დამოკიდებულების ფორმა, რამდენათ ძლიერია მათი გავლენა და მუშაობა მათ შორის.

ზ) უჯრედის დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან და ადგილკომთან.

ჱ) აწარმოებს თუ არა უჯრედი ბრძოლას ფუფუნებისა და დაუსებულების სამეურნეო მუშაობის ნაკლულევანებების წინააღმდეგ.

თ) რეგულიარულად იკრიბება თუ არა უჯრედი, რეგულიარულად ესწრებიან თუ არა პარტიის წევრები უჯრედის სხდომებს.

ი) როგორ არის დანაწილებული პარტიული მოვალეობანი, შეიძლება თუ არა პარტიის რომელიმე წევრს ბრალი დასდოთ იმაში, რომ ის საკმაო მონაწილეობას არ ღებულობს პარტიულ მუშაობაში, თუ პარტიის მუშაობაში არა საკმაო მონაწილეობა [illegible] დაკავშირებულია ხელმძღვანელ ორგანოების ცუდ მუშაობასთან.

გამსინჯავმა კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ უჯრედის გასინჯვა გამოყენებული არ იქნეს პირადი ან ჯგუფური ანგარიშების გასასწორებლად; ამასთანავე გამსინჯავმა კომისიებმა პასუხისგებაში უნდა მისცენ ის პირები, რომლებიც ყალბი ცნობებით [illegible] სცდილობენ ჩირქი მოსცხონ პარტიის წევრს.

V. ადგილობრივ გამსინჯავ კომისიების მუშაობა.

1. ადგილობრივი გამსინჯავი კომისიები—სამეულები უნდა გაემგზავრონ სამუშაოთ ადგილზე, მათი მუშაობა შეძლებისდაგვარად უნდა სწარმოებდეს ამა თუ იმ უჯრედის ბიუროში.

2. გასინჯვის დროს პარტიის თვითეული წევრი გამოწვეული უნდა იქნეს გამსინჯავ კომისიაში, რომელმაც ამხანაგური საუბარი უნდა გამართოს მასთან.

ყოვლად დაუშვებელია ის, რომ პარტიის წევრმა მიიღოს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ის ტრიბუნალის წინ იდგეს. საჭიროა რაც შეიძლება უფრო ამხანაგური დამოკიდებულების შექმნა, რომლის დროსაც პარტიის თვითეული წევრი უნდა გრძნობდეს იმას, რომ ის გამოწვეულია იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს პარტიას ორგანიზაციის ნაკლულევანებების და დეფექტების გამომჟღავნებასა და აღმოფხვრაში.

3. კომისიამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა აწარმოოს გასინჯვა წინასწარ შემუშავებულ შაბლონის მიხედვით. საკითხის გადაწყვეტას ის უნდა მიუდგეს ინდივიდუალურათ.

4. [illegible] ც. ს. კ. გამსინჯავ სამეულების ერთერთ წევრს ნიშნავენ კომისიის თავმჯდომარეთ. გამსინჯავ კომისიას უნდა ჰყავდეს მდივანი (არა გასასინჯავ უჯრედის შემადგენლობიდან), რომელმაც შემოწმების მიერ გამორკვეული ფაქტები, როგორც ბიოგრაფიული ხასიათის, ისე შემოწმებულ ამხანაგის მიერ პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღების საკითხის შესახებ და აგრეთვე მის მოღვაწეობაში შენიშნული ყველა დეფექტების შესახებ, უნდა შეიტანოს ოქმში, როგორც დასაბუთებული ნაწილი („მოისმინეს“). კომისიის გადაწყვეტილება („დაადგინეს“) აგრეთვე სისწორით დასაბუთებული და ფაქტებზე დამყარებული უნდა იქნეს.

5. თუ საჭიროება მოითხოვს, გამოწვეული უნდა იქნენ ესა თუ ის მოწმეები, მოსმენილი უნდა იქნენ ის მუშები, რომელთა შორისაც მუშაობს ესა თუ ის ამხანაგი.

6. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გასინჯვის მოკლე დროის განმავლობაში წამოჭრილი ბრალდებები ანდა სერიოზული ეჭვები (მაგალითად, პარტიული სტაჟის შესახებ და სხვა) ამა თუ იმ ამხანაგის მიმართ არ შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს, მაშინ საქმე უნდა მიენდოს ადგილობრივ საკონტროლო კომისიის გამომძიებელს და მის მიერ გადაწყვეტილი უნდა იქნეს ჩვეულებრივი წესით.

7. გამსინჯავმა კომისიებმა ყველა შესამოწმებელ ამხანაგების შესახებ უნდა გამოარკვიონ შემდეგი ფაქტები: სახელი, მამის სახელი და გვარი, პარტიული ბილეთის ნომერი, რომელ რაიონში და უჯრედში ითვლება, რომელი წლიდან ირიცხება რუსეთის კომპარტიაში, ჰასაკი, განათლება (რომელი სასწავლებლები დაამთავრა), სოციალური წარმოშობა, ძირითადი პროფესია, რომელ თანამდებობაზე იყო და არის, რაში გამოიხატა მონაწილეობა რევოლიუციონურ მოძრაობაში, რამდენი ხანი დაყო წითელ არმიაში, როგორ მუშაობას ეწევა—საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალურ თუ კულტურულს, რამდენი ხნით იყო შეწყვეტილი რევოლიუციონური და პარტიული მუშაობა და რა მიზეზების გამო, რომელ პარტიას ეკუთვნოდა რ. კ. პ. რიგებში შესვლამდი (რამდენი ხანი იყო სხვა პარტიაში), პირადი, კერძოთ ნათესაური დამოკიდებულება ბურჟუაზიულ-„ნეპ“-ელემენტებთან და რაში გამოიხატება ეს.

ამას გარდა, გამორკვეული უნდა იქნეს რანაირ მუშაობას ასრულებდა პარტიის დავალებით და როგორ ასრულებდა მას, რაში სდებენ ბრალს ამხანაგები, შემოწმებული უნდა იქნეს ეს ბრალდებები და ოქმში უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ის, რაც დამტკიცებულია.

9. აღმოფხვრილია თუ არა იდეოლოგიური გადახრა და რყევა, თუ ასეთებს ადგილი ჰქონდა.

10. ამას გარდა კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგით: ა) განსაკუთრებით ფრთხილი დამოკიდებულებით იმ ამხანაგებისადმი, რომლებიც პროლეტარული წრიდან არიან გამოსული; ბ) იმ ამხანაგებისადმი, რომლებმაც ვერ შეასრულეს ესა თუ ის სამუშაო ავადმყოფობის გამო, გ) კომუნისტ ქალებისადმი, რომლებიც თავისი ბუნებრივი მდგომარეობის გამო, როგორც ქალები, სათანადოთ მოწყობილ საზოგადოებრივ კვების და აღზრდის უქონლობის პირობებში, ჩვეულებრივ გაცილებით უფრო მძიმე პირობებში მუშაობენ, ვიდრე მამაკაცები, დ) წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და კლასებიდან გამოსულ ამხანაგებისადმი ჩვენს ჩამორჩენილ ოლქებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ხალხებს შორის; ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ადგილობრივი და ნაციონალური თავისებურობანი.

11. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალონ „პარტიულ ბალასტათ“ ის ამხანაგები, რომლებიც კეთილსინდისიერათ ასრულებენ პარტიის მიერ მათზე დაკისრებულ სამეურნეო, საბჭოთა, პროფესიონალურ, სამოსწავლო და სხვაგვარ მუშაობას. ამავე დროს პარტიას უფლება აქვს მოითხოვს, რომ პარტიის ყველა წევრები, რა საქმესაც არ უნდა აკეთებდენ ისინი პარტიის დავალებით, ეწეოდენ საორგანიზაციო, პროპაგანდისტულ და საგიტაციო მუშაობას მასებში. მაგრამ ამ სამუშაოს რაოდენობა შეფარდებული უნდა იქნეს იმ ძირითად მუშაობასთან, რომელიც უშუალოდ დაკისრებული აქვს ამა თუ იმ ამხანაგს პარტიის მიერ; ის აგრეთვე შეფარდებული უნდა იქნეს ამ ამხანაგის განვითარების დონესთან და იმასთან, თუ როგორ ანაწილებს ესა თუ ის ორგანიზაცია პარტიულ მუშაობას ორგანიზაციის წევრებს შორის.

12. უნდა მიექციონ რა ყურადღება პარტიის თითეული წევრის სოციალური წარმოშობის საკითხს და მათ ყოფნას სხვა პარტიებში რ. კ. პ.-ში შესვლამდი და აგრეთვე ძველი რეჟიმის მოხელეებს და თანამდებობის პირებს, რომლებიც რ. კ. პ. შევიდნენ პარტიის ლეგალურ არსებობის პერიოდში, გამსინჯავმა კომისიებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოარკვიონ, აღმოფხვრილია თუ არა პროლეტარიატისათვის უცხო ჩვეულებები და იდეოლოგია და ცუდათ ხომ არ მოქმედობენ ისინი ამხანაგის მოღვაწეობაზე, როგორც პარტიის წევრის მუშაობაზე, დაამტკიცა თუ არა პარტიის ამა თუ იმ წევრმა თავისი სიმტკიცე, როგორც კომუნისტმა, და თავდადება რუსეთის კომპარტიისათვის და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სულმოკლეობა, პროლეტარიატისათვის უცხო ჩვეულებები და უცხო იდეოლოგია თავს იჩენენ განსაზღვრულ ფაქტებში, რომლებიც ამახინჯებენ ამა თუ იმ ამხანაგის მოქმედების კომუნისტურ ხაზს,—ასეთ შემთხვევაში ეს ამხანაგი უნდა ჩაითვალოს იდეოლოგიურათ და სოციალურათ უცხო ელემენტათ.

13. გამსინჯავმა კომისიებმა ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიაში შესვლის მომენტს (იმ ამხანაგებს, რომლებიც პარტიაში შევიდნენ არალეგალურათ მუშაობის პერიოდში, გამწვავებულ სამოქალაქო ომის პერიოდში და დაწყებულ მშვიდობიან ცხოვრების პერიოდში), მაგრამ ამასთანავე მხედველობაში უნდა მიიღონ ის, თუ რაში გამოიხატა ამა თუ იმ ამხანაგის მონაწილეობა პარტიის მუშაობაში.

14. გამსინჯავი კომისიები უნდა დაინტერესდენ პარტიის წევრების ნათესაური და სხვაგვარი კავშირით ბურჟუაზიულ ელემენტებთან, ეს ფაქტი მათ უნდა შეაფასონ ამ მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტების მატერიალური დამოკიდებულების და იდეოლოგიური გავლენის თვალსაზრისით, ამასთანავე მათ უნდა ახსოვდეთ მე-13 ყრილობის დადგენილება განსაკუთრებით ფრთხილ დამოკიდებულების შესახებ იმ სამეურნეო და სხვა დარგის მუშაკებისადმი, რომლებსაც ჩვენ თვითონ ვაყენებთ ისეთ პირობებში, როდესაც მათ ახლო კავშირის დაჭერა უნდათ არაკომუნისტურ (ნეპმანების), სავაჭრო და სხვა წრეებთან.

15. გამსინჯავ კომისიებს უნდა ახსოვდეთ, რომ პარტიიდან გამორიცხვა არის პარტიული ზეგავლენის ზომების უკიდურესი ზომა, და მხოლოდ უკიდურეს და აუცილებელ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული პარტიიდან გამორიცხვა სამუდამოთ ანდა განსაზღვრული ვადით.

16., გამსინჯავ კომისიებს უნდა ახსოვდეთ, რომ პარტიას აქვს მთელი რიგი სხვა საშუალებებიც პარტიული ზეგავლენის მოსახდენად ამხანაგებზე: შენიშვნა გაფრთხილებით, სასტიკი საყვედური, დანაშაულის მხედველობაში მიღება, სხვა სამუშაოზე გადაყვანა, პასუხისმგებელ სამუშაოდან მოხსნა, გადაყვანა მხოლოდ ქვედა საფეხურის სამუშაოზე და ცალკე შემთხვევებში ზეპირი ამხანაგური დარიგება.

ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაყვანას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის სიძნელენი, რომლებიც დაკავშირებულია პარტიის წევრების გადაჯგუფებასთან.

17. იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფი ამხანაგი შუამდგომლობას აღძრას იმის შესახებ, რომ ის გასინჯული იქნეს გამომრთელების შემდეგ, ასეთი თხოვნა, იმისდამიხედვით, თუ როგორ მდგომარეობაშია ამხანაგის ჯანმრთელობა, მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში, და ამ ამხანაგების შემოწმება უნდა მოხდეს დამატებით ისევე, როგორც დამატებით გასინჯული უნდა იქნენ ის ამხანაგები, რომლებიც ამა თუ იმ უჯრედის გასინჯვის დროს შვებულებაში ან მივლინებაში იმყოფებიან.

18. გამსინჯავ კომისიებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი მუშაობა შემოწმებული იქნება კიდევ ნაციონალურ ც. ს. კ. მიერ და რომ პარტიის თვითეულ წევრს, რომელიც უკმაყოფილო იქნება გამსინჯავ კომისიის ან-და ნაციონალურ ც. ს. კ. დადგენილებით, უფლება აქვს გაასაჩივროს მათი გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიაში და რ. კ. პ. ცენტრ. საკონტროლო კომისიაში; მით უფრო მეტი ნდობით მოეპყრობიან ადგილობრივ ორგანიზაციას, რაც უფრო ნაკლებ იქნება მიღებული დაუსაბუთებელი და საკმაოთ არ აწონ-დაწონილი გადაწყვეტილებები.

19. საკონტროლო კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებით იმის შესახებ, რომ გამსინჯავ კომისიების და ნაციონალურ ც. ს. კ. გადაწყვეტილებები, რომლებსაც გაასაჩივრებენ რ. კ. პ. ც. ს. კ., მოყვანილი არ იქნება სისრულეში, გარდა ცალკე გამონაკლისებისა, რომლებიც უნდა დაამტკიცოს ნაციონალურმა ც. ს. კ. და რომელთა შესახებაც უნდა ეცნობოს რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას (რ. კ. პ. ც. ს. კ. ა/წ. 29 აპრილის დადგენილება, იხ. „პრავდა“ № 97—1924 წ. 30 აპრილი).

20. მუშაობის დამთავრების შემდეგ გამსინჯავი კომისიები ნაციონალურ ც. ს. კ. უდგენენ წერილობით ანგარიშს თავიანთი მუშაობის შესახებ, რომელშიაც აღნიშნული უნდა იქნეს ამა თუ იმ უჯრედში შენიშნული ყველა ის დეფექტები, ნაკლულევანებანი და მიღებული ზომები; ყველა [illegible], პირადი საქმეები, გამორიცხულთა პარტბილეთები, სხვადასხვა განცხადებები და სხვა გადაგზავნილი უნდა იქნეს იმ უმაღლეს საკონტროლო კომისიაში, სადაც გასაჩივრებული იქნება ნაციონალურ ც. ს. კ. დადგენილება.

21. ნაციონალურა ც. ს. კ. გამსინჯავ კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ ადგენენ წერილობით ანგარიშს ა/კ. საკონტროლო კომისიისა და რ. კ. პ. ცენტ. საკონ. კომისიისათვის.

22. გასინჯვის ყველა შედეგები ადგილობრივმა გამსინჯავმა კომისიებმა, გასინჯვის შედეგების ნაციონალურ ც. ს. კ. მუშაობასთან შეფარდების შემდეგ, უნდა აცნობონ უჯრედის საერთო კრებას.

23. დროგამოშვებით ნაციონალური ცენტ. საკონ. კომისია იწვევს გამსინჯავ კომისიებს იმ მიზნით, რომ მოისმინოს მოხსენება გასინჯვის მსვლელობის შესახებ, რომ მოხდეს გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარება, ცალკე სამეულების მუშაობის საერთო ხაზის გამოსწორება და მათ მუშაობაში შემჩნეული დეფექტების თავიდან აცილება.

6. გასაჩივრების წესი.

1. პარტიის წევრებს, რომლებიც უკმაყოფილო არიან გამსინჯავი კომისიების დადგენილებით, შეუძლიათ ეს დადგენილება გაასაჩივრონ ნაციონალურ ც. ს. კ. იმ ვადის განმავლობაში, რომელიც დაწესებულია ამისათვის ნაციონალურ ც. ს. კ. მიერ. ნაციონალურ ც. ს. კ. გადაწყვეტილებით უკმაყოფილო წევრებს შეუძლიათ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება ა/კ. ს. კ. ან და რ. კ. პ. (ბ) ცენტ. საკონ. კომისიაში ა/კ. ს. კ. საშუალებით. ადგილობრივი საკონტროლო კომისიები ვალდებული არიან ეს გასაჩივრება გასინჯვის მთელი საქმით და ყველა მასალებით გადაგზავნონ უმაღლეს საკონტროლო კომისიაში, სადაც გაგზავნილი იქნება ესა თუ ის გასაჩივრება. ადგილობრივი საკონტროლო კომისიების დადგენილების ცენტრ. საკონ. კომისიაში გასაჩივრების ვადათ დანიშნული ერთი თვე, იმ დღიდან, როდესაც მიღებული იქნება ადგილობრივ საკონტროლო კომისიის დადგენილება.

2. რ. კ. პ. (ბ) ცენტ. საკონ. კომისია არის უმაღლესი ინსტანცია, სადაც შეიძლება გასაჩივრებული იქნეს გამსინჯავი კომისიების, ნაციონალურ ც. ს. კ. და ა/კ. საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებები.

VII. გასინჯვის გამოცდილების გამოყენება.

რ. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია აუცილებლათ სთვლის გასინჯვის გამოცდილების და შედეგების შესწავლას და ამ მიზნით მას საჭიროთ მიაჩნია გასინჯვის დამთავრების შემდეგ შექმნილი იქნეს ადგილებზე კომისიები, რომლებშიაც უნდა შევიდნენ პარტიული კომიტეტებისა და საკონტროლო კომისიების მიერ გამოყოფილი ამხანაგები. ამ კომისიების დასკვნები გამსინჯავ კომისიების მუშაობის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს რ. კ. პ. ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი **მაახნიკოვი.**

ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის მდივანი **სტურუა.**

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ახალგაზრდა კორესპონდენტების კონფერენცია

15 ნოემბერს, მამია ორახელაშვილის სახელობის მეორე რაიკომის კლუბში გაიხსნა ახალგაზრდა კორესპონდენტთა პირველი სრულიად საქართველოს კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო დელეგატები თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდან.

[illegible]

კონფერენციას ხსნის ამხ. დ. გვაზავა. ის მოკლე სიტყვით ესალმება ახკორთა კონფერენციას და ამბობს, რომ ჩვენი დიდიხნის სურვილი აღსრულდა. საქართველოს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ცხოვრებაში სრულიად ახალ მოვლენას აქვს ადგილი.

[illegible] ის ფაქტი, რომ ქალაქად ახალგაზრდობა შედარებით უფრო [illegible], უფრო მოძრავი და ამასთანავე კავშირულიც. სოფლად კი ჩვენ [illegible] საწინააღმდეგო მოვლენას. ახალ აზრდათა საუკეთესო ძალები იქ [illegible], დაქსაქსული, მათში არ არის მტკიცე [illegible], ამ მხრივ დღევანდელ კონფერენციას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მან უნდა გაერთიანოს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში გაფანტული ძალები, მან უნდა შექმნას ერთი მტკიცე კავშირი სრულიად საქართველოს ახკორთა გაერთიანების სახით; მან უნდა შეაკავშიროს სოფლისა და ქალაქის ახკორები; შექმნას ერთი მტკიცე [illegible] მომავალი წითელ ჟურნალისტებისა და განსაკუთრებით ახალგაზრდა [illegible] ჟურნალ-გაზეთებისათვის ნამდვილი მესაჭე, [illegible] ხელმძღვანელი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელი კონფერენცია, [illegible] ამ მიმართულებით, შესძლებს ამ მიზნების განხორციელებას. ახკორები გაერთიანებული საქართველოს მასშტაბით, შემდეგ გაერთიანდებიან ამიერ-კავკასიის მასშტაბითაც და ამ [illegible] ს. ს. რ. კ. ახკორთა [illegible]. ვხსნით რა ახკორთა [illegible] საქართველოს კონფერენციას, ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას. გაუმარჯოს ახკორთა სრულიად საქართველოს კონფერენციას! გაუმარჯოს სრულიად [illegible] კორესპონდენტთა გაერთიანებას!

შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით. გვაზავა, ქეკელია, [illegible], როზენფარბი, გოლუბიოვი, [illegible], სევერონი, [illegible], [illegible], პატარაია და [illegible].

კონფერენციის საპატიო წევრებად არჩეულ იქნენ: ორჯონიკიძე, ცხაკაია, სტალინი, ტროცკი და გ. დევდარიანი.

ამხ. როზენფარბის მოხსენება

ახალგაზრდათა პრესის და ახკორთა ამოცანების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. როზენფარბი.

ის თავის მოხსენებაში ამბობს: თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ს. ს. რ. კ. ახალგაზრდათა მოძრაობას დავინახავთ, რომ სხვა ქალაქებს, მაზრებს, დაბებსა და სოფლებს არც ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩა. ახალგაზრდობის უსაზღვრო ლტოლვამ უკეთეს მომავლისაკენ, სწავლა-განვითარებისაკენ ჩვენი რესპუბლიკის აღორძინებისაკენ აქაც იჩინა თავი; ამას მოწმობს დღევანდელი კონფერენცია. ახალგაზრდობის ხელმძღვანელად ჩვენ სინამდვილეში გამოდის კომკავშირი. ამბობენ კომკავშირი პარტიის რეზერვიაო, ეს არ არის სავსებით მართალი, ვინაიდან რეზერვი შეიძლება იყოს უმოქმედო, უმოძრავო, სიცოცხლეს მოკლებული. კომკავშირი მომქმედი ძალაა, თავგანწირული მებრძოლი ყველა ფრონტზე, ამიტომ ის პარტიის განუყოფელი ნაწილია.

პარტია დიდ ყურადღებას აქცევს მუშკორების და ახკორების გაერთიანებას, შეკავშირებას, ვინაიდან ამ გაერთიანებებმა ხელი უნდა შეუწყონ მომავალი წითელი ჟურნალისტის აღზრდას და ჩვენი პრესის გაჯანსაღებას. მუშკორებს და ახკორებს ამ საქმეში დიდი მოვალეობა ეკისრებათ.

როგორია ახკორის ამოცანა? ახკორი ახალგაზრდათა შორის ყველაზე უფრო აქტიური ელემენტია, ის ყველაზე უფრო განვითარებულია, ახალგაზრდათა პრესის საფუძველია, მისი სული და გულია. ამიტომ მისი მოვალეობა მარტო გაზეთში წერით როდი ამოიწურება. მის წინაშე ფართო ამოცანებია წამოჭრილი, რომლებიც მოითხოვენ მისგან სერიოზულ გამოხმაურებას. გაზეთი პრაქტიკული სკოლაა და როდესაც ჩვენ ვაერთიანებთ ახკორებს, ამით ჩვენ ვქმნით ახალ სკოლას ჩვენი კომკავშირელთათვის, მომავალი ჩვენი წითელ ჟურნალისტებისათვის.

რა უნდა ვწეროთ გაზეთში? ახკორი ყოველ წვრილმანს აქცევს ყურადღებას, ის დეტალურად იხილავს ყოველ დადებითი და უარყოფით მოვლენებს; ის დაკავშირებულია წარმოებასთან, კლუბთან, სხვადასხვა წრეებთან, პროფკოლექტივებთან, სასოფლო-მეურნეობასთან და სხ. ყველა აქ დაგროვილ ფაქტებს ის აშუქებს გაზეთის ფურცლებზე. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ გაზეთის მასიურობა—მასში უნდა ჩავაბათ მასა: ამ საქმეში ახკორმა თავისი ენერგიის მაქსიმუმი უნდა გამოიჩინოს.

ყოფა-ცხოვრების საკითხების გარკვევას დღეს ჯეროვანი ყურადღება ექცევა. მაგრამ ამ საქმეში არ სჩანს ორგანიზატორი, ახალი გზის მაჩვენებელი. ახკორმა ამ საქმეშიც აქტივობა უნდა გამოიჩინოს და წარმართოს მასა ახალცხოვრებისაკენ ახალ მორალურ ურთიერთობისაკენ.

დაბოლოს მომხსენებელი მოუწოდებს ახკორებს შემოიკრიბონ თავის გარშემო მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ფართო მასები და შეკავშირებული მოქმედებით ხელი შეუწყონ კომკავშირის მასიური გაზეთის შექმნას.

ამხ. როზენფარბის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

მუშათა ცხოვრება

შრომის ნაყოფიერების ზრდა

(ა. კ. რკინის გზის სტამბა-ლიტოგრაფიაში)

წინად რკინის გზას ძალიან პატარა სტამბა ჰქონდა თბილისში, სადაც მხოლოდ უბრალო ბლანკები იბეჭდებოდა.

დღეს ეს სტამბა პირველ ალაგს იჭერს მთელ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. აქ მუშაობს ას ორმოც და ათ მუშაზე მეტი და, თუ საჭიროება მოითხოვს, ერთ ამდენს კიდევ სხვას დაიტევს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე საქართველოში, ამ სტამბის ხელმძღვანელად მუშების მიერ არჩეულ იქნენ **რომან მანდრიცკი და საშა კუზნეცოვი,** რომლებმაც ენერგიული ერთგულებით წამოაყენეს დაცემული და მოშლილი წარმოება ფეხზე. მათ ისევ მოიწვიეს მენშევიკებისაგან გაძევებული ამ სტამბის გამაფართოებელი და მოჭირნახულე ეკაპრელევიჩი. ამუშავდა ქარხანა, მანქანებმა დაიწყეს შეუჩერებელი [illegible]-გუგუნი. სტამბას ყოველდღე შეეძინა სხვადასხვა წარმატებები. ვინც ამხ. ორჯონიკიძის ქუჩაზე გაივლის, მას უთუოთ თვალს მოსტაცებს ეზოში სრულიად ახლად დადგმული ორსართულიანი კოშკია შენობა, რომელსაც ზემონაწილი თითქმის კედლებიან-სახურავიანად შუშისა აქვს და ორივე სართული სავსეა ფოტოგრაფიული და კლიშების ჩამომსხმელი იარაღებით, რომელსაც აწარმოებს ამ ხელობის კარგად მცოდნე და მუყაითი მუშა, **ვანო ნაცვალოვი.**

ერთიერთ განწყობილება მუშებს შორის

ყველა განყოფილებებში სუფევს შეთანხმებული და ამხანაგური წახალისება დაწყებული მეეზოვიდან კანტორის უმთავრეს პირებამდე—კატეგორიების განსხვავებით. ზოგიერთ ქარხნებში რომ ქარხკომებს [illegible] მუშკორები, აქ, პირიქით, ქარხკომები ძალას ატანენ მუშკორებს, რომ მათ დასწერონ კედლის გაზეთებში თუ პრესაში, განურჩევლად და დაურიდებლად დიდზე და პატარაზე, თუ რამე დეფექტები არის. სტამბას ჰყავს ამორჩეული შეფები სოფელ გომისთვის, რომლებშიაც შედიან: რ. მანდრიცკი, ვ. ინაური, კ. იმედაშვილი, ე. ნაცვალოვი და ალექსანდროვი. ესენი ხელს უწყობენ სოფლის მოზარდ თაობას სწავლა-განათლებაში, რითაც შეუძლიათ.

მუშკორი გ. ხ—ლი.

ჩვენ რა დავაშავეთ?!

(რკ. გზის სამმართველოს და საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

ყოველი პატიოსანი მუშაკი ვალდებულია, რომ რომელიმე დაწესებულებაში რაიმე „ნათლიმამობას“ არა [illegible]; მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ თბილისის დეპოში „ნათლიმამობა“ მეტად გაძლიერდა.

თბილისის დეპოს ადგილკომის მიერ გამოცხადებული იყო შემდეგი: ის პირები, რომლებიც მუშაობენ ორთქლმავალზე მემანქანე [illegible] და არა აქვთ მიღებული სახელწოდება მერვე ხარისხოვან ზეინკალისა, ყველანი უნდა ჩამოიხსნან დეპოში „ტისკზე“ სამუშაოთ და ჩამოგვხსნეს კიდევაც, მხოლოდ ჩვენისთანა პირები დარჩნენ რამოდენიმე ორთქლმავლებზე, მაგალითად ს. ეზიკოვსკი და ჟორჟ [illegible] ზეინკლის თანაშემწეებად მუშაობდნენ დეპოში და ეხლა კი მემანქანის თანაშემწეებად მუშაობენ. ესენი კი ჩვენთან ერთად [illegible] მაღალ ხარისხებიდან ჩამოყ[illegible].

გეკითხებით, ჩვენ რა დავაშავეთ?

მუშკორი კოჟუხ.

კომუნისტური ნათლობა

ამ დღეებში მეოთხე სტამბაში მოხდა კომუნისტური ნათლობა. მოინათლა 12 ბავშვი. ნათლობას დიდძალი ხალხი დაესწრო.

მუსიკამ დაუკრა ინტერნაციონალი. საყურადღებო და სასიამოვნო ის იყო, რომ ინტერნაციონალთან ერთად უშველებელი საბეჭდავ მანქანებმაც დაიწყეს მუშაობა. ეს სურათი მაყურებლებს რაღაც არაჩვეულებრივ სიამოვნების ჟრუანტელს ჰგვრიდა. მონათლულ ბავშვებისათვის გამოგზავნილი იყო ცინკოგრაფიის სახელოსნოს პატრონ სოლომონიანის მხრით ბლომად ხილი პატარა ტომრებით და ყველა ესენი წითელი ლენტებით შეკრული, რაც სათითაოდ მონათლულ ბავშვებს დაურიგდა.

შემდეგ დადგმულ იქნა ერთმოქმედებიანი, ქართული სარევოლიუციო პიესა და ვოდევილი „კირთ-კირთ“. ეს პიესა დაწერილია სამ ენაზე სომხურ, თათრულ და რუსულზე. ეს ვოდევილი ჩინებულად ჩაატარა ძველმა სცენის მოყვარემ ამხ. **რომანოზ სალაყაიამ.** დანარჩენი მოთამაშენი ძალიან სუსტად თამაშობდენ.

ბავშვებს უწოდეს შემდეგი სახელები. ვაჟებს,—ილიიჩი, გივი, სტეპან (შაუმიანის სახელი), ენგელსი, სპარტაკი, კიმ, ორს კამოს სახელი. **სამ ქალს—უწოდეს—კლარა და ერთს** ორჯონიკა.

ნათლობა დასრულდა ღამის 10 საათზე.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

მიხედეთ სახალხო ქონებას.

(ალმასკომის კომუნალურ განყოფილების საყურადღებოდ).

ვერის ხიდთან, სანაპირო ქუჩაზე, თვითმშრომელთა საზოგადოების წევრმა და გამგეობის მდივანმა ალაბეგ ალაბალოვმა გაზაფხულზე გამართა საბავშვო ბაღი ფიზკულტურისათვის. ამ ბაღისათვის ალაბალოვმა კომუნალური განყოფილებიდან მიიღო სათანადო თანხა ფულად და სხვა სახითაც. აქვე იყო აგრეთვე გამართული ვითომდა საბავშვო ბაღი, სადაც ალაბალოვმა დასთესა სხვადასხვა მცენარეები და ამით ვითომ დაარწმუნა კომუნალური განყოფილება, რომ ის „კეთილ“ საქმეს უძღვება. იქ მართლაც არის ეხლა ამოსული მზესუმზირა, კომბოსტო, სიმინდი და სხვა მცენარეები. ზამთრის გამო ყველა ეს მცენარეები ეხლა გამხმარია.

აქვე გამართა ალაბალოვმა აგრეთვე მოზრდილთათვის „ტრეკი“, სადაც მრავალი სხვადასხვა იარაღი იყო თავმოყრილი ფიზკულტურისათვის. გარდა გარშემო მოაჯირისა, იქ ეხლა აღარაფერია, სამაგიეროდ ამ ადგილას ალაბალოვი კარგა ხანია სახლის შენებას შეუდგა, **საზოგადო საქმისათვის კომუნალურ განყოფილების მიერ მიცემული თანხის საშუალებით.**

მუშკორი უ. —ში.

ქალთა განყოფილების საყურადღებოდ.

პირველ სამილიციო უბანში ზელინსკის ქუჩაზე საკუთარ სახლში № 48-ში სცხოვრობს დესპოტი და ძველი აზნაურული თვისებით ჯერ კიდევ გაჟღენთილი ნადია ბაქრაძისა, რომელსაც ჰყავს მოსამსახურედ სოფლიდან მოყვანილი 13—14 წლის ქალი. ეს პატარა ქალი აუტანელ პირობებში იმყოფება: აუტანელი შრომა, მთელი ოჯახის საქმეები ამ პატარა ქალს აწევს კისერზე. ამას გარდა ეს ხულიგანი ქალბატონი სცემს თითქმის ყოველდღე სისტემატიურად. მაგრამ ცემაა და ცემა. არ ზოგავს საწყალს არც ჯოხით, არც ხელით და სხვა; მთელი ამ სახლის მდგმურები აღშფოთებულია და ამ ბავშვის საცოდავობით იტანჯებიან. ბავშვი კი შიშის გამო ენა ვერ იღებს და ვერც ბედავს ვინმეს მესჩივლოს. ყველა მდგმურები დაამტკიცებენ და მეც პირადათ ამ ისტორიის მნახველი ვარ. **ალაგმეთ ეს უხეში ქალბატონი!**

ინფ. სადგისი.

როდის მოგვცემთ ტრამვაის რონოდებს.

(ქ. ალმასკომის საყურადღებოდ)

მთავარ სახელოსნოების [illegible] დაადგინა და შუამდგომლობა აღძრა რკ. გზ. სამმართველოს წინაშე, რათა გაცემული ყოფილიყო სათანადო თანხა, რომ მუშებისათვის, რომლებიც სცხოვრობენ ქალაქის განაპირა უბნებში,—ყოველდღე სპეციალურად დანიშნული იყოს ტრამვაის რონოდები. ამით საშუალება მიცემოდა მუშას დროზედ გამოცხადებულიყო სამუშაოზე და სამსახურის დაწყებამდე არ დაღლილიყო 3—ვერსის გავლით.

რკ. გზ. სამმართველომ თვიურად 100 მანეთი გაიღო, მაგრამ ქალაქ ალმასკომი ჯერაც არ ფიქრობს საქმის მოგვარებაზე.

საჭიროა ალმასკომმა და ტრამვაის დირექტორმა სასწრაფო ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას, რომელიც საგრძნობლად ხელს უშლის წარმოების ნაყოფიერების ზრდას.

ინფ. ჭ. ბად—შლი.

ბოროტი სახლის პატრონი

(ქალ. საბინაო განყოფილების საყურადღებოდ)

ჩერქეზიშვილის ქუჩაზე სახ. № 14-ში სცხოვრობს ამავე სახლის პატრონი კამსარ მურადოვი, ეს მურადოვი სხვადასხვა ბოროტი საშუალებით სცდილობს გამორეკოს სახლიდან მდგმური მუშა-მოსამსახურეები პროლეტარ სტუდენტებთან ერთად, ვინაიდან ისინი საბინაო ქირას იხდიან თანახმად დაწესებულ ტარიფისა.

ასე, მაგალითად, მან ჩაიდინა შემდეგი საქციელი ამავე სახლში მცხოვრებ მუშაკელ ამხ. ლევან ნიორაძისადმი, რომელიც არდადეგებში წასული იყო სოფელში: გატეხა დაკეტილი ოთახი, გამოიტანა მთელი მისი ნივთები და უპატრონოდ დაყარა სხვადასხვა ადგილას.

ალაგმეთ ეს თავგასული სახლის პატრონი!

მუშკორი აპოლონი.

დროზე არ გვაძლევენ წერილებს

(ფოსტ.-ტელ. სახკომის საყურადღებოდ)

ამას წინათ ჩემს სახელზე იქნა გამოგზავნილი ორი უფასო წერილები, რომლის გამო მივიღე ორი უწყება—№№ 3018, 3038. მივედი ფოსტაში [illegible] და ფოსტის მოხელემ მომცა წერილი № 3018-ის მიხედვით, შემდეგ გამომართვა № 3038, ერთი დახვდა უცბად და შემდეგ მეუბნება: [illegible] მაგრამ მან ცივი უარით გამომისტუ[illegible]რა. ამის შემდეგ გავიდა თითქმის 15 დღე და შემთხვევით შევიარე ფოსტაში; ფოსტის მოხელეს ამ[illegible] ტაბატაძე შალვას ვთხოვე იქნება არის ამ ნომრით წერილი (3038) თუმცა [illegible] ეს უწყება უკვე დამიხიეს მეთქი; [illegible] იმ წამსვე დატრიალდა და ორი თუ სამი წუთი ძებნის შემდეგ მან ჩემი წერილი № 3038-ით მომცა.

ინჟ. იპ. კუჭუხიძე.

ფაბრიკა—ქარხნებში

საქ. სატყეო ტრესტის ხე-ტყის ქარხანა № 3.

— **მას შემდეგ,** რაც მასალას ღ[illegible] ბულობენ სვანეთიდან და ფოთიდან წარმოება გაუმჯობესება ეტყობა. ენკენისთვეში ქარხანამ გახერხა **16.000 კვ. ვერშოკი** ხე-ტყისა და **ოქტომბერში კი 18.200.**

— **დაბრკოლებანი.** ქარხანას ხვდება მრავალი დაბრკოლებები, მათ შორის: **სუსტძალიანობა მამოძრავებელისა,** რომელიც ვერ ერევა დიდ[illegible]ზო ის ხეებს და **სიძველე დაზგებისა,** რომლებიც თითქმის 15 პროცენტით გაცვეთილად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე მუშაობას აბრკოლებს **სიძველე და გაცვეთილობა მანქანების ღვედებისა.** თუ ეს დეფექტები დაძლეულ იქნენ, ხე-ტყის მასალის გახერხის რაოდენობა მიაღწევს **1.000 კვ. ვერშოკს** დღეში.

ვინაიდან სატყეო ტრესტის განკარგულებაში გადავიდა სამხედრო ხე-ტყის ქარხანა და ტრესტი კი ვერ უზრუნველჰყოფს ნედლი მასალით ორთავე ქარხანას, ამისათვის უკანასკნელს, თუ სრულიად არა, დროებით მაინც მოელის დახურვა.

ინჟ. ტონჯა.

სხვადასხვა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **ახალი შენობა.** ახლო ხანში მთავარ სახელოსნოს საამქრო საბჭოს საშეფო კომისია შეუდგა შენობის აგებას ქვემო-[illegible] აკის ბაქანზე.

— **ლენინგრადის მუშებისათვის.** ამ. საუბ. პროფკავშირის ცნობით 1 ნოემბრამდე ლენინგრადის დაზარალებულ მუშების სასარგებლოთ შემოწირული ყოფილა—618 მან. 4 კ.

— **[illegible] დახმარებისათვის.** [illegible] ხიდზე მომუშავეთათვის სასწრაფო ექიმო დახმარების მისაწოდებლად ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველომ დანიშნა ერთი ექიმის თანაშემწე.

ინფ. ა—ძე.

იურიდიული დახმარება [illegible] მუშებს

შეკითხვა:

1. მე ვარ რკინის-გზის კავშირის წევრი, შრომის ხელფასს ვღებულობ 6 ხარისხით 25 მანეთს. ვცხოვრობ ლენინის უბანში, მიჭირავს ორი [illegible] არა ოთახი, სივრცით—[illegible] სამზარეულო არა მაქვს [illegible] ოთახის ჭერი საჭიროებდა შეკეთებას [illegible] და კედლებიც, სახლის პატრონმა არ შეაკეთა, რის გამო იძულებული გავხდი შემეკეთებინა პირადად. გთხოვთ განმარტებას, მაქვს თუ არა უფლება რემონტზე დახარჯული ფული გამოუქვითო სახლის პატრონს.

2. სახლის სახურავი არის შესაკეთებელი, რადგანაც წვიმა ჩამოდის, სახლის პატრონი განზრახ არ აკეთებს. გთხოვთ განმარტებას, ვალდებულია თუ არა სახლის პატრონი შეაკეთოს სახურავი?

კინისგზის კავშირის წევრი № 1[illegible]

პასუხი:

1. თუ ჭერი მოითხოვდა კაპიტალურ რემონტს (მთლიან ან მეტ ნაწილის გამოცვლა-შეკეთებას) და ასეთი თქვენ გაუკეთეთ მას, რადგანაც სახლის **პატრონი უარს აცხადებდა** მის შეკეთებაზე, თქვენ გაქვთ სრული უფლება ბინის ქირიდან გამოურიცხოთ ის რემონტისათვის დახარჯული ფული. 2. თუ სახურავი მოითხოვს კაპიტალურ რემონტს, სახლის პატრონი ვალდებულია თავისივე ხარჯით შეაკეთოს იგი.

შეკითხვა:

მე ვმსახურობ სადგურ გომში რკინისგზის ოსტატათ, ვარ სენაკის მაზრის მცხოვრები, გორის მაზრაში არც სახლი მაქვს და არც სასოფლო-მეურნეობას ვეწევი. სასოფლო-სამეურნეო იყო გადასახადის გაწერის დროს [illegible] მის რაიონში (გორის მაზრა) ვიღაცა კერძო პირს გამჭერი შეუყვანია [illegible] და ჩემზეც შეუწერიათ [illegible] სოფლო-სამეურნეო გადასახადი [illegible] და 28 კაპ. (ფურცელი № 10[illegible]). [illegible] ალმასკომში განცხადება შევიტანე, რათა გაეუქმებიათ ხსენებული ფურცელი, მაგრამ ასეთი შემთხვევა ინსტრუქციაში არ არის ნაჩვენები, შეუძლებელიც იყო ჩემის აზრით ასეთი შეცდომის გათვალისწინება და მან დადებითად ვერ გადასჭრა საკითხი. როგორ მოვიქცე?

სად. გომის გზის ოსტატი [illegible]

პასუხი:

სათანადო განცხადებით მიმართეთ ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში

წერილები პროვინციიდან

მდგომარეობა წალკის რაიონში

(თბილისის მაზრა)

წალკის რაიონი შესდგება 45 სოფლისაგან.

რაიონში არსებობს რამოდენიმე [illegible] სკოლა, რაისახალხო სასამართლო, 2 საექიმო პუნქტი—ზემო და ქვემო წალკაში, ფოსტა-ტელეგრაფი, კოოპერატივი, აგროპუნქტი, ვეტკომი და სხვა.

აქ სცხოვრობენ თათრები, სომხები, ბერძნები, გერმანელები, ქართველები და სხვა. მათ შორის ძმური დამოკიდებულება არსებობს. მენშევიკების [illegible]ობის დროს ეს ასე როდი იყო.

რაიონი მდიდარია როგორც სახნავ-სათესით და კერძოთ სათიბ-საძოვრის ადგილებით და ამიტომ მესაქონლეობას აქ პირველი ადგილი უჭირავს. მესაქონლეობა ერთად ერთი სასარგო არსებობისათვის. ხვნა-თესვას მესაქონლეობის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს. სთესენ ქერს, ხორბალს, ჭვავს, სელს და სხვა. წელს მოსავალი საშუალო იყო. 5—6 წლის განმავლობაში რაიონს ასეთი მოსავალი ერთხელ ეღირსება. მოსავალს თითქმის ყოველ წელიწადს აფუჭებს ყინვა და სეტყვა. აქ მიწას ამუშავებენ პრიმიტიულათ. აბამენ 8—10 უღელ ხარ-კამეჩს და ხნავენ ადგილობრივი გუთნებით. წელს აგროპუნქტმა (დაარსდა ა | წ. 1 | 4-ში) დიდი დახმარება აღმოუჩინა სასოფლო-სამეურნეო იარაღებით ადგილობრივ გლეხობას. აგრო-პუნქტის განკარგულებაში მყოფი ყველა იარაღები 509 მუშა დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ხმარებაში იყო. გლეხობა დიდი კმაყოფილია ასეთი დახმარებით. გუთნის ქირა დღიურათ სამი შაური იყო და დანარჩენი იარაღები-კი უფასოთ ეძლეოდათ. (პირველ რიგში ასეთი დახმარება მიიღეს ღარიბმა გლეხებმა). რაიონში მიღებულია დამატებით სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მანქანა-იარაღებზე დიდი მოთხოვნილებაა.

საცდელმა მინდორმა, რომელიც წელს პირველათ იქნა მოწყობილი, დადებითი შედეგი მოიტანა, კერძოთ ქარხლის ცდამ, რომელიც მორწყულ ადგილზე მოვიდა 3,100 ფუთი და ურწყავზე კი 2,400 ფუთი დესეტინაზე. რაიონში უმთავრესი მავნებელია თაგვი. მოწამლული იქნა 2,350 დესეტინა ნათესები და სათიბები, რის შემდეგ თაგვებს ზიანი არ მოუტანიათ. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის რაიონში შექმნილია „სასოფლო-სამეურნეო წრეთა ბიურო", სადაც სხვათა შორის შედიან პარტიის და კომკავშირის წარმომადგენლები. ბიუროს მიზნათ აქვს დასახული სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება ლექციების, საუბრების, აგიტაციის და სხვა საშუალებით. კლუბს ხელმძღვანელობს მეტათ მუყაითი და საქმის მცოდნე აგრონომი ამხ. კოპინაშვილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე მესაქონლეობა და კერძოთ მეძროხეობა ყველაზე მეტი მომგებიანი დარგია რაიონში. მეურნეთ ბაზარზე გააქვთ რძის ნაწარმოები, კარაქი, ყველი და სხვა, მაგრამ შინ დამზადებული ყველი და კარაქი დაბალი ხარისხის არის, და ფასიც დაბალი აქვს. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წარმოების გაუმჯობესება. ერთ მეურნეს არ ძალუძს გააკეთოს შვეიცარიული ყველი და მაღალ ხარისხოვანი კარაქი, რადგან არ აქვს ცოდნა და თანხები, ამიტომ კოოპერატიულათ მეამხანაგეობა თავის სოფლელებთან ერთად ერთი გზა არის მისთვის და წარმოკავშირმა ამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. ჯერ-ჯერობით რაიონში არსებობს 7 ასეთი ამხანაგობა. მათ შორის 1 არსებობს 1858 წლიდან და აერთიანებს 153 წევრს—2,020 ძროხით. მეორე დაარსებულია 1909 წელში. აერთიანებს 20 მეურნეს 120 ძროხით დანარჩენი 5 ამხანაგობა საბჭოთა ხელისუფლების დროს არის დაარსებული.

ასეთი ამხანაგობები დიდ სარგებლობას იღებენ, ხოლო რაც შეეხება ამხანაგობათა გარეშე დარჩენილ მეურნეთ, ესენი მეტათ მოწადინებული არიან ასეთები დაარსონ. საჭიროა ხელმძღვანელობის გაწევა.

რაიონი დიდ საჭიროებას განიცდის საბეითლო პერსონალისას. დაახლოვებით ამ ჟამათ რაიონში 87,500 სული მოზრდილი, მსხვილი და წვრილი საქონელია. და თუ არ იქნა მუდმივი საბეითლო პერსონალი, ეპიზოოტიის დროს ძნელი იქნება საქონლის სნეულებათა დროზე თავიდან აცილება. ასეთი შემთხვევა უკვე იყო რაიონში და სანამ ექიმი ამოვიდოდა ცენტრიდან, საქონელი დაიხოცა (სოფ. ავრანლოში—83 სული, და[illegible]ში—25 სული და სხ.).

შინაგანი ავადმყოფობით ხომ ყოველდღიურათ იხოცება საქონელი. გაზაფხულზე ღორების 80 პროცენტი გაწყდა ჭირისაგან, მოსალოდნელია კიდევ ასეთი უბედურება დაატყდეს თავზე რაიონს და რომ ეს აშორებული იქნას, აუცილებელი საჭიროება წარმოადგენს რაიონის უზრუნველყოფა საბეითლო პერსონალით.

ქ. გვალია.

კლუბის გახსნა ს. დურნუკში

დურნუკი თბილისიდან დაშორებულია 40 ვერსით. მდებარეობს მთებზე ასურეთის მარცხნივ, ამისთვის იქ ავტომობილით მისვლა შეუძლოა. ზაფხულში ამ სოფლის მთის ფერდობზე სიარული სასიამოვნოც არის, მაგრამ სულ სხვაა ზამთარში. მაგრამ ტყავ-ტრესტის უჯრედმა გადასწყვიტა, რომ ამ სოფელზე აეღო შეფობა, რადგან სწორეთ ასეთ მიყრუებულ ალაგს უნდა ყურადღების მიქცევა. მართლაც ისე მიყრუებული იყო ეს სოფელი, რომ როცა გაზაფხულზე მივედით და გვინდოდა გლეხებთან საუბარი და წარმოდგენის დადგმაც, გლეხები თითქმის ყველა დაგვიფრთხა და რაღაც უცნაურად გვიყურებდა. მათი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იყო „ტერტერა", ურომლისოდ ფეხსაც არ გადადგამდნენ. მაგრამ ენერგიულმა მუშაობამ თავის ნაყოფი მოიტანა. დღეს სულ სხვაა. 7 ოქტომბერს ამ რამოდენიმე თვის წინეთ ბნელში მყოფ სოფელში ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის აღსანიშნად გავხსენით ეკლესიის გვერდზე კლუბი. დაიდგა სომხურ ენაზე წარმოდგენა—გამოწერილია ყველა ენაზე გაზეთები. დაურიგეთ ბროშიურები. ოქტომბრის რევოლიუციაზე და საერთო მდგომარეობაზე ილაპარაკა ს. ტრდატიანმა. კლუბი ვერ იტევდა გლეხებს, რომლებიც ნასიამოვნები დაიშალნენ. არჩეულია გლეხკომი, წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო და სპორტ[illegible]. შეფი უკერავს 60 ღარიბ ბავშვს ტანსაცმელს, რომელსაც ამ ახლო ხანში გაუგზავნის. უგზავნით რვეულებს, წიგნებს და სხვა. ვუსურვებთ წინსვლას და ენერგიულ მუშაობას.

ნაპერწკალი.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა თელავის მაზრაში.

თელავის აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევს სოფლებს. ამ დღეებში [illegible] თითქმის ყველა სოფლის სამკითხველოებს გამოუწერა ექვსი თვით გაზეთები „კომუნისტი" და „მიწის მუშა". აგრეთვე მიღებულია ზომები სასკოლო შენობის შესაკეთებლად.

თელავში დღემდი არ არსებობს კინო. იდგმება ელექტრო-მოტორი და ამ მოკლე ხანში იმედია კინოც გვექნება.

საერთოდ აღმასკომის ენერგიული მუშაობითა და დახმარებით მაზრაში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კარგ ნიადაგზეა დაყენებული.

ლ. გ—შვილი

სოფ. ითხვისის ჭირ-ვარამი

ითხვისი წარმოადგენს ერთ დიდ სოფელს შორაპნის მაზრაში. მაგრამ მიუხედავათ მისი სიდიდისა, ის ბევრად ჩამორჩენილია უფრო პატარა სოფლებთან შედარებით როგორც კულტურულათ, ისე ეკონომიურათ. ჩვენ სოფელს არ გააჩნია სასწავლებელი, თეატრი, სამკითხველო, არ ვიღებთ გაზეთებს, მშრომელმა გლეხობამ არ იცის რა ხდება ქვეყანაზე. ქეიფი და დროს ტარება სოფელს აბა რას არგებს.

დროა გამოიღვიძოს ითხვისის ახალგაზრდობამ, მიიხედ-მოიხედოს და დაინახოს, თუ როგორი გაცხარებული კულტურული და აღმშენებლობითი მუშაობა არის გაჩაღებული ყველგან საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით.

ა. დარბაიძე.

მევენახეთა ამხანაგობა ს. შილდაში

(თელავის მაზრა)

ს. შილდაში არსებობს მევენახეთა ამხანაგობა „კინცხი", რომელმაც დაიწყო მუშაობა 4 თებერვალს 1924 წ. ამხანაგობის გამგეობა დიდ უნარს იჩენს და ცხრა თვის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა ს. შილდის გლეხობისთვის.

დააკმაყოფილა შილდა და მისი რაიონი შაბიამან-გოგირდით შეღავათიანფასებში. მოიტანა [illegible], რომელმაც გადაარჩინა შილდის ვენახები სეტყვისაგან, მოაქვს ფართალი წარმოკავშირის საშუალებით და სხვა. გამგეობამ იზრუნა ოთხი ვაგონის სათესლე ხორბლის მიწოდებაში შილდისა და მის რაიონებისათვის, სცდილობს გახსნას ვაზის სანერგე აგრონომი მიშა მირიანაშვილის ხელმძღვანელობით და სხვა.

ვუსურვებთ ამხანაგობას მომავალშიც ნაყოფიერ მუშაობას.

ვ. ქ.

ლიის თემი

(ზუგდიდის მაზრა)

ლიის თემი დაშორებულია ქ. ზუგდიდს 20 ვერსით. იგი მდებარეობს მდ. ენგურის მარცხენა მხარეზე. მას აღმოსავლეთით საზღვრავს საატაქიოეწერის თემი, დასავლეთით მდ. ენგური, ჩრდილოეთით ჯვარი და სამხრეთით ტყაია-ბეჟასლალის თემი. ლიის თემის სიგრძე უდრის 12 ვერსს, სიგანე კი დაახლოვებით 3 ვერსს. მცხოვრებთა რიცხვი 400 კომლს აღემატება. გეოგრაფიულ მდებარეობით ლიის თემს პირველი ადგილი უჭირავს მთელს ზუგდ. მაზრაში. მის ირგვლივ წრესავით მდებარეობს 6 თემი. ამიტომ ადმინისტრატიული რაიონის ცენტრად ლიის თემი ითვლება. აქ მოთავსებულია კომპარტიის და კომკავშირის რაიკომი, რაიაღმასკომის, რაიმილიციის და რაიგლეხკომის სამმართველოები. აღმშენებლობითი მუშაობა ლიის თემში კარგათ [illegible] რაიაღმასკომის თავმჯდომ ამხ. ა. მაძულის ინიციატივით შენდება თემის ცენტრში ყოფილ ეკლესიებიდან 7 ოთახიანი რაიაწესებულებების მოსათავსებელი შენობა, რომელიც ამ მოკლე ხანში დამთავრდება. ლიის თემში არსებობს ფოსტა-ტელეგრაფი, ორი კოოპერატივი სხვადასხვა ხასიათის, საფერშლო პუნქტი, ორი აბრეშუმის პარკის ფარდული, ორი ხე-ტყის სახერხი ქარხანა, მშვენიერი სახალხო სახლი, შვიდ წლიანი შრომის სკოლა და სხვა. ხსენებულ სკოლაში მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. აშენება განსაკუთრებით ორსართულიანი მშვენიერი ათოთახიანი ხის შენობა, მასწავლებლებიც შესაფერისია. ხალხი ძლიერ ეტანება სწავლა-განათლებას, გზები და ხიდები ლიის თემში მშვენივრად შეკეთებულია. მოსავალი წელს საშუალოა და მოწევა უკვე მოთავდა. ხალხი ეკონომიურად კოოპერატივების საშუალებით მოღონიერდა. აღსანიშნავია მხოლოდ ერთად-ერთი უარყოფითი მოვლენა-ის, რომ არ არსებობს ამ თემში ქოხ-სამკითხველო. გაზეთები მოდიან ფოსტის საშუალებისა და ხშირად იკარგებიან. ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ამასაც არ დასტოვებს უყურადღებოთ და რაიდაწესებულებების შენობის დამთავრებისას ერთი ოთახი დაეთმობა სამკითხველოს.

პლატონიშვილი

ჟურნალ-გაზეთების მიწოდების საქმე ქ. ახალციხეში

ახალციხემდე ყოველდღე მოდის 2—3 ავტომობილი, 4—5 ეტლი. რომ ჟურნალ-გაზეთების ადგილობრივი აგენტები შეუთანხმდებოდენ ერთ-ერთ ავტომობილის შოფერს ან მეეტლეს, მაშინ მკითხველი გაზეთს თავის დროზე მიიღებდა. ეხლა კი საქმის მდგომარეობა ასეთია: თბილისის ჟურნალ-გაზეთები მოდის ძალიან ხშირად 3—4 დღის შემდეგ. ხოლო მოსკოვის 10—12 დღის შემდეგ. გინდა არ გინდა გაზეთის ხელმომწერლებმა ან მკიდველმა ერთბაშად უნდა იყიდოს 4—5 ნომერი. გაზეთი ხომ ჟურნალი არ არის რომ კვირაში ერთხელ, ერთად წაიკითხოს კაცმა.

ხალხს გაზეთის გვიან მიღების გამო ეკარგება ინტერესი გაზეთისადმი. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება როგორც პროვინციამ, ისე ცენტრმა. საჭირო არის აგრეთვე წიგნის მაღაზიაში სამოსწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები თავის დროზე იყოს მოტანილი.

მგზავრი.

პროვინციის ქრონიკა

— **ქუთაისის** მუშათა კოოპერატივმა გადასწყვიტა მაზრაში გახსნას ფურნეები.

— **ქუთაისის სოც. უზრუნველყოფის** ინსპექციამ დაუნიშნა დახმარება იმ ოჯახებს, რომელთა წევრებს რევოლიუციის წინაშე მიუძღვით დამსახურება.

— **პოლიტ-ცოდნის სკოლა.** თელავის შრომის მე-2 სკოლასთან პროფკავშირის წევრთათვის გაიხსნა პოლიტ-ცოდნის სკოლა.

— **ცხინვალში გაიხსნა** კანისა და ვენერიულ ავადმყოფობასთან მებრძოლი ამბულატორია.

— **ჩაქვის** მუშათა მთ. კოოპერატივი ჩაქვის მუშებს ნისიათ აძლევს 50 მან. საქონელს.

— **ჩაქვში** განზრახულია მუშებისათვის მოეწყოს კინო.

— **გზის გაყვანა მთა-თუშეთში.** მთა-თუშეთის მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა თელავის აღმასკომის წინაშე, მთა-თუშეთში გზის გაყვანაში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— **სოფ. ტოლაში** (ქვემო-რაჭაშია) იხსნება სკოლა ახალგაზრდობისათვის.

— **შორაპნის** მაზრაში ამჟამად გახსნილია და მოქმედებს 365 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

— **თელავის აღმასკომმა** გადასწყვიტა ლენინის სახელობის კომუნისტურ ჯგუფისათვის შეიძინოს ერთფეროვანი ტანისამოსი.

— **სიმინდის პეპელა.** შორაპნის მაზრის რამდენიმე ადგილას გაჩნდა სიმინდის „პეპელა-ბურნა".

— **რაჭის** სამაზრო აღმასკომმა გამოჰყო კომისია, რომელსაც მინდო წითელარმიელთა ოჯახების საჩივრების განხილვა.

— **თელავის** აღმასკომმა ადგილობრივ მდგარ სამხედრო ნაწილს გადასცა დაჭერილი კონტრაბანდი თამბაქო.

— **საჩუქრები.** თელავის აღმასკომმა გამართულ ჯირითობაზე გამარჯვებულ წითელარმიელებს დაურიგა საჩუქრები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 124

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ.

რათა მტკიცედ განხორციელებულ იქნეს ძირითადი კანონი სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების შესახებ (1921 წლ. აპრილის 15-სა და 21 №-რის დეკრეტი, რომლითაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია სარწმუნოებისა და რელიგიური კულტის თავისუფლად ასრულება, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ყველა მომქმედი დადგენილება, ინსტრუქცია და ადმინისტრატიული განკარგულება, რაც შეეხება რელიგიურ საზოგადოებათ და ზღუდავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ რელიგიური კულტის თავისუფლად ასრულებას.

2. შემოღებულ იქნეს ქვემოთ აღნიშნული წესი იმ ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა ხელთ სარგებლობისათვის გადაცემისა, რომელთა გადაცემის შესახებ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმება ჯერ არ მომხდარა; ესევე წესი შემოღებულ იქნეს აგრეთვე წინათ დახურული ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და გადაცემისათვის, ხოლო იგი არ გავრცელდება იმ [illegible] ტაძრებზე, რაც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადაეცა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლ. იანვრის 8 თარიღით და 64 ნომრით გამოცემული დადგენილების ძალით:

ა) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთ შეუძლიათ მიიღონ სარგებლობისათვის თავისი სარწმუნოების ტაძრები და სამლოცველო სახლები, აგრეთვე ღვთისმსახურებისა და რელიგიური წესებისათვის მიკუთვნებული ქონება, რისთვისაც უნდა დაარსონ რელიგიური საზოგადოება, რომლის დამფუძნებელ წევრთა რიცხვი შვიდზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ბ) რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელნი ტაძრებს, სამლოცველო სახლებს და ქონებას იღებენ სარგებლობისათვის ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტისაგან ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. აპრილის 15 თარიღით და 21 ნომრით გამოცემული დეკრეტის მე-15 მუხლისა.

გ) ხელშეკრულების დადებისას, რელიგიურ საზოგადოებას რეგისტრაცია უნდა ექნეს სათანადო მაზრისა ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

3. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის უარი ხელშეკრულების დადებაზე რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციაზე შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ერთი თვის ვადაზე იმ დღიდან, როდესაც ჩაბარებულ იქნება წერილობითი დასაბუთებული დადგენილება უარის შესახებ.

4. ამ დადგენილების გამოცემამდე დაარსებული და რეგისტრაცია-ქმნილი რელიგიური საზოგადოება განაგრძობს თავის არსებობას ახალი რეგისტრაციის მოუხდენლად. დადგენილება ესე გავრცელდება ამ საზოგადოებაზედაც.

5. რელიგიური საზოგადოება შეიძლება დახურულ იქნეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების საწინააღმდეგო მეთოდით იმოქმედებს.

6. დაწესებულება და თანამდებობის პირი, რომელიც ამა თუ იმ სახით წინააღმდეგობას გაუწევს ეკლესიის და სამლოცველო სახლის გახსნასა და სხვ., ან დევნას აღძრავს იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ეკლესიის გახსნას ითხოვს, აგრეთვე ღვთისმსახურების შესრულებისათვის დევნას დაიწყებს, პასუხს აგებს, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის.

7. მეთვალყურეობა ამა დადგენილების მკაცრად აღსრულებისათვის დაეკისრება იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს და მათვე დაევალებათ ამა დადგენილების გასავითარებლად გასცეს სათანადო ინსტრუქციები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1924 წლ. ნოემბრის 21

თბილისი, სასახლე

დადგენილება № 121

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა—ვ. ი. ლენინის ჟეტონის ტარების წესის შესახებ გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ამა 1924 წლ. ოქტომბრის 31-ს თარიღით და 4 №-ით გამოცემული სავალდებულო დადგენილება გამოქვეყნებული გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 726 №-ში 1924 წლ. ნოემბრის 13-ს და „კომუნისტი"-ს № 259 №-ში 1924 წლ. ნოემბრის 13-ს) ვლ. ილ. ლენინის ჟეტონის ტარების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1924 წლ ნოემბრის 18.

თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 125

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა — სისხლის სამართლის კოდექსის 76 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე 1924 წ. ნოემბრის 6-ს თარიღით გამოცემული ამნისტიის გაუვრცელებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 1924 წლ. ნოემბრის 6 თარიღით და 115 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-7 მუხლის დასამატებლად ადგენს:

ზემოხსენებული დადგენილების 3—5 მუხლში აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება სისხლის სამართ. კოდექსის 76 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, უკეთუ ამ დანაშაულს არა აქვს პოლიტიკური ხასიათი, ხოლო, თუ ეს დანაშაული პოლიტიკური ხასიათისაა, შეფარდებულ უნდა იქმნეს 115 ნომრის დადგენილების 1 და 2 პკ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1924 წლ. ნოემბრის 21.

თბილისი-სასახლე.

დამატებითი ინსტრუქცია.

იუსტიციის სახალხო კომისარისა [illegible] 1924 წ. ნოემბრის 6 თარიღის და [illegible] ნომრით გამოცემული დადგენილების შეფარდების შესახებ.

1. დადგენილების მე-4 მუხლის შენიშვნა გაგებულ უნდა იქნეს ამ აზრით, რომ საქმეები, რაც აღიძვრა კერძო ბრალდების წესით და შეიძლება შერიგებით დამთავრდეს (სისხ. სამ. კოდ. 157 მუხ. 1 ნაწ., 161, 177, 178, 180 181 და 182 მუხ.) უნდა განიხილოს სასამართლომ და ამის შემდეგ მათ უნდა შეეფარდოს დადგენილების მე-3 მუხლი.

2. ამავე წესით განხილულ უნდა იქნეს საქმეები, რაც სახელმწიფო ინტერესს შეეხება (სატყეო, საქციზო, საბაჟო და სხვ.). ასეთი საქმეები უნდა გაირჩეს სისხლის სამართლის წესით და შემდეგ მათ უნდა შეეფარდოს ამნისტიის შესახებ დადგენილების მე-3 მუხლი. მხოლოდ ამნისტია არ გავრცელდება იმ გადახდევინებაზე, რომელსაც, როგორც ეს გათვალისწინებულია ინსტრუქციის მე-5 პუნქტში, აქვს კონკრეტული ხასიათი—უკანონოდ შეძენილის ჩამორთმევაზე, ფულად საურავზე, ჯარიმების იმ ნაწილზე, რაც აღმომჩენელს მიეცემა. საპატენტო ამოსალებზე და სხვ.

3. უკეთუ სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც მოსპობილ უნდა იქნეს ამნისტიის ძალით, აღძრულია სამოქალაქო სარჩელი, სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებმა უნდა აცნობონ მოჩივარს, რომ მას შეუძლიან თავისი ზარალი სამოქალაქო წესით იძიოს.

იუსტიციის სახალხო კომისარი
ი. ვარძელი.

21 ნოემბერი 1924 წ.
ქ. თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

[illegible] 24 ნოემბერს საღამოს 5 საათზე [illegible] ფილების ბინაზე დანიშნული პოლიტიკური წრის პირველი მეცადინეობა ქართულ ენაზე. ვთხოვთ მუშა ქალებს და ოჯახის ქალებს, ვინც ჩაწერილია პოლიტ. წრეში, გამოცხადნენ დანიშნულ დროს.

დღეს, 23 ნოემბერს ცენტრალურ პარტკლუბში
კინო—„[illegible]".
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შესვლა თავისუფალია პარტიის წევრთა ოჯახობისათვის.

— ორშაბათს, 24 ნოემბერს საღამოს 6 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება მარქსისტულ წრის პირველი მეცადინეობა.

დასწრება სავალდებულოა მარქსისტულ წრეში მობილიზაციაქმნილ და მესამე კატეგორიაში ჩარიცხულ ყველა ამხანაგებისათვის.

— კვირას, 23 ნოემბერს, 12 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში (კახეთის ქ. № 1) შესდგება მესამე რაიონის პარტსკოლებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის: ავაქიანი, ზაკრევსკი, ვანციანი თუმანიანი, ბექანოვი, გასანოვი, გოდაბრელიძე, როსიანი, აბრამიანი, კარაგულიანი, მაქსიმოვი ესაიანი და მაილიანი.

— კვირას, 23 ნოემბერს, სწორედ დილის 10 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება რემედასის რაიონული საბჭოს კრება. იმავე დღეს, იქავე, დილის 11 საათზე შესდგება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების რაიონულ საბჭოს კრება.

დასწრება ორთავე ორგანიზაციის რაიონულ საბჭოს წევრებისათვის სავალდებულოა. მოწვეულ არიან ორივე საზოგადოების და ქალაქის საბჭოს წარმომადგენლები.

პროფესიული.

წ. 25 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე მედსანშრომის კავშირში ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა, დღის 12 საათიდან 3 საათამდე სწარმოებს უმუშევარ მედ. მუშაკთა რეგისტრაცია.

გამოცხადება ყველა უმუშევართათვის სავალდებულოა. ვინც არ გამოცხადდება, მექანიკურად გამორიცხულად ჩაითვლება.

მუშკორების საყურადღებოთ

ორშაბათს, 24 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება საერთო კრება მუშკორებისა, სამხკორებისა, ახალგაზრდა კორესპონდენტების და საერთოდ თბილისის გაზეთების ყველა კორესპონდენტებისა.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამხ. რუბენისა
მუშკორთა მოძრაობის შესახებ.
2. ქალაქის ბიუროს ხელ-ახალი არჩევნები.
3. მიმდინარე საკითხები.
თხოვნა—არ დააგვიანოთ

მუშკორების ქალაქის ბიურო.

ხელოვნება

— **ახალი წიგნი** სახელ. უნივერსიტეტის პროფესორის კ. კეკელიძის წიგნის, „ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ტომის ბეჭდვა უკვე მოთავდა და ახლო ხანში ხსენებული წიგნი დაურიგდება ხელისმომწერთ.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, სახელმწიფო ოპერაში წარმოდგენილი იქნება „[illegible]სკა".

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლატავრა".

— **პროფკავშირების კულტგანყოფილების** კინო-ბიურომ შეიძინა ახალი სურათი „ტროას [illegible]". სურათი ნაჩვენები იქნება კინო-პალასში.

— **კინოებზე დადებული** საპატენტო გადასახადი საქართველოს ფინანსთა კომისარიატის დადგენილებით გაუქმებულია.

— **კინო-სტუდია კომკავშირელებისათვის.** პროლეტკულტთან განზრახულია მოეწყოს კინო-სტუდია კომკავშირელებისათვის. სტუდია დაამზადებს სურათებს მხოლოდ კომკავშირელების ცხოვრებიდან.

— **ბოროვიცის კონცერტი.** დღეს განათლების მუშაკთა სახლში გამართება ცნობილი პიანისტის ვ. ბოროვიცის კონცერტი.

— **აღმოსავლეთის მუსიკის კონცერტი.** დღეს, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება აღმოსავლური მუსიკის კონცერტი.

— **ქ. აღმასკომმა** გადასწყვიტა შეიტანოს საპაიო გადასახადი 2[illegible],000 მან. სახელმწიფო კინო მრეწველობაში.

— **თეატრი თიანეთში** თიანეთში გაიხსნა ახალი თეატრი, სადაც ყოველ კვირაობით დაიდგმება წარმოდგენები.

— **მოძრავი კინო.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა შეიძინა მოძრავი კინო, რომლითაც მაზრაში უჩვენებენ რევოლიუციონურ სურათებს, რომლებსაც ესწრება აურაცხელი გლეხობა.

დღეს კინოებში

— **არფასტო, აპოლო და სოლეი**—„სამი სიცოცხლე".

— **მინიონი**—„ორი ქალი".

— **პალასი**—„ცირკის მეფე".

— **თაზის** „წმინდა ხანჯალი".

მეცნიერება და ტეხნიკა

მფრინავი ბომბა.

იტალიაში გამოიგონეს და გამოსცადეს ახალი, მეტად ორიგინალური მფრინავი ბომბა. ბომბის დანიშნულებაა იმ ადგილების დანგრევა, რომელიც შორს არის აეროპლანიდან, რომელსაც ის მიაქვს. ბომბა იწონის 30 გირვანქას, სიგრძე უდრის მეტრნახევარს, განი—მეოთხედ მეტრს. ბომბას აქვს ფრთები. ასაფეთქებელი მასალა მოთავსებულია მის წინა ნაწილში და აფეთქდება, როგორც ბომბა მოხვდება მაგარ სხეულს. ასაფეთქებელი მასალით გასავსებ განყოფილების უკან, ბომბაში არის პატარა განყოფილება შეკუმშული ჰაერით, შეკუმშული ჰაერს მოძრაობაში მოჰყავს [illegible] (ზრ[illegible]ალა), რომლის მიზანია ბომბის წონასწორობის დაცვა ფრენის დროს.

1500 მეტრის (ვერსნახევარს) სიმაღლიდან ბომბა სისწორით ხვდება მიზანს, რომელიც აეროპლანიდან [illegible] ვერსით არის დაშორებული.

ახალი ველოსიპედი.

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ნიუ-იორკში გამოსცადეს ველოსიპედი სრულიად ახალი კონსტრუქციის.

მიუხედავად იმისა, რომ ველოსიპედს ორი ბორბალი აქვს, ის უფრო ავტომობილს წააგავს.

ველოსიპედის ჩარჩო სრულიად შეცვლილია და გადიდებულია სიგრძით. წინა ბორბალი ცოტათი უფრო პატარაა, ვიდრე უკანა ბორბალი. საჭე—ავტომობილის ტიპის არის. ველოსიპედის პატარა საჯდომის ნაცვლად მოწყობილია ფართე რბილი საჯდომი ზურგით.

ველოსიპედის ჰიგიენა მოითხოვს რომ ველოსიპედზე მჯდომი მთელი ტანით თავისუფლად სუნთქავდეს. ეს კი შესაძლებელია, როცა კაცი სწორად ზის და არა წელში მოხრილი, როგორც ახლანდელ ველოსიპედებზეა, ახალი ტიპის ველოსიპედი კი, როგორც სურათიდან სჩანს, ადამიანს აძლევს წელში გამართულ ჯდომას.

კვერცხის დიდი ხნით შენახვა.

მრავალი საშუალებები გამოსცადეს კვერცხის დიდი ხნით შესანახად. ხმარობდენ კირს და სხვა ნივთიერებს, რომელიც იცავს კვერცხს დაფუჭებისაგან (ჰაერის შეღწევისაგან ნაჭუჭში), მაგრამ ეს საშუალებები [illegible] ხან არ აღწევდენ და კვერცხი, ეს ფრიად სასარგებლო პროდუქტი, დიდი ხნით ვერ ინახებოდა. კვერცხის ჩქარა გაფუჭების მიზეზების გამოკვლევის დროს გერმანიაში აღმოაჩინეს, რომ გაფუჭების მთავარი მიზეზი ის, რომ ცილისა და გარსის ხვედრითი წონა კვერცხში არ არის ერთნაირი. დიდი ხნით შენახვის დროს ცილა დაბლა ეშვება და იკავებს გარსის ადგილს კვერცხში. ამის, თავიდან აცილება შეიძლება დროდა-დრო შემობრუნებით კვერცხის მდგომარეობის გამოცვლით. მაგრამ თითოეული კვერცხის მდგომარეობის გამოცვლა დიდ დროს მოითხოვდა და გარდა ამისა ძნელია იმის გამორკვევა, თუ რამდენად საჭიროა ამა თუ იმ კვერცხის მდგომარეობის შეცვლა. ამ მიზნით გერმანიაში დაამზადეს „კვერცხის დიდი ხნით შესანახი შკაფი". შკაფი დაყოფილია პატარა ყუთებათ და თითოეულ ყუთში მოთავსებულია თითო კვერცხი. ყოველ ხუთ დღეში ეს პატარა ყუთები მექანიკურად იცვლიან მდგომარეობას იმის გამოსარკვევად, რომ ყუთებმა მართლა გამოიცვალეს მდგომარეობა, ყუთის ქვედა ნაწილი შავათ არის შეღებილი, ზედა ნაწილი კი წითლად.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ვლადიმერ მიხეილის ძე, დედა სოფიო ალექსანდრეს ასული, ძმები: იასონი, თეიმურაზი და გიორგი ვლადიმერის ძენი და და თამარა ვლადიმერის ასული ჯავახიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ამა წლის 20 ნოემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო გამომძიებელი

მიხეილ ვლადიმერის ძე
ჯავახიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 23 ნოემბერს, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება იმავე დღეს, დღის 12 საათზე, ალექსანდროვის საავადმყოფოდან. 2827. 1—1

ღრმად დამწუხრებული სოფიო სოლომონის ასული [illegible] ქმრით ფარნაოზით და შვილით სოლომონით მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავის დაუვიწყარ და საყვარელ დისწულის ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო გამომძიებლის

მიხეილ ვლადიმერის ძე
ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 23 ნოემბერს, ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება იმავე დღეს შუადღის 12 საათზე, ქალაქის მთავარ საავადმყოფოდან (კამოს ქ. სახ. № 103). 2827. 1—1

ღრმად დამწუხრებული ლევან მიხეილის ძე ჯავახიშვილი, მეუღლით ზარო სოლომონის ასული, შვილებით: ნადია, ლოლა, შალიკო და ანდრია, და სიძით: ქრისტეფორე ივანეს ძე კიკნაძე, მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი საყვარელი ძმის შვილი

მიხეილ ვლადიმერის ძე
ჯავახიშვილი

გამოსვენება კვირას, 23 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ალექსანდროვის საავადმყოფოდან ვერის სასაფლაოზე. 2827 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: ალექსანდრე ვლადიმერის ასული და პარმენ ზოსიმეს ძე ბოკუჩავები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა პირველის საყვარელი ძმა და მეორის ცოლის ძმა, ქ. თბილისის მე 2 უბნის სახალხო გამომძიებელი

მიხეილ ვლადიმერის ძე
ჯავახიშვილი

დაკრძალვა კვირას, 23 ნოემბერს, ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება ამავე დღეს, დღის 12 საათზე, ალექსანდროვის საავადმყოფოდან (კამოს ქ. სახ. № 103). 2827 1—1

იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ 20 ამა ნოემბერს გარდაიცვალა ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო გამომძიებელი

მიხეილ ვლადიმერის ძე
ჯავახიშვილი

გამოსვენება კვირას, 23 ნოემბერს დღის 12 საათზე ალექსანდროვის საავადმყოფოდან კამოს ქ. № 103 ვერის სასაფლაოზე
2828 1—1

იუსტიციის სახ. კომისარიატის თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 20-ს უდროოდ გარდაიცვალა თანამოსამსახურე

მიხეილ ვლადიმერის ძე
ჯავახიშვილი

ცხედარს გამოასვენებენ კვირას, ნოემბრის 23-ს დილის 12 საათზე ქალაქის მთავარ საავადმყოფოდან (დიდი მთავრის ქ. № 103) დაკრძალვა მოხდება ვერის სასაფლაოზე. № 2819. 1-1

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამომძიებლები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, უდროოდ გარდაცვალებას ძვირფასი ამხანაგის სახ. გამომძიებლის

მიხეილ ვლადიმერის ძე
ჯავახიშვილის

რომლის დაკრძალვა მოხდება 23 ნოემბერს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება იმავე დღეს 12 საათზე ალექსანდროვის საავადმყოფოდან № 2823. 1—1

ექიმი დიმიტრი ვასილის-ძე ჯავახიშვილი, მეუღლე მისი ანნა ილიას ასული, შვილები: თამარ, გივი, თინა და შოთა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ა. წლ. 20 ნოემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მათი საყვარელი ბიძაშვილის

მიხეილ (მიშა) ვლადიმერის-ძის
ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. 2825 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ალექსანდრე არსენის-ძე, სოფიო დავითის ასული, არჩილ, ელისაბედ, სევერიან, ვალიკო, გრიშა, გალინა შოვნაძეები, მარო და ტატიკო ლოლიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველთა შვილის, მეორეების შვილის შვილის და მესამეთა ძმის შვილის

ჟიულერი (დათიკო) ალექსანდრესძე
შოვნაძის

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 23 ნოემბერს 12 საათზე 1 ქალაქის საავადმყოფოდან კუკიის (წმინდა ნინოს) სასაფლაოზე. 2816 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინა ლუკას ასული, შვილები საშა, სოსო და ნინუსია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ დღეს (23 ნოემბერს) დღის პირველ საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

სოლომონ ალექსანდრეს-ძე
ჭეიშვილის

გარდაცვალებიდან ოთხი თვის შესრულების გამო დანიშნულია წირვა და პანაშვიდი 2814 1—1

დედა მაგდანა და მეუღლე ივლია ბერიძისა შვილებითურთ მუნიკა და რეზიკა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 23 ნოემბერს, დღის 1 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე მათი დაუვიწყარის

სიმონიკა ბერიძის

გარდაცვალებიდან ნახევარ წლის შესრულების გამო დანიშნულია პანაშვიდი. № 2800—2—2

ს. ს. რ. კ. მოსკოვის რაიონის კამვოლის, სალებავების და საპარფიუმერო ფაბრიკების ს. მ. ფ. ს.

სახელმწიფო გაერთიანება

ვამვოლის ტრესტი

გამგეობა: მოსკოვი, სოფიიკა, № 17

განყოფილებები: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, კიევი, ოდესა, როსტოვი-დონზე, ეკატერინბურგი, ნოვო-ნიკოლაევსკი, ტაშკენტი, ბაქო,

შალეული და ნახევრად შალეული ქსოვილების დიდი მარაგი ქალებისა და კაცების ტანსაცმელისთვის და კოსტიუმებისთვის, საბნებისთვის და სხ. საქონელი

გაიხსნა განყოფილება თბილისში

რუსთაველის პროსპ. № 9 სასტუმრო „ორიანტი“-ს ქვეშ

დამდეგი სეზონისათვის

კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოებს შეღავათიანი პირობები

ახლად დაკლებული პრეისკურანტის ფასების მიხედვით

ნ 193 ა—1

სახელმწ. დრამა

დღეს, 23 ნოემბერს

„ლატავრა“

ნ. № 277 1—1

სახელმწიფო ოპერა

კვირას, 23 ნოემბერს

აიდა

ნ. 276. 1—1

რუსეთის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის და უკრაინის სოც. საბ. რესპუბლიკის

გაერთიანებულ სახელმწიფო შაქრის წარმოების

„სახშაქრესტი“-ს

გამგეობა იუწყება:

თბილისის რაიონის სავაჭრო კანტორა კეცხოველის ქ. № (ყოფ. ლორის-მელიქოვისა) ტელ. 19—61.

ჰყიდის საკავშირო წარმოების შაქარს, ფრანკო თბილისი, ტრესტის საწყობი, შემდეგ ფასებში:

რაფინადი დახერხილი	100 კილო	—75 მანეთი.
თავი შაქარი	„ „	74 „
ფხვნილი	„ „	62 „

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატივებს ეძლევათ შეღავათი.

1—1 ნ. № 274

სახ. გან. კომისარიატის პრ. ტეხნ. გან. მთავარ მმართ. მფარველობაში მყოფი

საბუღალტრო კურსები № 1

ი. ავალიშვილის გამგებლობით

გაფართოვდა და გადავიდა ახალ ბინაზე

იხსნება ახალი ჯგუფი

პირობების გაგება შეიძლება კურსებზე და აგრეთვე დუშეთის ქუჩაზე № 19, საღამოს 4½—5½ საათამდის

2810—3—1 კურსების მისამართი: დავიდოვის ქ. № 25

ლენინგრადის სახელმწიფო ელექტრო-მანქანის საალმშენებლო

ტრესტი

თბილისი, ხოლოლაკის ქ. № 2, ტელეფონი ხ—20.

„ელმაშტრესტი“

ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის

სოფლად, ქალაქში რკინის გზებზე, სამრეწველო წარმოებებში. პროექტები ხარჯთ-აღრიცხვა, მოწყობილია, ტეხნიკ ზედამხედველობა.

კონსულტაცია

სპეციალურად: გამოკვლევები, პროექტები, ჰიდრო-ელექტრონის სადგურების მოწყობა. ნ. 90 6—4

თბილისის ალმასკომის

საადგ.-მამულო ქვე-განყოფილება

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ სამშაბათს ა | წ. 25 ნოემბერს დღის 12 საათზე მისგან დანიშნულია ქალ. თბილისში მდებარე შემდეგი ბაღების შეჯიბრების წესით იჯარით გაცემის

საჯარო ვაჭრობა

1. ყოფილი ნავთიკოვისა . . . . კრწანისში
2. „ აივაზოვის და ნავთიკოვისა . . . ნავთის ქალა
3. „ წვერავასი . . . . ნავთლუღში
4. „ ანანოვისა . . . . ყორღან. ქ. № 7.

საწინანდრო მონაწილეობის მისაღებათ 10 მანეთი. (იჯარით აღების მსურველთ შეუძლიანთ დაწვრილებითი ცნობები გაიგონ ქალ. განყოფილებაში, ალმასკომის შენობა, ოთახი № 66).

ქ. განყოფილების გამგე მიროტაძე

ნ. № 270—1—1

კვირას, ნოემბრის 23, დღის 10 საათზე,

საქ. კომპარტიის ცეკას გამომცემლობათა

მთავარ კანტორაში

(რუსთაველის ქ. № 24)

დანიშნულია გაზ. „კომუნისტი“-სა და „მუშა“-ს

განცხადებათა შემკრებ აგენტების კრება

ის აგენტი, რომელიც სხდომას არ დაესწრება, გამორიცხული იქნება აგენტობიდან და მასზე გაცემული მანდატი ჩაითვლება გაუქმებულად.

1—1 მთავარი კანტორა.

მიიღება ხელის მოწერა

პოეტურ მოღვაწეობის 20 წლის აღსანიშნავად

სანდრო შანშიაშვილის

პირველად რჩეულ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებთა გამოცემაზე თაწარმოებნი გამოიცემა სამ ტომად (700 გვერდ.)

მიიღება ხელის მოწერა

პირველ ტომში: ჩემი ძეგლი მოთავსდება ლირიკა:

1. ცხოვრების გზაზე (სამოქალაქო მოტივები), 2. ელდინო (Poèsies èrotiques, 3. ბაღი სევდისა, 4. ტრფობის ნაშთი, 5. Vita nouva. (ახალი ცხოვრება), 6. კახეთის დედოფალი (წიგნი ლეგენდების), 7. სულამიტ, 8. ჰიმნი გლეხს, 9. მკვლელი ნიღაბში, 10. დალი (ღმერთების პანთეონი).

მეორე ტომში მოთავსდება პოემები:

1. იასონ და რენო, 2. ოქროს ვერძი, 3. მედია და მშვენიერი ელენე, 4. იდუმალების წიაღში, 5. ამირან, 6. ქალი გრძნეული, 7. ლანდები, 8. ორფეუს და ევრიდიკე, 9. ელბერდ ბატონიშვილი.

მესამე ტომში მოთავსდება დრამები და ტრაგედიები:

1. უგვირგვინო მეფენი 5 მოქმ., 2. როდამ 1 მოქ., 3. ბერდო-ზმანია 5 მოქმედ., 4. სპარტაკ 5 მოქმედ., 5. ლატავრა 4 მოქმედ. 6. მათრახის პანაშვიდი. (ჰერეთის გმირები) 4 მოქმედ. 7. ოცნების მხარეს. დრამ. პოემა. 8. მეფე მგოსანი. დრამ. პოემა.

სამივე ტომი ღირს ათი მანეთი.

ფულის გადახდა შეიძლება ნაწილობრივ:

1) პირველად ხელის მოწერისათანავე 3 მან.
2) პირველ ტომის მიღებისათანავე 3 მანეთი.
3) დანარჩენ ორი ტომის მიღებისათანავე ცალზე 2 მან.

ფულს ვინც ერთბაშად შემოიტანს, იხდის სამივე ტომში 8 მან.

ბაზარზე გასასყიდათ წიგნები არ გამოიშვება.

ვინც ათს ხელის მომწერს იშოვის გარეშე აგენტებისა, სამივე წიგნი უფასო დაეთმობა ავტორის სურათით და ხელის მოწერით.

აგენტებს ეთმობათ პროცენტები. უნდა მიმართონ პირადათ ავტორს. გამოცემას ხელმძღვანელობს თვითონ ავტორი. წიგნების ადრე და მალე გამოცემა დამოკიდებულია ხელის მომწერთა თანაგრძნობაზე და დაჩქარებაზე. გაცემულ ნამდვილ ქვითარად ის ჩაითვლება, რომელზედაც ავტორის სურათი და ხელის მოწერა იქნება.

წერილებისთვის, დეპეშებისთვის, ავტორის სანახავად, ფულის გამოსაგზავნად

მისამართი: თბილისი. რუსთაველის პროსპ. № 22. რედაქცია „დროშა“. სანდრო შანშიაშვილი.

ნ. 259 3—2

გამომცემელი თ. ჩიქვანაია.

ქ. თბილისის მე-11 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ი. გეგელაშვილი აცხადებს, რომ 2 დეკემბერს 1924 წ. დილის 11 საათ. ანდრეევის ქუჩ. № 59 საჯარო ვაჭრობით იქნება გაყიდვა შენობისა ლეონტი ეგნატეს-ძე და მარიამ ალექსის ასული ბარკალაიების, რომელიც შესდგება სახლის ავეჯიდან, დასაკმაყოფილებლად ნესტორ იორდანეს-ძე ლეჟავასი აღმასრულებელ ფურცლებით № № 1164 და 1165. ქონება შეფასებულია გასაყიდათ 385 მან.

2817—1—1

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი

ბალანსი

1-ლ ნოემბრისათვის 1924 წ.

აქტივი

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
კასა და სახელდახელო ანგარიშები	98.103—97
ფასიანი ქაღალდები და ვალიუტა	290.398—92
განაღდებული თამასუქები და ვალდებ	733.485—01
სპეციალ. სახელდ. ანგ. და სესხები უზრუნველყოფილი საქონლით	370.289—29
გრძელ-ვადიანი სესხები	357.179—48
კორესპონდენტები	570.806—09
საქართველოს კუთვნილი ბანკი	36.908—97
უძრავი ქონება	7.489—45
სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	321.876—10
მიმდინარე ხარჯები	14.371—29
პროტესტ-ქმნილი თამასუქები	4.248—50
სხვადასხვა აქტივები*)	330.950—96
	3.136.108—03

პასივი

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
კაპიტალი	1.701.414—33
ანაბარი და სახელდახელო ანგარიშები	144.704—80
სპეციალ. სახელდ. ანგარიში უზრუნველყოფილი თამასუქ. საკრედიტო დაწესებ.	156.000—
გადანაღდებული თამასუქები, საკრედ. დაწესებ.	280.000—
კორესპონდენტები და განყოფილებები	530.897—70
გაუნაღდებელი ფულის გზავნილები	16—88
სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	46.508—14
სარგებელი შემოსული ოპერაციებით	20.708—22
სხვადასხვა პასივები**)	255.857—88
	3.136.108—0[illegible]

ინსპექტორი გრიგოლაშვილი.

მთავარი ბუღალტერი ტოგონიძე

ს. ს ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა (გ. ბიბინეიშვილი. (მენაბდე.

*) ამ თანხაში შედის ანგარიშები: 1) კოოპერატიული სალიკვ. აქტივი 2) დასაბრუნებელი თანხები.

**) ამ თანხაში შედის ანგარიშები: 1) კოოპერბანკ. სალიკვ. პასივი 2) ანგარიში მოგებისა და ზარალის.

ნის. 278 1—1.

გამოცდილ მასწავლებ. ჯგუფი

(უმაღლესი განათლებით)

ამზადებს

საშუალო სასწავლებლის მთელი კურსის მოწმობაზე და ყველა კლასებისათვის, აგრეთვე ასწორებენ ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში და სხვა საგნებში, აქვე სდგება მოსამზადებელი ჯგუფი უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად: უნივერსიტეტში, სამხედრო აკადემიაში, პოლიტეხნ. ინსტიტუტში.

9—2 კვირა უქმეს, ისე თითო ♂—ა ბინა 4.

№ 2826—4—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტების სნეულებათა მკურნალობა

ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ.

(გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 111 ბ. № 2

ქვ. № 253—25—22

დაკარგე მეტრიკული მოწმობა ოჰანეს მელიქოვის სახელზე, მიცემული 1902 წელს № 4400. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2826.

ექიმ

ზანდუკელძა

განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი

ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი.

მიღება საღამოს 7—8 საათამდი. ლენინის (ოლღას) ქ., 49, ტელ.—82.

№ 2797—25—3

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

13—6 2746

ექიმი

შუხმანი

სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის

მკურნალობა

მიღება 6—7 საათამდი

ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის პირდაპირ. 2672—25

დაკარგე პირადობის მოწმობა საღრიცხვო ბარათი ცემული ფოთის რაიალმასკომის ლავრენტი მაისურაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 2831 1—

დაკარგე პირადობის მოწმობა მთავრობათაშორისო ბის იჯარით ხელშეკრულობის და პირადობის მოწმობა მილენტი და მარიამ ლო სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 2830 1—

დაკარგე მატრიკული № მიცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსო დარგიდან, შალვა ვლადიმერისძე ჩხიკვ ლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—

დაკარგე პირად. მოწმობები 10653 ლუდოვსკისა სკოვიასი, და № 10721 ალექსანდრა დ ევსკის სახელზე. ჩაითვალოს გაუქ ლად. 1—1 28

დაკარგე კავშირის წიგნაკი 416727 | 10227 ოქროპირის-ძე ლევაზერიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 28

დაკარგე პირადი წიგნაკი № მიცემული ჩხარის რაიონო ალმასკომთან არსებული საზ მაგიდის გამგისაგან. ჩაითვალოს გაუქ ლათ. პავლე ერმილეს-ძე ფანჩულიძე. 1—1 № 28

დაკარგე სამხედრო აღრიცხვ რათი № 59 მიც სალხინოს რაიალმასკომის მიერ პავლე ლაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებ 1—1 28

დაკარგე მოწმობა გაცემული ნალ „დროშის“ ციიდან იპოლიტე სიგუას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 2

დაკარგე სილარიბის მოწმობა ცემული ოზურგეთ ი ენულ ალმასკომისაგან თეოლინა თ შვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებ 1—1 2

დაკარგე პირადობის მოწმობა სამხედრო აღ ქალალდი პარმენ ჩიქოვანის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

ა | ქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა

ნედლეულობის დასამზადებელ პუნქტზე

თბილისი. ბამბის რიგი № 1. ტელეფ. № 11—35.

სეზონის დაწყებასთან ერთად ყიდულობს:

ამიერ-კავკასიულ

—ნედლ ჯაგარს—

აგრეთვე სხვადასხვა

ბეწვეულობას: კვერნას, მელას, მგელს, დათვს, ფოცხვერს, ტუოსა. გარეულ კატას, კურდღელს და სხვას.

ჰყიდის სხვადასხვა წვრილმან საჭიროებისათვის საკუთარ სახელოსნოში გადარჩეულ მოკლე ჯაგარს და აგრეთვე ნედლი ჯაგარის გადანარჩევსაც.

მთავარი კანტორის ბინა—ყოფ. გრაფის ქ. № 3. ტელეფ. № 1—43

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატი

ბითუმათ და წვრილმანათ სავაჭრო მაღაზია

სომხების ბაზარი № 6. ტელეფონი № 14—49.

მოიპოვება დიდძალი ტილოს ნაჭსოვები, ქალისა და კაცის თეთრეულობა, ჩარსავები, სუფრები, სალფეთქები, ხელსახოცები, სხვადასხვა შესახვევი ქსოვილები და ტომრები

ამა წლის 13 ნოემბ. ფასები დაკლებულია საშუალოთ

20 პროცენტით

არის აგრეთვე დიდი არჩევანი აგრეშუის ქსოვილებისა.

საბითუმო საწყობი მოთავსებულია სომხის ბაზარში № 62 ეზოში.

№ 262.1—1